ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№242 (12 311)

13 ოქტომბერი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

დღეს, 22:50. იტალია-საქართველო, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი

კაპიტანი ცქიტიშვილია, მჭედლიძე სასტარტოში

დავით ცაგაძე
გენუიდან

გუშინ ჩვენს ნაკრებს მზადების ბოლო დღე ჰქონდა. საუზმის შემდეგ **კლაუს ტოპმიოლერმა** გუნდი შეკრიბა და უკრაინა-იტალიის მატჩი გააანალიზა. შეკრებამ ორ საათზე მეტხანს გასტანა.

მერე იყო დასვენება და სადილი. გუნდი ისვენებდა, როცა სასტუმროს წინ **მამუკა აბუსერიძესთან** მოსაუბრე შუა ხნის ქართველი მამაკაცი შევნიშნე. სტუმარი საფრანგეთში, ოსერში მცხოვრები **თამაზ ბარბაქაძე** აღმოჩნდა. ის მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად ჩამოვიდა ეროვნული ნაკრების საგულშემატკივროდ. როგორც გაირკვა, ის ევროპაში ნაკრების თამაშს თითქმის არ აცდენს. მისი უფროსი ვაჟი **გიორგი** საფრანგეთის ქვედა ლიგაში ფეხბურთს თამაშობს. შუადღეს კიდევ ერთი რამ იყო გამოსარჩევი - შოტლანდიელმა ჟურნალისტებმა კლაუს ტოპმიოლერს ინტერვიუ ჩამოართვეს. როგორც მათ მითხრეს, იტალია-საქართველოს მატჩს **ალექს მაკლიშის** ერთი თანაშემწე დაესწრება.

საღამოს ჩვენს ვარჯიშამდე "ლუიჯი ფერარისზე" იტალიამ ივარჯიშა, მაგრამ აკრედიტაციის არქონის გამო დასწრება ვერ მოვახერხე.

ქართველთა წვრთნა საათზე მეტხანს გაგრძელდა. მოთელვა, მოედნის გაშემო სირბილი, გრძელი და მოკლე პასები, კომბინაციები ფლანგების გამოყენებით, კარში დარტმები, მერე კი ორკარა - ყველაფერი ისევე წარიმართა, როგორც წინა დღეებში.

ვარჯიშის ბოლოსკენ ტოპმიოლერმა გუნდი ორად გაყო. ძირითად შემადგენლობაში "მწვანეების" გუნდი: **ლომაია - სალუქვაძე, ხიზანიშვილი, ასათიანი, შაშიაშვილი - მენთეშაშვილი, ცქიტიშვილი, კანკავა - დემეტრაძე, კვირკველია - მჭედლიძე.**

დანარჩენ ფეხბურთელებს **ბესიკ ფრიდონაშვილი** და მეკარე **რეზო თევდორაძე** დაემატნენ და მეორე, "ლურჯების" გუნდი მათ შეადგინეს.

ორკარას შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა ფეხბურთელები სტანდარტულებზე, უმეტესად კი კუთხურებზე ავარჯიშა და წვრთნაც ამით დასრულდა. ვარჯიშის შემდეგ კი პრეს-კონფერენცია გაიმართა.

იტალიელმა ჟურნალისტებმა ერთგვარი ფსიქოლოგიური იერიშიც კი მიიტანეს ჩვენს ნაკრებზე, თუმცა მწვრთნელმა ამას გაუძლო...

- იმედი მაქვს, ხვალ დაძაბული და საინტერესო მატჩი იქნება. ამ თამაშს ორივე გუნდი დანაკლისითა და პრობლემებით ხვდება. თუმცა ისიც ცხადია, რომ დანაკლისის შევსება იტალიას უკეთ შეუძლია, რადგან საქართველოზე უკეთესი არჩევანი აქვს. პრობლემების მიუხედავად ჩვენი გუნდი მობილიზებული ხვდება მსოფლიო ჩემპიონებთან მატჩს. იტალიისთვის საქართველო უხერხული მეტოქეა. თბილისური მატჩი რომ გავიხსენოთ, მე-60 წუთამდე, სანამ კაცნაკლულნი არ დავრჩით, მეტოქეს ტოლი არაფერში დავუდეთ, რიგ ეპიზოდებში ვჯობდით კიდეც. დონადონის გუნდი ხვალ საკმაოდ მოტივირებული გამოვა, რადგან ქულების დაკარგვით, შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატის მიღმაც კი აღმოჩნდეს. ჩვენ მოუთმენლად ველით მატჩს, იმედი მაქვს, კარგ თამაშს ვაჩვენებთ.

- რომელიმე იტალიელ ფეხბურთელს ხომ არ უფრთხით? თუნდაც ლუკა ტონის, რომელიც გერმანიაში ასპარეზობს და მას სხვებზე მეტად იცნობთ...

- სამწუხაროდ, ტონის ვერაფრით გავახარებ... ის ხვალ გოლს ვერ გაიტანს.

- ვარჯიშის ბოლოს სტანდარტულებზე, კარის უსაფთხოებაზე ჩაკეტილად ივარჯიშეთ. ყოველთვის ასე იქცევით, თუ მხოლოდ ახლა მიმართეთ ამას?

- ეს თამაშისნინა ვარჯიში იყო. არ მინდოდა სხვა ვინმეს ენახა და ამიტომ დავხურე ის.

- მსოფლიო ჩემპიონებს ეთამაშებით და ამით ბედნიერი ხართ. რამე ცუდ ხუმრობას, სიურპრიზს ხომ არ გვიმზადებთ?

- ჩვენ აქ იმიტომ არ ჩამოვსულვართ, რომ ქულები დავარიგოთ. ის დრო უკვე წავიდა, როცა საქართველოსთან ყველა გუნდი ქულებს იღებდა. ჩვენ საფრანგეთთან მინიმალურად წავაგეთ, ისევე როგორც უკრაინასა და შოტლანდიაში. ჩვენ იმიტომ ჩამოვედით, რომ ქულების მარაგი გავზარდოთ.

2

ოლიმპიური ვნებათაღელვა

"ლელოს" გუშინდელ ნომერში დავბეჭდეთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრთა და სპორტული ფედერაციების პრეზიდენტთა მიმართვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისადმი ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ ცხოვრებაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. ამასთან, მკითხველს დავპირდით, რომ მოვიპოვებდით და დღეს გამოვაქვეყნებდით სეოკ-ის მიერ სოკ-ში იმავე საკითხთან დაკავშირებით გაგზავნილი წერილის ტექსტს.

სეოკ-ის პრესსამსახურის ხელმძღვანელი კახა ბერიძე დაგვპირდა, რომ სოკ-ში გაგზავნილი წერილის ასლს რედაქციაში გადმოგვიგზავნიდა ფაქსით, სალამოს კი მისგანვე შევიტყვეთ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება - ხსენებულ ტექსტ სოკ-იდან მიღებულ პასუხთან ერთად მოგვანვდიან გამოსაქვეყნებლად.

დღეს და ხვალ სენ დენიში

13

მსოფლიო თასის ნახევარფინალი: საფრანგეთი-ინგლისი
სამხ. აფრიკა-არგენტინა

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

კაპიტანი ცქიტიშვილია, მჭედლიძე სასტარტოში

პირველი გვერდიდან

- ვინ უკაპიტნებს საქართველოს ნაკრებს?

- ამას გუნდს დღეს საღამოს ვეტყვი.

- დისკვალიფიცირებული ვინმე ხომ არ გყავთ?

- არა, მაგრამ დისკვალიფიკაციის ზღვარზე არაერთი ფეხბურთელია.

- მიმდინარე შესარჩევში მხოლოდ ერთი ფრე გვაქვს. ხვალ მეორეს უნდა ველოდოთ?

- იტალია ფავორიტია, ჩვენ კი კარგი თამაში უნდა ვაჩვენოთ... ისე კი, ალბათ, ყველას კარგად გვახსოვს, ლიტვამ იტალიაში 1:1 ითამაშა.

პრესკონფერენცია ამით დასრულდა. სასტუმროში ვახშამზე კი გაირვა, რომ კაპიტანი ლევან ცქიტიშვილი იქნება. ვარჯიშიდან ჩანდა, რომ მწვრთნელი ლევან მჭედლიძეს სასტარტოში ათამაშებს და მას ამაზე დავეკითხეთ.

- ალალად გეუბნებით, მზად ვარ ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც. მართალი გითხრათ, ძალიან მინდოდა, იტალიასთან მცირე ხანს მაინც მეთამაშა. კარგად გამიგეთ, იტალიაში ვთამაშობ და მინდა, აქაურებს ჩემი რეალური ძალა ვაჩვენო. ძალიან ბედნიერი ვარ და ყველანაირად შევეცდები, ხვალ იტალიელები დავამწუხრო.

მატჩი ადგილობრივი დროით 20:50 სთ-ზე დაიწყება. შეხვედრას ესპანელი მსაჯები მოემსახურებიან. არბიტრი **კარლოს მეხია დავილია**. თანამსაჯები **ხუან კარლოს ხიმენესი** და **პედრო მედინა ერნანდესი**. მეოთხე მსაჯი **ანტონიო პერესი**. უეფადან მსაჯთა დამკვირვებელი ბერძენი **გეორგიოს ბიკასი** გახლავთ.

ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან

პესიმიზმის საფუძველი არ გვაქვს

ნაკრებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლია. თუმცა გუნდში მაინც არიან ისეთები, რომელთაც ლიდერის ფუნქციის შესრულება, თამაშის საკუთარ თავზე აღება შეუძლიათ. სწორედ ასეთებს განეკუთვნება მალხაზ ასათიანი, რომელსაც მატჩის წინა დღეს გავესაუბრეთ.

- სამწუხაროა, რომ მსოფლიო ჩემპიონებთან მატჩს მნიშვნელოვანი დანაკლისით ვხვდებით. თუმცა ნაკრებში ოპტიმიზმი სუფევს, საბრძოლო განწყობაა და მჯერა ვინც მოედანზე გავა თავს არ შეირცხვენს.

- დანაკლისის გამო, ფეხბურთელებს ფსიქოლოგიური პრობლემა ხომ არ ექნებათ?

- არა მგონია. ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს. ახალგაზრდებს გუნდში დასამკვიდრებლად თავის გამოჩენა სჭირდებათ.

- დაცვაში ამჯერად კახა კალაძის გარეშე მოგვიწევს თამაში. თუმცა ეს შენთვის უცხო არ უნდა იყოს...

- დიახ, კალაძის გარეშეც მითამაშია დაცვაში ხიზანიშვილთან ერთად. ზურა გამოცდილი მცველია და მის გვერდით თამაში არ მიჭირს.

- გლაზგოური მატჩის შემდეგ ითქვა, თბილისში შოტლანდიის დამარცხება შეგვიძლიაო...

- მართალი რომ ვთქვათ, გლაზგოში უკეთესი შემადგენლობა გვყავდა, ვიდრე დღეს გვყავს. ის კონტინგენტი რომ იყოს, შოტლანდიის დამარცხება უფრო ადვილი იქნებოდა, თუმცა სიძნელის მიუხედავად არც ახლაა შეუძლებელი.

- უკვე მეორე თამაშია, რაც ნაკრებში ახალი ფეხბურთელები არიან. მათზე რისი თქმა შეგიძლია?

- კარგი ბიჭები არიან, პერსპექტიულები. გამოცდილებას იმდიდრებენ, კლასს იმაღლებენ.

- ყენიას და მჭედლიძეს როგორ დაახასიათებდი?

- მჭედლიძე ამჯერად პირველად ვნახე. მას ბევრი აქებს და ვარჯიშებზეც ეტყობა, რომ დიდი ტალანტია. სხვა რომ არაფერი, 17 წლის ბიჭს "ემპოლიში" არავინ აიყვანდა. რაც შეეხება ყენიას, ბაქოში ვნახე მისი თამაში. ჩემი აზრით, ასაკთან შედარებით ბევრად კარგად თამაშობს.

- პოზიციის მიხედვით ის იმ ფუნქციას ასრულებს, რომელიც ნახევარდაცვაში შენ გევალებოდა...

- მას შუძლია ჩემზე უკეთ ითამაშოს.

- დიდი ხანია მოსკოვის "ლოკომოტივში" ხარ. კლუბის შეცვას არ აპირებ?

- კიდევ სამი წლით "ლოკომოტივს" ვეკუთვნი. თუ რეალური წინადადება მექნება, ვფიქრობ, ხელს არ შემიშლიან.

დავით ცაბაძე
გენუიდან

ინტერვიუ კახა კალაძესთან

მთელი იტალია დაძაბულ მაჭრს ელის

კახა კალაძემ ეროვნული ნაკრები ხუთშაბათს ვარჯიშზე მოინახულა.

რა მდგომარეობაშია ნაკრების კაპიტანი, რას ფიქრობს მომდევნო მატჩზე და მისი აზრით როგორ უნდა ეთამაშოს საქართველო იტალიას. "ლელოს" კითხვებს კახა კალაძე პასუხობს

- როგორ მიდის შენი გამოჯანმრთელების საქმე?

- ახლა უკეთესად ვარ. თუმცა ძალიან მწყდება გული, რომ ნაკრებს 13 ოქტომბრის მატჩში ვერ დავეხმარები. იტალიაში ვთამაშობთ და მერწმუნეთ ყველაზე უფრო აქ მინდოდა მეთამაშე ნაკრების რიგებში, მაგრამ ტრავმა ამის საშუალებას არ მაძლევს.

- ექიმები რას გეუბნებიან?

- უკვე ორი დღეა, რაც სირბილი დავიწყე. თუ ასეთი ტემპით წარიმართება პროცესი ერთ კვირაში უკვე გუნდთან ერთად დავიწყებ თამაშს.

- მოედანს როდის დაუბრუნდები?

- შესაძლოა, მომავალ უქმეებზე ვითამაშო კიდეც.

- კარგა ხანია იტალიაში თამაშობ. აქაური ატმოსფერო იცი და მაინც რას ამბობენ, რას ნერენ იტალია-საქართველოს მატჩზე?

- ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ ძალზე პრინციპული თამაში აქვთ და სერიოზულად ემზადებიან. ყველა სამ ქულას ელის დონადონის გუნდისგან. ტიფოზები ცოტა არ იყოს ფრთხილობენ კიდეც. მათ იციან ჩვენი ნაკრების შესაძლებლობები, ახსოვთ თბილისური მატჩი, ისიც კარგად იციან, რომ იტალიის ნაკრები იმ თამაშს ვეღარ აჩვენებს, როგორსაც მსოფლიო ჩემპიონატზე. იტალიას პრობლემები რომ აქვს ეს სატურნირო ცხრილიდანაც კარგად ჩანს, იტალიის გასვლა ფინალურ ეტაპზე კითხვის ნიშნის ქვეშაა.

- საქართველოს ნაკრებს რა დონის გუნდად მიიჩნევენ?

- ნორმალურ გუნდად გვთვლიან. თუმცა ისიც იციან, რომ არაერთი მოთამაშე გვყავს ტრავმირებული და მათ ნაცვლად ახალი ფეხბურთელები ითამაშებენ.

ხალხი იმაზეა გაბრაზებული, რომ აქამდე მივიდა საქმე და იტალიამ რომც მოიგოს, სხვა წყვილის შედეგებზეა დამოკიდებული. დონადონის პრესა ამის გამო უტევდა, მაგრამ მატჩი მოახლოვდა და ახლა ცოტა ჩაწყნარდა ვითარება. ყველა სამ ქულას ელის 13 ოქტომბრის მატჩში და ასე თუ არ იქნება, მერე ორმაგად გაილაშქრებენ ნაკრებსა და მის თავკაცზე.

- პროგნოზები თუ კეთდება?

- არა, სიმართლე გითხრათ, ამისგან თავს იკავებენ.

- უკრაინასთან საშინაო ფრით უნებურად იტალიის ნისქვილზე დავასხით წყალი. როგორ ფიქრობ, ამ შემადგენლობით შეგვეძლება შოტლანდიას ქულები წავართვათ?

- უკრაინასთან ჩვენი ფრე იტალიაში ძალიან გაეხარდათ. აქ იმედი აქვთ, რომ შოტლანდიასაც წავართმევთ ქულებს და ამაზე ჟურნალისტები ხშირად მესაუბრებიან კიდეც. ეს სრულიად ჩვეულებრივი ამბავია.

- იტალიას მოგება უნდა და ალბათ, შეტევაზე გააკეთებს აქცენტს. ასეთ დროს ჩვენთვის კონტრშეტევაზე თამაში იქნება უმჯობესი...

- დიახ, რა თქმა უნდა. მთავარია ფეხბურთელებსა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს იტალიის კომპლექსი არ ჰქონდეთ. თუ ეს ფსიქოლოგიური პრობლემა ჩვენს ბიჭებს არ შეანუხებთ, დარწმუნებული ვარ, კარგ თამაშს ვაჩვენებთ.

- როგორ ფიქრობ გენუის სტადიონი თუ გაივსება?

- კი, დარწმუნებული ვარ, რომ გაივსება. საქართველოსთან მატჩისადმი აქ ძალზე დიდია ინტერესი. სხვათა შორის, გენუის სტადიონი ძალიან ლამაზი კონსტრუქციისა. ერთი სიტყვით, მთელი იტალია, შაბათს ლამაზ და დაძაბულ საღამოს ელის.

- დაბოლოს, კლუბზე შეგეკითხები. "მილანის" საქმეები ახლა უკეთ მიდის, რა პრობლემები იყო გუნდში?

- წარუმატებელი პერიოდი გვქონდა, მაგრამ უკვე გადავლახეთ. ჩვენი გუნდი კარგად კი თამაშობდა, მაგრამ მთავარი ნაკლი ის იყო, რომ საგოლე მომენტებს ვერ ვიყენებდით. მეტოქე კი 1-2 მომენტს შექმიდა და ერთს გვიტანდა. ამ მხრივ ვითარება უკვე გამოვასწორეთ. ბოლოს, "ლაციოსთან" ძალიან კარგად ვითამაშეთ, რაც ჩვენი ნაკლი იყო, საგოლე მომენტების რეალიზაცია, გავაუმჯობესეთ და 5:1 მოვიგეთ.

დავით ცაბაძე
გენუიდან



www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

1997 წელი. საქართველოს ნაკრები იტალიასთან მატჩში
გელა შეყილაძე, გიორგი ჩიხრაძე, მიხეილ ყაველაშვილი, მურთაზ შელია, ნიკოლოზ ტოგონიძე კახი ცხადაძე
შოთა არველაძე, გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, ლევან კობიაშვილი, არჩილ არველაძე

ინტერვიუ არჩილ არველაძესთან

რატომ უღრენდა ბულდოგივით მალდინი არველაძეს

თუ გაგვიმართლებს, არ წავაგებთ

დღემდე საქართველოს ნაკრები იტალიას ხუთჯერ შეხვედრია, ოთხჯერ წაუგია და მხოლოდ ერთხელ გადაურჩა მარცხს - საფრანგეთი 98-ის შესარჩევში თბილისში **დავით ყიფიანის** გაწვრთნილმა ნაკრებმა 0:0 ითამაშა **ჩეზარე მალდინის** დამოძღვრილ იტალიასთან. არადა "სკუადრა აძურას" მაშინ მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს, სხვანაირად ის ჯგუფში პირველ ადგილს ინგლისს დაუთმობდა და პლეი ოფში მოუწევდა მუნდიალის საგზურის მოპოვება.

მოკლედ, 1997 წლის 10 სექტემბერს საქართველომ იმდენი ქნა, რომ იტალიას არ მოაგებინა და პლეი ოფში გაუშვა რუსეთის ნაკრებთან.

იმ მატჩის ერთ-ერთი მონაწილე, **არჩილ არველაძე** გახლდათ, ვისაც მეტწილად სწორედ მაშინდელ თამაშზე ვესაუბრეთ.

- როგორ ემზადებოდით მაშინ იტალიასთან მატჩისთვის, როგორ აპირებდით მეტოქესთან გამკლავებას?

- მაშინ საქართველოს იმდენად კარგად შეკრული ნაკრები ჰყავდა, რომ თავისუფლად შეგვეძლო ასეთ შეხვერაშიც შეტევაზე გაგვეკეთებინა აქცენტი. ველოდით, რომ იტალია თავქუდმოგლეჯილი არ წავიდოდა შეტევაში მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ გამარჯვება აწყობდა. იტალიას მაშინ უფრო კარგი, ვარსკვლავური შემადგენლობა ჰყავდა, ვიდრე ამ დროისთვის ჰყავს, მაგრამ ასეთ გუნდთან დაცვიდან თამაშს არ ვაპირებდით. ვფიქრობ, გამოგვივიდა შემტევი თამაში - ქეცბაია, ქინქლაძე, არველაძეები, ყაველაშვილი... ასეთი შემადგენლობით ეს სავსებით შესაძლებელი იყო.

- თუმცა მეორე ტაიმის ბოლოს თამაში უფრო იტალიის უპირატესობით წარიმართა და რამდენიმე საგოლე მომენტიც ჰქონდა. როგორი იყო მწვრთნელის დავალება, როგორ უნდა შეგეტიათ იტალიისთვის?

- წინ შოთა იყო, მე და ქეცბაია კი ინსაიდები ვიყავით. თამაში იტალიას არ წაუყვანია, 5-6 წუთი ხან ჩვენ შევუტევდით, ხან მეტოქე, თამაში ხან ჩვენი იყო, ხან იმათი.

- რა რწმენით გადიოდით იტალიასთან მატჩისთვის, რისი იმედი გქონდათ ყველაზე უფრო?

- იმ მატჩამდე ჩვენს თაობას უკვე ნათამაშები ჰქონდა ორჯერ გერმანიასთან და ინგლისთან, ერთხელაც სტუმრად იტალიასთან, ასე თუ ისე უკვე გვქონდა დიდ გუნდებთან თამაშის გამოცდილება. იტალიასთან თბილისური მატჩისთვის გვქონდა იმის იმედი, რომ ბურთის კონტროლს მოვახერხებდით. თუ პროცენტულად გამოვთვლით, იმ თამაშში იტალიას ამ კომპონენტში ჩვენზე უკეთესი მაჩვენებელი არ ექნებოდა. ისეთი თამაში წავიდა, მოგებაც შეგვეძლო და წაგებაც.

- პირველივე ტაიმში დაშავდა კახა ცხადაძე და ის კახა კალაძემ შეცვალა...

- კალაძისთვის ეს პირველი სერიოზული მატჩი იყო ნაკრებში და მყისვე მოახერხა თავისი სიტყვის თქმა, ყველას დაუმტკიცა, რომ უკვე ნაკრების ღირსეული წევრი იყო. კალაძე რომ შემოვიდა მოედანზე, ყველანი ვღელავდით, მაგრამ მან თავის სიძლიერეში მალევე დაგვარწმუნა.

- იმ მატჩში იყო ასეთი ეპიზოდი - პაოლო მალდინის ფეხებშუა გაუძვრინე ბურთი, მერე კი მალდინი შენ და შენმა ტყუპისცალმა ერთხელაც გააცურეთ. ძალიან გინდოდა, განსაკუთრებული ფინტი გაგეკეთებინა მალდინისთვის თუ ეს, უბრალოდ, ასე მოხდა?

- როცა მალდინის ფეხებშუა ვუძვრენდი ბურთს, არ ვიცოდი, ეს მალდინი იყო თუ სხვა რომელი მცველი. როცა ეს გავაკეთე, მალდინი გამომედევნა, ვერ მეწეოდა, მაგრამ იმიტაციას ქმნიდა, თითქოს მეწეოდა, რაღაც უცნაურ, ბულდოგის ხვნეშის მსგავს ხმებს განგებ გამოსცემდა, იღრინებოდა, რათა ზემოქმედება მოეხდინა ჩემზე. მეორე ეპიზოდში მალდინი ფლანგზე რომ გავაცურეთ, ეს ფოტორეპორტიორ ზურაბ გენგიურს კარგად აქვს დაჭერილი. მოკლედ, ისეთი დაძაბული თამაში იყო, წინასწარ ვინმესთვის რაიმე ფინტის დაგეგმვა, შეუძლებელი გახლდათ.

- იტალიასთან წაგებული მატჩებიდან რომელი მიგაჩნია ისეთად, რომელშიც მეტის შანსი ჰქონდა საქართველოს ნაკრებს?

- 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევში სტუმრად 0:2 რომ წავაგეთ, ბევრი კარგი საგოლე შანსი ვერ გამოვიყენეთ. ორივე გოლი პენალტით გაგვიტანეს, არადა არც ერთი 11-მეტრიანი დასანიშნი არ იყო.

- კარსმომდგარი იტალია-საქართველოსგან როგორ თამაშს ელი?

- ვფიქრობ, არ იქნება ისეთი მატჩი, როგორიც საფრანგეთი-საქართველო იყო. ალბათ, მოვახერხებთ ბურთის დაჭერას. იტალია ისეთ შემტევ ფეხბურთს არ თამაშობს, როგორც საფრანგეთი. იტალიის ეს ნაკრები ვერ ჯობია იტალიის უწინდელ ნაკრებს, თუმცა...

- თუმცა ნაკლებად გჯერა, რომ არ წავაგებთ? რისი იმედი უნდა ჰქონდეს საქართველოს ამ ნაკრებს სტუმრად იტალიასთან?

- რომ არ წავაგოთ, იღბალი დაგვჭირდება. ფეხბურთში ყველაფერი ხდება, მაგრამ ამჯერად გამარჯვების იმედი თითქმის არ მაქვს. თუ გაგვიმართლებს, შესაძლოა, ფრე ვითამაშოთ.

- როგორ ფიქრობ, საქართველოს ამ ნაკრებმა როგორ უნდა გაუტანოს გოლი იტალიას - ფლანგური ჩაწოდებებით, თავით, სტანდარტული სიტუაციიდან, მრავალსვლიანი კომბინაციით... რა საგოლე პერსპექტივას ხედავ საქართველოს ნაკრებში?

- იტალიის ნაკრებთან საქართველოს ხუთ თამაშში ორი გოლი აქვს გატანილი და მათგან არც ერთი სტანდარტული სიტუაციიდან. სტანდარტულიდან გოლის გატანის ნაკლები შანსი გვაქვს. უფრო იმის უნდა გვეშინოდეს, რომ აქეთ არ გავუშვათ გოლი მსგავსი სიტუაციიდან.

დავით თავართქილაძე

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. შესარჩევი ტურნირი

პეტარ სეგრტმა მეტოქეები დაზვერა

რუსეთი-ყაზახეთი 4:0

12 ოქტომბერი. მოსკოვი.
ე. სტრელცოვი

1:0 დ. კომბაროვი (1), კ. კომბაროვი (43), 3:0 ფაიზულინი (48), 4:0 კაჟაროვი (81)

რუსეთი: ჯანაევი, ნაბაბკინი, ლებედევი, კუდრიაშოვი, გრანატი, ტარანოვი (77. ნაგუმანოვი), კ. კომბაროვი, დ. კომბაროვი (66. სამსონოვი), ფაიზულინი, ძიუბა, კოჟანოვი (58. კაჟაროვი)

ყაზახეთი: დეკხანოვი, კისლიცინი, ვოროტნიკოვი, მუხტაროვი, ტეაჟიბაიული, ჟუმახანოვი, კუკეევი (69. ხასენოვი), ალეინიკოვი, ნურგალიევი (79. საბალაკოვი), კენბაევი, ნოჟკოვი (58. ნოგვინენკო)

არბიტრი: ა. დიაკონუ (რუმინეთი)

ამ მატჩს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **პეტარ სეგრტი** დაესწრო. ვნახოთ, რა დასკვნებს გააკეთებს ხორვატი სპეციალისტი, ამ შედეგიდან კი ნათლად ჩანს, რომ 16 ოქტომბერს, ყაზახეთში გამარჯვებისთვის ბრძოლა შეგვიძლია. როგორც ჩანს, ჯგუფის აუტსაიდერს მწვრთნელის შეცვლა, ჯერჯერობით, ვერ წაადგა. რუსეთის ახალგაზრდულს კი 12 ნოემბერს ვმასპინძლობთ და იმის მიუხედავად, რომ ჩვენი მეზობლები ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტები არიან, იმედია, არც აქ შევირცხვენთ თავს.

რუსებმა პირველი გოლი შეხვედრის დაწყებიდან რამდენიმე წამში გაიტანეს და სტუმართა რბევა არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ. სოლიდურმა გამარჯვებამ მათ იმის საშუალება მისცა, რომ ბურთების უკეთესი სხვაობით ესპანელებისთვის გადაესწროთ. ორივე ურთიერთშეხვედრას რუსეთი და ესპანეთი გაისად გამართავენ.

პოლონეთი-ესპანეთი 0:2

12 ოქტომბერი. ვროცლავეკი. ოსროდეკი

0:1 ხურადო (73), კრკიჩი (90)

ესპანეთი: რობერტო, მ. ტორესი, პიკე, ტორეხონი, კრესპო, ხ. მარტინესი, რ. გარსია, სისი (65. სუსაეტა), ხურადო (87. გრანერო), კაპელი (70. მატა), კრკიჩი

არბიტრი: ბ. დემირლექი (თურქეთი)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რუსეთი	3	3	0	0	8-0	9
2. ესპანეთი	3	3	0	0	7-0	9
3. პოლონეთი	4	2	0	2	4-4	6
4. საქართველო	4	1	0	3	3-9	3
5. ყაზახეთი	4	0	0	4	1-10	0

ლევან ჯანელიძაშვილი

პეტარ სეგრტი

ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადება არგენტინაში,

დიეგო მარადონას საშოობლოში

16, 17, 18, 19 წლის ასაკის ფეხბურთელების საყურადღებოდ!!!

მათ, ვისაც სურთ ჯერ აიმაღლონ ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური დონე არგენტინაში, და შემდეგ გარკვეული პერიოდი ითამაშონ იქაური საფეხბურთო კლუბებში, მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს გაემგზავრებიან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში. ფეხბურთელებს მოამზადებს წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და ამჟამად მწვრთნელი ედუარდო დელგადო.

მომზადების პერიოდი 6 თვიდან ერთ წლამდეა. ამ პერიოდში ფეხბურთელებს ექნებათ ამხანაგური თამაშები, რომლის დროსა მათზე მოხდება დაკვირვება. სრულყოფილი მომზადების შემდეგ, ედუარდო დელგადო ფეხბურთელებს წარადგენს არგენტინის კლუბებში, სადაც გააგრძელებენ ოფიციალურ თამაშებს.

არგენტინის მხარე მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს. ასევე, არგენტინის ვიზების, მგზავრობის, მომზადებისა და ადგილზე ცხოვრების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მობრძანდით არგენტინის წარმომადგენელთან მიმდინარე წლის 25 ოქტომბრამდე, მისამართზე: ლეონიძის ქ №4 (ყოფილი კიროვის ქუჩა თავისუფლების მოედანთან), ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ.

გასაუბრებისთვის მსურველები წინასწარ უნდა ჩაეწერონ არგენტინის წარმომადგენელთან, შემდეგ ტელეფონზე: 899 23 55 20.



დიეგო მარადონა და ედუარდო დელგადო

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

შოტლანდიელებს ქომაგთა მხარდაჭერა არასდროს და არსად აკლიათ

მეტოქე

ფედერაციის შეგონებანი შოტლანდიისთვის

მოდით სტადიონზე და ყველამ ერთად დავამარცხოთ მეტოქე

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც საქართველო-შოტლანდიის მატჩს, ფიფა-ს და უეფა-ს პრეზიდენტების იოზეფ ბლატერისა და მიშელ პლატინის საქართველოში ოფიციალურ ვიზიტს, ასევე სხვა მნიშვნელოვან საკითხებს შეეხო.

მედიის წინაშე საქართველო-შოტლანდიის მატჩის დირექტორი დიმიტრი ბოკერია, საქართველოს ეროვნული ნაკრების ფანკლუბის წევრი ნიკა ქავთარაძე და ვი-თი-ბი ბანკის წარმომადგენელი ლევან ჟვანია შეხვდნენ.

დიმიტრი ბოკერია:

ბილეთების გაყიდვა დაიწყება კვირას, 14 ოქტომბრიდან და შეწყდება მატჩის დღეს, 17 ოქტომბერს, თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე. სალაროები იმუშავებს დილით 11 საათიდან 19 საათამდე. ბილეთები 5, 10, და 20 ლარი ეღირება. ყველას ვთხოვ, თადარიგი დაიჭირონ და ადრევე მოვიდნენ სტადიონზე, რადგან მატჩისადმი გულშემატკივართა ინტერესი ძალიან დიდია. ამაზე ის ფაქტი მეტყველებს, რომ შოტლანდიელთა მხარდასაჭერად 2500-მდე ბრიტანელი ფანი ჩამოდის...

დაბეჭდილია ოთხი ფერის ბილეთები: ლურჯი, მწვანე, წითელი და ყვითელი. გულშემატკივრები სტადიონზე შევლენ ბილეთის ფერის შესაბამისი ადგილებიდან: ლურჯი ფერის ბილეთების მფლობელები – სტადიონის ცენტრალური შესასვლელიდან, მწვანე - წერეთლის გამზირიდან, წითელი - ცაბაძის ქუჩიდან, ხოლო ყვითელი ფერის ბილეთების მფლობელები – საგურამოს ქუჩიდან...

პირდაპირი ტელერეპორტაჟის ექსკლუზიური უფლება ტელეკომპანია "იმედს" ეკუთვნის, ხოლო უცხოეთიდან იმავე უფლებით ტელეკომპანია ბი-ბი-სი ისარგებლებს. შეხვედრის განმავლობაში სხვა ტელეკომპანიებს მუშაობის უფლება არ ექნებათ. სტადიონზე მისული ჟურნალისტები თავიანთ ტექნიკას სპეციალურ კაბინაში შეინახავენ და თამაშის დასრულებისთანავე კვლავ შეეძლებათ სარგებლობა...

შოტლანდიის ნაკრები თბილისში 16 ოქტომბერს გამთენიისას ჩამოვა და "შერატონ მეტეხი პალასში" დაბინავდება. 12.30 საათზე ალექს მაკლიში და ერთ-ერთი ფეხბურთელი სასტუმროში პრესკონფერეციას გამართავენ, ხოლო ნაკრები 19 საათზე ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებს. სტუმართა ვარჯიში დახურული იქნება, რაც ნიშნავს, რომ ჟურნალისტებს მხოლოდ საწყისი 15 წუთი შეეძლებათ მუშაობა...

ერთი სიახლეც მინდა გამცნოთ, საქართველო-შოტლანდიის მატჩის გენერალური სპონსორი ვი-თი-ბი ბანკია...

რაც შეეხება ბლატერისა და პლატინის ვიზიტს, ის ძალიან დატვირთულია. ორივე მათგანი დაესწრება საქართველო-შოტლანდიის ოფიციალურ მატჩს, შეხვდებიან სახელმწიფოს უმაღლეს პირებს, გაეცნობიან ფეხბურთის განვითარების პროგრამას, რომელსაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სახელმწიფოსთან ერთად ახორციელებს. 18 ოქტომბერს იოზეფ ბლატერი და მიშელ პლატინი საგურამოში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მშენებარე ტექნიკურ ცენტრს მოინახულებენ და სავარაუდოდ, იქვე შეხვდებიან ჟურნალისტებს. მერე კი ორივე მათგანი დატოვებს საქართველოს.

ნიკა ქავთარაძე:

16 ოქტომბერს, სავარაუდოდ, 35-ე საფეხბურთო სკოლის მოედანზე, შედგება ამხანაგური მატჩი საქართველოსა და შოტლანდიის ეროვნული ნაკრების გულშემატკივართა გუნდებს შორის. ამ პროექტის პარტნიორია ლუდსახარში "ნატახტარი", რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით...

ზოგადად შოტლანდიელ გულშემატკივრებს რაც შეეხებათ, იცით, რომ სტადიონზე ისინი სამაგალითონი არიან და ძალიან კარგი იქნება, თუ სტუმრებს ჩვენი გულშემატკივრობით ვაჯობებთ. თბილისში ორი ათასზე მეტი ბრიტანელი ქომაგი ჩამოდის და ამიტომ, ყველას ვთხოვ, ნუ დაიშურებთ ძალას და ენერგიას, მობრძანდით სტადიონზე და ერთად ვუგულშემატკივროთ ჩვენს საყვარელ ფეხბურთელებს. მერწმუნეთ, რომ ტრიბუნაზე გულშემატკივრებს დიდი ბრძოლის გადატანა მოგვიხდება და თითოეულ ქომაგის მოსვლას დიდი მნიშვნელობა ექნება.

ავთანდილ ცეცხლაძე

გააკეთე ან მოკვდი

მაკლიშს ასე არ აწყობს

ჯგუფის ლიდერი შოტლანდიაა, თუმცა მეორე და მესამე ადგილზე მყოფ იტალიაზე და საფრანგეთზე უფრო რთული კალენდარი აქვს.

ალექს მაკლიშის გუნდი დღეს უკრაინას მასპინძლობს, 17 ოქტომბერს საქართველოს სტუმრობს, ხოლო 17 ნოემბერს იტალიას დაუხვდება.

გუშინ კი მაკლიშმა და უკრაინელთა თავკაცმა **ოლეგ ბლოხინმა** პრესკონფერენცია გამართეს.

"თუ კიდევ ვფიქრობთ ჯგუფიდან გასვლაზე, ეს ჩვენი უკანასკნელი შანსია. იმედი მაქვს, ჩემი ფეხბურთელები ამაყნი არიან იმით, რომ საკუთარი ქვეყნისთვის თამაშობენ. სამი ქულის მოპოვება ასევე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა შოტლანდიისთვის, რომელსაც საკუთარი გულშემატკივარიც დაუჭერს მხარს. პირველ თხუთმეტ წუთში შეცდომებს თუ არ დავუშვებთ, ვფიქრობ, მერე ყოველივე ნორმალურად წარიმართება ჩვენთვის".

გაჩნდა ვარაუდი, რომ ბლოხინი 20 წლის ფორვარდ **ალექსანდრ გლადკიის** ათამაშებს შოტლანდიასთან, რითაც სიურპრიზს შესთავაზებს მეტოქეს. შახტარელი გლადკიი ახლა მართლაც კარგ ფორმაშია.

მაკლიში კი ასეთნაირად ჭვრეტს უკრაინასთან მატჩს: "გააკეთე ან მოკვდი - სიტუაციას ასე არ ვუყურებ. თუ უკრაინას ვერ მოვუგებთ, კიდევ შეგვრჩება ჯგუფიდან გასვლის არცთუ ურიგო შანსი. თუ დარჩენილ სამ თამაშში ექვს ქულას ავიღებთ, შესაძლოა, ჯგუფში ჩავრჩეთ, შვიდი ქულა კი საკმარისი იქნება წარმატებისთვის. წინა მატჩებმა შეგვძინა იმის რწმენა, რომ კიდევ ერთი მძლავრი ნაბიჯის გადადგმა შეგვიძლია. ყველას კარგად გვესმის, რომ შესაძლოა, უკრაინას ვერ მოვუგოთ და ამან იქნებ უფრო მოუხსნას წნეხი ჩვენს ფეხბურთელებს, ვიდრე იმის ჩიჩინმა, რომ ეს mast win game არის".

დავით თავართქილაძე

ბოლნისური ტესტი და სანიკიძე ირანში

ამხანაგური მატჩი

სიონი–ამერი 0:3

12 ოქტომბერი. ბოლნისი.
თ. სტეფანია. 100 მაყურებელი

0:1 კაკაშვილი (28), 0:2 გოცირიძე (86), 0:3 დავითნიძე (89)

სიონი: სტურუა (46. ბობლიაშვილი), სვანიძე (76. ჩხეტიანი), გ. ოქროპირიძე, ქურასბედიანი (79. კოსტავა), რაქვიაშვილი, ბაჯელიძე (59. ბოიომო), ნადირაძე, კვიტაიშვილი (54. მ. ოქროპირიძე), ვაშაკიძე (46. მენთესაშვილი), ქუთათელაძე (63. ა. ნოზაძე), ჩასემი (54. გაგუა)

ამერი: ნადირაშვილი, კობაური, ხვადაგიანი (46. ბერიანიძე), დავითნიძე, კაკაშვილი, დიდავა, შალამბერიძე (56. სილაგავა), ალავიძე (75. ჩიხლაძე), დეკანოსიძე (75. ვარდოსანიძე), დავითაშვილი, გოცირიძე

გაფრთხილება: დავითაშვილი (36), გოცირიძე (41), გ. ოქროპირიძე (86)

არბიტრი: ვ. ელისაბედაშვილი

"სიონმა" და "ამერმა" ეროვნულ ჩემპიონატში გამოცხადებული სანაკრებო პაუზით ისარგებლეს და ერთმანეთს ამხანაგურად გაეჯიბრნენ. როგორც ტაიმიდან ჩანს, მთელი მატჩი ამერელთა აშკარა სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა და მათივე დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა.

მიზეზთა გამო, "ამერმა" ბოლნისში რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე ითამაშა, მთავარი გუნდის ღირსება დუბლშემადგენლობის რამდენიმე წევრმა დაიცვა. როგორც იცით, ეროვნულ ნაკრებში **დიმიტრი ტატანაშვილი, დავით ბოლქვაძე** და **გრიგოლ დოლიძე** არიან გამოძახებულნი, ახალგაზრდულში კი **გიორგი ელბაქიძე**. მათ გარდა, "სიონთან" **ზურაბ ქვაჩახია, თენგიზ ჩიკვილაძე, გიზო ჯელაძე, დენის დობროვოლსკი** და **ზურაბ გვაძაბია** არ ყოფილან, რადგანაც მათ წინა დღეს აფხაზეთის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშეს (სამეგრელოს გუნდის წინააღმდეგ ჩატარებული საქველმოქმედო ამხანაგური შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა, აფხაზეთის ნაკრების მწვრთნელი კი **გიორგი ჩიხრაძე** იყო). ტრავმების შემდეგ, პირველი მატჩი ჩაატარეს **ვახტანგ ხვადაგიანმა** და ექს-სიონელმა **მიხეილ კობაურმა**. "სიონს" კი ახალგაზრდულ ნაკრებში მიწვეული **გიორგი თავბერიძე** აკლდა.

აქვე გეტყვით, რომ "სიონი" გამოცდილმა ნახევარმცველმა **ლევან სანიკიძემ** დატოვა და კარიერას ირანში გააგრძელებს. მართალია, მას ბოლნისელებთან კონტრაქტი მომავალი წლის 1 იანვრამდე აკავშირებდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ მისი თხოვნა დააკმაყოფილა და ხელშეკრულება ვადაზე ადრე გაუწყვიტა.

ლევან ჯანეზაშვილი

ამერმა სიონს ოფიციალურადაც მოუგო ჩემპიონატში და ამხანაგურადაც

გოგუა კიევში მიჰყავთ

რუსული კლუბები გამოცხადებული სანაკრებო პაუზისას ამხანაგურ მატჩებს ატარებენ. მათ შორისაა რამენსკოეს "სატურნიც", რომელიც კიევს ეწვევა და ხვალ "დინამოს" გაეჯიბრება. ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ "სატურნის" საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, გუნდის მთავარ მწვრთნელ **გაჯი გაჯიევს** უკრაინის დედაქალაქში **გოგიტა გოგუაც** მიჰყავს, რომელიც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ოფიციალური ვერსიით, ტრავმის გამო არაა გამოძახებული.

პლატინის ნოვაციები

როგორც იცით, უეფას ახალმა პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** არჩევისთანავე წამოაყენა ევროთასების ახალი სისტემის შესახებ ინიციატივა. ქართული კლუბები საერთაშორისო ასპარეზზე დიდი წარმატებით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ პლატინის გეგმაში მაინცაა რამდენიმე ისეთი პუნქტი, საქართველოს წარმომადგენლებისათვის თავის გამოჩენის მეტი შანსის მიცემა რომ შეუძლია.

კერძოდ, 2009-10 წლების სეზონიდან უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე არა 40, არამედ 48 გუნდი იასპარეზებს. მართალია; ჩვენი დონის ქვეყნების კლუბებს აქ მოსახვედრად კვლავინდებურად სამი ბარიერის გადალახვა მოუწევთ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ პირველ ორ ეტაპზე შედარებით დაბალი რეიტინგის მქონე ქვეყნების წარმომადგენლებს დაუპირისპირდებიან. ცხადია, ეს წარმატების შანსს საგრძნობლად ზრდის.

სამაგიეროდ, საშუალო და დაბალი რანგის ქვეყნების გუნდებს საქმე ჩემპიონთა ლიგაში გაურთულდებათ, სადაც მეორე ეტაპზე ამჟამინდელზე გაცილებით ძლიერი კლუბები ითამაშებენ. ჩვენ არ გვეხება, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ პლატინის პროექტი ძლიერი ქვეყნების თასის მფლობელთათვის ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის შანსის მიცემასაც ითვალისწინებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან მჭედლიძემ ემპოლი ქართველებით დააინტერესა

მჭედლიძე-ემპოლის ალიანსი ამუშავდა

იტალიელები ქართველებს დააფინანსებენ

ლევან მჭედლიძის "ემპოლიში" გადასვლა არა მარტო ერთი კონკრეტული ფეხბურთელისთვის აღმოჩნდა სასარგებლო. 17 წლის ფორვარდი იტალიურ კლუბში უკვე ორი წელია ვარჯიშობს და მას შემდეგ სერია ა-ს ბინადარი კლუბი ქართველებით დაინტერესდა.

შარშან, 12 ოქტომბერს, თბილისში "ემპოლის" წარმომადგენელი **მარჩელო კარლი** და მენეჯერი (იტალიის ნაკრების ვარსკვლავების, პირლოს, ძამბროტას, კამორანეზისა და ტონის აგენტი) **დევიდე ტურკია** ჩამოვიდნენ.

მათი სტუმრობით ქართულ ფეხბურთში ბევრი რამ შეიცვალა, რადგან საფეხბურთო სკოლა "ოლიმპიკის" პრეზიდენტ **კარლო მჭედლიძესთან** დიდი პროექტის განხორციელებაზე შეთანხმდნენ. სანამ საქმეზე გადავიდოდეთ, გეტყვით, რომ "ემპოლის" ფორვარდი ლევან მჭედლიძე "ოლიმპიკის" აკადემიის პრეზიდენტის ვაჟია. შარშან იქვე ვარჯიშობდა მისი ძმა გიორგიც, მაგრამ ის ტრავმამ შეაწუხა და რა ბედი ელის, ბატონი კარლო მჭედლიძე ამაზეც გვესაუბრება.

- იტალიელთა სტუმრობის დროს ითქვა, რომ ისინი "ოლიმპიკის" ბაზაზე კლუბის ჩამოყალიბებას აპირებდნენ. მას შემდეგ გეგმები ხომ არ შეცვლილა?

- რა თქმა უნდა, არა. იტალიელებს ისევე სურთ პროექტის განხორციელება და ნელ-ნელა დავიწყეთ კიდეც. ხელშეკრულება გაფორმებულია, იტალიელებს ჩვენი ფეხბურთი აინტერესებთ და რაც მთავარია, ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ესაა მთავარი.

- კონკრეტულად რა პროექტი ხორციელდება?

- მათ საკუთარი ფარმკლუბის ჩამოყალიბება შარშან გადაწყვიტეს და პროგრამა ნელ-ნელა ხორციელდება.

სხვათა შორის, ერთი კვირის წინათ "ემპოლის" მიწვევით 1992 და 1993 წელს დაბადებული ბავშვების გუნდი ჩავიყვანეთ. ეს არ იყო სტუმრობა, ისე მიგვიღეს, როგორც გუნდის წევრები. საკუთარ ბაზაზე დაგვაბინავეს, სერია ა-ს გუნდის ბაზაზე შემთხვევით არავინ გაგაჩერებს. იქ "ემპოლის" შესაბამისი ასაკის გუნდს შევხვდით.

ჩვენ არც გვსურს პროექტის ერთბაშად განხორციელება. რაც მთავარია, ბავშვების ჩაყვანა და ტურნირებში მონაწილეობა წესად იქცევა. ეს ჩვენ ბავშვებს თანამედროვე მოთხოვნებს შეაჩვევს. შემდეგი ვიზიტი თებერვალში დაიგეგმა. იტალიელები მოგვამარაგებენ ფორმებით, მოამზადებენ ჩვენს სპეციალისტებს, თავადაც აპირებენ მწვრთნელების გამოგზავნას და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი - ტოსკანის მხარეში საქართველოს სიმპატიით უყურებენ. ნდობის ფაქტორი ბევრს ნიშნავს.

- შარშან საუბარი იყო "ოლიმპიკის" ბაზაზე დიდების გუნდის, "ოლიმპიკი - ემპოლის" ჩამოყალიბებაზე. ეს შეთანხმებაც ძალაშია?

- რა თქმა უნდა. ჩვენ წლეულს პირველ ლიგაში ვთამაშობთ და იტალიელებს დიდ იმედებს ვუკავშირებთ. ისე გუნდის გამოყვანას ვერ გავრისკავდით.

გეგმაშია სტადიონის კეთილმოწყობაც. ამაშიც დახმარებას გვპირდებიან, მაგრამ სტადიონი ახლაც არაა ცუდ მდგომარეობაში. აქ ნაკრებებიც ვარჯიშობენ, ახლა 19-წლამდელთა შესარჩევი ციკლის თამაშები მალე დაიწყება და "ოლიმპიკზე" ნორვეგიელები ივარჯიშებენ.

- სააგენტო "ტუტომერკატომ" გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს, "ემპოლის" გარდა, თქვენს ვაჟს, ლევანს მიუნხენის "ბაიერნიც" იწვევდა.

- ეს ამბავი მეც მისი მენეჯერებისგან შევიტყვე. თუმცა დეტალები მათ იციან და ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ. იყო ასეთი შეთავაზება, მაგრამ მან იტალიაში თამაში არჩია. იქ ფეხბურთელის გაზრდის მეტი პერსპექტივაა.

- მეორე ვაჟი გიორგი სად თამაშობს?

- გიორგი "ემპოლის" ძირითად გუნდში ვარჯიშობდა, მერე მეორე გუნდში გადაიყვანეს, მაგრამ დაშავდა და ახლა იურისპრუდენციას სწავლობს. მეშვიდე წელია ასე გრძელდება, ერთმანეთის მიყოლებით მძიმე ტრავმები მიიღო და ახლა ფეხბურთიდან წასვლაზე ფიქრობს.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერები

ასათიანის სიმბოლური ჰეთ-თრიქი

რევიშვილი და მუჯირი საუკეთესოებში მოხვდნენ

საქართველოს ნაკრების კანდიდატები რუსეთის სხვადასხვა გამოცემის ნომინაციებში საუკეთესოთა შორის დაასახელეს. დავიწყოთ თანამიმდევრობით, ანუ მეკარის პოზიციიდან: "სოვეტსკი სპორტის " მიერ დასახელებულ რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო მეკარეების ათეულში ყაზანის "რუბინის" ქართველი მეკარე **ნუკრი რევიშვილი** მოხვდა.

"სოვეტსკი სპორტს" აქვს ნომინაცია "მეკარის საიმედოობა". ეს სტატისტიკოსების სამუშაოა და მათ დაითვალეს, რომ ნუკრიმ დარტყმული ბურთების 80 პროცენტი მოიგერია, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია და, სხვათა შორის, ამ მაჩვენებლით უშუალო კონკურენტს, ლატვიელ **ალექსანდრ კოლინკოსაც** უსწრებს და ათეულში მეცხრე ადგილზეა.

სხვათა შორის, ნუკრი რევიშვილი ახლა ტრავმირებული აღარაა, ბოლო ტურში "რუბინის" სათადარიგოთა სკამზეც იჯდა და ამდენად არასწორი ინფორმაციაა, თითქოს ნაკრებში ტრავმის გამო არ მიიწვიეს. ყაზანელთა მთავარმა მწვრთნელმა **ყურბან ბერდიევმა** განაცხადა, რომ ნუკრიმ ორი კვირის წინათ გაანახლა ვარჯიში და მისი იმედი აქვს. სხვათ შორის, ნუკრის წლეულს ძირითადში კოლინკოსთან ერთად დაყენებას უპირებდა, მაგრამ 19 წლის ქართველი მეკარე გაწვალდა - ლიტვასთან მატჩამდე დაშავდა და მას შემდეგ მკურნალობდა.

მართალია **ალექსანდრე ჩიხრაძე** საქართველოს ნაკრების წევრი მხოლოდ იდეაში იყო, მაგრამ მისი ამბავიც არ უნდა იყოს უინტერესო. ის მეორე ათეულის ბოლოშია - დარტყმული ბურთების მხოლოდ 59 პროცენტი მოიგერია.

ამ ნომინაციაში მოსკოვის "სპარტაკის" მეკარე **ხომიჩი** ლიდერობს, მეორე არმიელი **მანდრიკინია**, მესამეზე კი "ხიმკის" მეკარე **ბერეზოვსკი**.

ტრავმისა და რამდენიმე არადამაჯერებელი თამაშის შემდეგ, **მალხაზ ასათიანი** ფორმას იბრუნებს. ის 23-ე ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. 26-ე ტურის შემდეგ კი საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის "ლოკომოტივის" ცენტრალური მცველი ერთბაშად სამი გამოცემის ვერსიით დაასახელეს სიმბოლურში.

სოკერ.რუ ქართველი მცველის სიმბოლურში შეყვანის საფუძვლებზე წერს: *"ქართველი ლეგიონერი რკინიგზელთა შემადგენლობაში წარმატებით დაუპირისპირდა "ზენიტის" ფორვარდებს. თავდაჯერებულად გამოიყურებოდა დაცვაში და თანაგუნდელებს შეტევაშიც ეხმარებოდა."*

მალხაზ ასათიანი

"სოვეტსკი სპორტი" პრემიერლიგის საუკეთესო პოსტსაბჭოელს წლის ბოლოს გამოავლენს. ამჟამად სამარის "კრილია სოვეტოვისა" და საქართველოს ნაკრების ფლეიმეიკერი **დათო მუჯირი** მე-5-6 ადგილს იყოფს "მოსკვას" მოლდოველ ლეგიონერ **ივანოვთან**. მან გასულ თამაშებზე მატჩების საშუალო არითმეტიკულით 5,62 ქულა დააგროვა.

პირველ ადგილზე უკრაინელი **ანატოლი ტიმოშჩუკია** (5,88), მეორეზე ბელორუსი **ჟევნოვი** (5,79), მესამეზე კი მისივე თანამემამულე **ანდრეი გურენკო** (5,71)

მერაბ მამულაშვილი

ზუგდიდელები ბარსელონაში

უკვე გაცნობეთ, რომ სკოლბურთის "პეპსის თასის" გამარჯვებული ზუგდიდის პირველი საჯარო სკოლის გუნდი "ბაია" ბარსელონის საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ზუგდიდელები ესპანეთში წუხელ გაფრინდნენ, მანამდე კი პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც ქართული დელეგაციის შემადგენლობა დასახელდა.

ოფიციალურ პირთაგან ქართულ დელეგაციაში პფლ-ის გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი**, საქართველოს ეზოს ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი **შოთა ბაქრაძე** და ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი **ზაზა ციციშვილი** შევლენ.

ბარსელონაში გაემგზავრებიან "ბაიას" მთავარი მწვრთნელი **გიორგი გუბელაძე** და მისი ასისტენტები, **გრიგოლ ლომთაძე** და **მალხაზ მესხი**.

გუნდის შემადგენლობა კი ასეთია: **ნიკოლოზ ხოჭოლავა, დავით გაბუნია, დავით ქირია, გიორგი ბულესკირია, გელა კორთუა, არჩილ მესხი, დავით ფირცხალავა, ცოტნე სამუშია, ირაკლი გუბელაძე, რევაზ ფარცვანია, ლუკა კობერიძე, ზურაბ ჩხაიძე, სანდრო კერესელიძე, მიხეილ მესხი, გიორგი ლომთაძე**.

"ბაია" ბარსელონაში პირველ მატჩს 15 ოქტომბერს ჩაატარებს, ჩვენი გუნდი მინიმუმ სამ შეხვედრას გამართავს, ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაში კი ბუნებრივია, ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობს.

ლევან ჯანეზაშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;

CDN 55 ტელეფონის დადგმა;

CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;

GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;

CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!

ირ. აბაშიძის 14

ტელ.: 550 055, 259 555

cdn@cdn.ge, www.cdn.ge

24 საათის განმავლობაში

• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა

• გარანტირებული ხარისხი • გადაიხდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!

მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

ერთიანი ბიზნეს ინფორმაცია

დორტმუნდი

ბორუსიას ვან ბუიტენი უნდა

BVB დაცვას მიხედავს: კირიაკოსიც დოლის სიაშია...

ჩვენი გერმანელი კოლეგები ჯერ კიდევ ბუნდესლიგის მეორე ტურის შემდეგ წერდნენ, დორტმუნდის "ბორუსია" ასეთი ამაზრზენი დაცვით მეორე ბუნდესლიგაში გავარდებაო. 9 ტურის შემდეგ, ვესტფალიური კლუბის მდგომარეობა ამ მხრივ არ შეცვლილა: "ბორუსიას" 17 გოლი აქვს გაშვებული და ამაზე უარესი მაჩვენებელი მხოლოდ "კოტბუსს" (18) და "არმინიას" (22) აქვთ. ფაქტი ის გახლავთ, რომ "დორტმუნდმა" სასწრაფოდ რაღაც უნდა იღონოს, თორემ 35 წლის **კრისტიან ვიორნსისა** და 33 წლის **რობერტ კოვაჩის** ნდობა აღარ შეიძლება.

BVB-ს ბოსები გულხელდაკრეფილები ნამდვილად არ არიან, ისინი საქმეს შეუდგნენ. "ბილდის" ინფორმაციით, "ბორუსიამ" "ბაიერნის" ცენტრალურ მცველ **დანიელ ვან ბუიტენს** დაადგა თვალი. ამ ფეხბურთელის ყიდვა ან არენდით აყვანა დორტმუნდელთა თავკაც **თომას დოლის** პირადი მოთხოვნა და სურვილია. 29 წლის ბელგიელი უკანახაზელი "ჰამბურგშიც" დოლის შეგირდი იყო და ამ სპეციალისტს მისი გადაბირება ამიტომაც უნდა. ჩვენი გერმანელი კოლეგები ირწმუნებიან, რომ "დორტმუნდს" "ბაიერნთან" მოლაპარაკებების დაწყება სურს. გაუშვებს კი რეკორდმაისტერი აყლაყუდა (1.96 მეტრი) მცველს?

შარშან, სანამ მიუნხენური გიგანტის მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** იყო, ვან ბუიტენი რეგულარულად "ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა, მაგრამ **ოტმარ ჰიტცფელდის** ხელში ეს უკანასკნელი მუდმივად სათადარიგოა, ძირითადში კი, **ლუსიოსთან** ერთად, **მარტინ დემიკელისი** ასპარეზობს ხოლმე. "ბორუსიის" მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** ვან ბუიტენით დაინტერესებას არც უარყოფს და არც ადასტურებს, მაგრამ "ბილდი" სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ BVB-ს ბელგიელის გადაბირება ძალიან უნდა.

ვან ბუიტენი

თუმცა ვან ბუიტენი არ არის ერთადერთი მცველი, რომელიც "დორტმუნდის" სამიზნეში მოხვდა. "ბორუსიამ" ფრანკფურტის "აინტრახტის" ბერძენ უკანახაზელ **სოტირიოს კირიაკოსსაც** დაადგა თვალი (28 წლის, 1.93 მეტრი). ამ უკანასკნელს ფრანკფურტულ კლუბთან კონტრაქტი სეზონის დასრულებისთანავე უმთავრდება და რაკი აგერ უკვე მეორე სეზონია, რაც შესანიშნავად თამაშობს და ბუნდესლიგაში ერთერთი საუკეთესო მცველია, სერიოზული მთხოვნელები გამოუჩნდნენ. ცნობილია, რომ "აინტრახტი" მზადაა, კირიაკოსს ზამთარში 3 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეელიოს. "დორტმუნდის" გარდა, მისი შეძენა "ვერდერსა" და "შტუტგარტსაც" სურთ.

მოსალოდნელი ტრანსფერები

ოუენი სიტიში 15 მილიონად?

ნიუკასლი მის შემცვლელად ანელკას ამზადებსო...

სვენ გორან ერიქსონს მაიკლ ოუენის შეძენა უნდა. შვედი სპეციალისტი "მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელობას "ნიუკასლთან" მოლაპარაკებების დაწყებას სთხოვს. ოუენი ინგლისელთა სანაკრებო შეკრებაზე იმყოფება. ჯორდების თავკაცი **სემ ელერდაისი** მას თამაშისაგან თავის შეკავებას ურჩევდა. მაიკლი ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ არის. მორიგი ტრავმის შემდეგ მან მხოლოდ ერთხელ ითამაშა და გოლი შეაგდო. **სტივ მაკლარენმა** ის, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ გამოიძახა. ოუენი 15 მილიონი გირვანქა ღირს. მისი კვირეული ანაზღაურება 110 ათასი გირვანქაა. "სიტის" საუკეთესო ფეხბურთელებს 50 ათას გირვანქაზე მეტს არ უხდიან. მაიკლის ტრანსფერის შემთხვევაში კლუბს სახელფასო პოლიტიკის გადახედვა მოუწევს. მაგრამ სვენი ამას არად დაგიდევთ. მას ოუენი სჭირდება. მანჩესტერელთა ბოსმა **ტაქსინ შინავატრამ** კი დიდი ხნის წინ დაარწმუნა ის, რომ იანვრის ტრანსფერებისათვის სოლიდური თანხა გამოიყოფა.

27 წლის ოუენი "ნიუკასლში" 2005 წლის ზაფხულში მადრიდის "რეალიდან" გადავიდა. მის სანაცვლოდ 16 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ინგლისში დაბრუნების შემდეგ მაიკლს ქრონიკული ტრავმები დასჩემდა. ორი წლის განმავლობაში მან ნიუკასლელთა ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ 17-ჯერ ითამაშა. გასულ ზაფხულს ოუენმა გააკეთა განცხადება, რომელიც "ნიუკასლის" ფანებმა შეურაცხყოფად მიიღეს. მან თქვა, კონტრაქტში მიწერია, რომ 11 მილიონ გირვანქად შემიძლია წავიდე და შესაძლოა, ასეც მოხდესო. "ევერტონთან" ბოლო ტურის მატჩისას, როცა ოუენი შეცვლაზე გამოვიდა, გულშემატკივრებმა სტვენა აუტეხეს, ხოლო როცა თავდამსხმელმა გოლი შეაგდო, ყურზე ხელი მიიდო და იმ ფანებს გამოაჯავრა, რომელთაც უსტვინეს. რაკი ფეხბურთელისა და ქომაგების ურთიერთობა იდეალური არ არის, ტრანსფერიც სავსებით რეალურია. "სიტი" მისი ოცნების კლუბი არ არის, მაგრამ სხვა სარფიანი წინადადებები არ აქვს. მაგალითად, ზაფხულის ტრანსფერებისას "მანჩესტერ იუნაიტედმა" მის შეძენაზე უარი თქვა. მიზეზი ფეხბურთელის ქრონიკული ტრავმები იყო. ფაქტია, რომ ოუენთან კონტრაქტის გაფორმება რისკია. მაგრამ სვენი თანახმაა, ეს რისკი გასწიოს. თუ მაიკლი მანჩესტერულ კლუბს მიაშურებს, "ნიუკასლი" ბოლტონელ **ნიკოლა ანელკას** გადაიყვანს. ანელკა "ბოლტონში" ელერდაისმა ჩაიყვანა და მისი აბარგების შემდეგ ფრანგ ფორვარდსაც სამსახურის გამოცვლას უწინასწარმეტყველებდნენ.

მაიკლ ოუენი, შეიძლება, სიტიში ჩაირიცხოს...

რეალმა მუტუ მოიკითხა

ესპანური საგენტოების ცნობით, მადრიდის "რეალი" **ადრიან მუტუთი** დაინტერესდა. ესპანური გრანდი მზადაა, თავდამსხმელს ფლორენციულზე ორჯერ მაღალი ანაზღაურება შესთავაზოს, "ფიორენტინას" კი 15 მილიონი ევრო შეაძლიოს. მუტუს "იებთან" კონტრაქტი 2011 წელს ეწურება. მისი წლიური ხელფასი 1.75 მილიონი ევროა. მადრიდში გადასვლის შემთხვევაში, 3.5 მილიონს გადაუხდიან. "რეალის" სტატუსზე რომ არაფერი ვთქვათ, ხელფასი უკვე საკმარისი საბაბია, რათა თავდამსხმელმა ტრანსფერზე იფიქროს.

გარი ნევილის სამი კვირა

გარი ნევილის დაბრუნების თარიღი ისევ უცნობია. "მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი 20 ოქტომბერს "ასტონ ვილასთან" აპირებდა თამაშს. საამისოდ, "ლივერპულისა" და "იუნაიტედის" სარეზერვო გუნდების გუშინდელ მატჩში უნდა ეთამაშა. ეს გენერალური რეპეტიცია უნდა ყოფილიყო მინდორზე დაბრუნების წინ, მაგრამ მან მინდორზე გასვლა ვერ მოახერხა. ნევილს ერთბაშად სამი ტრავმა აწუხებს: კოჭის, წვივისა და ბარძაყის. მისი ნაადრევი დაბრუნება სარისკოა. ექიმების შეფასებით, ფეხბურთელს კიდევ სამი კვირა კიდევ გაუცდება.

ბექჰემი მალე დაბრუნდება

დევიდ ბექჰემმა ვარჯიში განაახლა, მაგრამ ამ უქმეებზე არ ითამაშებს. "ლოს ანჯელეს გალაქსის" გენერალური მენეჯერი **ალექსი ლალასი** ამბობს, რომ ინგლისელი გალაქტიკო ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს. ის მინდორზე მხოლოდ მაშინ გავა, როცა ტრავმის გამეორების ალბათობა მთლიანად მოიხსნება. ბექჰს იმდენი დრო აქვს, რამდენიც ოპტიმალური ფორმის ასაკრეფად დასჭირდება.

მარტის მიწურულს, საფრანგეთი vs ინგლისი

ინგლისსა და საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციები ამხანაგური მატჩის გამართვაზე შეთანხმდნენ. 26 მარტს ორი ევროპული გრანდის დაპირისპირება "სტად დე ფრანსზე" გაიმართება. მეტოქეები იმედოვნებენ, რომ ევროპის ჩემპიონატის მიღმა არ დარჩებიან. ასეთ შემთხვევაში, ეს სპარინგი ჩინებული შესაძლებლობა იქნება ტურნირისთვის მაღალ დონეზე მოსამზადებლად. ფრანგებს კიდევ ორი თამაში აქვთ დანიშნული. 6 თებერვალს ისინი ესპანელებს შეხვდებიან (ადგილი ჯერ არ გარკვეულა), ევროპის ჩემპიონატამდე "ლურჯებს" რუმინელებთანაც მოუნევთ საქმის დაჭერა.

რეალი

სამეფო კლუბი ესპანეთის საპატიო ელჩია

"ესპანეთის ტიტულოვან ადამიანთა" ასოციაციამ მადრიდის "რეალი" ესპანეთის საპატიო ელჩად აირჩია. პრეზიდენტმა, **რამონ კალდერონმა** ამ გარემოებით ძალიან გაიხარა და ასოციაციას გულითადი მადლობა გადაუხადა. თუმცა სენიორ კალდერონის მადლიერება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლა. მან გადაწყვიტა ქვეყნის წინაშე ვალი პირნათლად მოიხადოს: *"ტიტულოვან ადამიანთა ასოციაციის" ასეთი აღიარება უდიდესი პატივია. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ესპანეთის სახელი კიდევ უფრო შორს გავიტანოთ. თანამშრომლებთან მოთათბირების შემდეგ გადავწყვიტეთ, სამეფო კლუბის მაისურებზე ეროვნული დროშა ამოვტვიფროთ. ვფიქრობ, ეს საქმე ესპანეთის პოპულარიზაციას ხელს შეუწყობს. ჩვენს ტექნიკურ სპონსორს ესკიზებს უახლოეს მომავალში გავუგზავნით".*

აღსანიშნავია, რომ ხსენებული ასოციაციის დაფასება აქამდე არაერთ ადამიანსა თუ ორგანიზაციას ხვდა წილად, მაგალითად, ცნობილ მეცნიერს **ჟოან მასაგეს**, კინორეჟისორ **პედრო ალმოდოვარს**, ინსტიტუციური ურთიერთობების ცნობილ სპეციალისტსა და პოლიტიკოსს, **ხავიერ სოლანას**, ორგანიზაციების მართვის დოქტორ **რაფაელ დელ პინოსა** და მრავალ სხვას.

ბილბაო

ახალი პრეზიდენტი ბასკებს გამდიდრებას ჰპირდება

"ბილბაოს" ახალი პრეზიდენტი **ფერნანდო გარსია მაკუა** გუნდის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვას შეუდგა. დირექტორატის წევრებთან ერთად მან რამდენიმე პროექტი განახორციელა და საზოგადოებას ახარა, რომ ბასკურ კოლექტივს სხვადასხვა სპონსორისგან ერთბაშად 52.5 მილიონი ევროს მიღების რეალური შანსი გაუჩნდა. სენიორ მაკუას თქმით, "ბილბაოს" სათადარიგო გუნდს ამ თანხიდან 1.25 მილიონი ევრო მოხმარდება. მწვრთნელებს 2.9 მილიონ ევროს უბოძებენ, დანარჩენი ფული ძირითადი გუნდის განვითარებისა და ფეხბურთელების ხელფასების გაზრდისთვის დაიხარჯება. პრეზიდენტი ამითაც არ კმაყოფილდება, მან "ბილბაოს" მაისურებზე სარეკლამო წარწერის ამოტვიფრასთან დაკავშირებით სერიოზული პროპაგანდა წამოიწყო. ცნობილია, რომ "ბარსელონის" მსგავსად, ამა თუ იმ კომპანიის რეკლამირებას ბასკური კოლექტივიც უარყოფდა. საამისო მიზეზი საკმაოდ საინტერესოა, ბილბაოელები და კატალონიელები მიიჩნევენ, რომ მათი კლუბები არა მხოლოდ ჩვეულებრივი საფეხბურთო კოლექტივები, არამედ ეროვნული გუნდები არიან. მართლაც, პრინციპული და პატრიოტული შეხედულებაა, მაგრამ გაჭირვებამ თავისი მოიტანა. "ბილბაოს" ფული სჭირდება, ამიტომ გარსია მაკუმ გადაწყვიტა, ჯერჯერობით უცნობ კომპანიას კონტრაქტი გაუფორმოს, მაისურებზე მისი ლოგო დაატანოს, სანაცვლოდ კი 3 მილიონი ევრო მიიღოს. აღსანიშნავია, რომ გუნდის უმაღლეს ხელისუფალს ეს გადაწყვეტილება ერთპიროვნულად არ მიუღია. მან "ბილბაოს" საზოგადოების წევრთა გაფართოებული კრება მოიწვია. ამ საზოგადოებაში 33 ათასი ადამიანია გაწევრიანებული. შეხვედრას 1000 კაცი დაესწრო. მაკუა მიიჩნევს, რომ სოსიოების ეს რაოდენობა საერთო განწყობას ობიექტურად გამოხატავს. მოკლედ, პრეზიდენტის ინიციატივა კრებამ ერთხმად მოიწონა.

ლივერპული

კიუელი ბრუნდება

მერსისაიდელებმა კრაუჩი 12 მილიონად შეაფასეს

ჰარი კიუელი, სადაცაა, მოედანს დაუბრუნდება. ფეხბურთელი ზაფხულის შემდეგ შვებულებაშია. ის აზიის თასზე, ავსტრალიის ნაკრების შემადგენლობაში თამაშისას დაშავდა. კიუელს საზარდულის ტრავმამ შეახსენა თავი. ფეხბურთელი იძულებით შვებულებაში გავიდა. ქრონიკული ტრავმების მიუხედავად **რაფა ბენიტესს** თავდამსხმელის გაყიდვა არ უფიქრია, მაგრამ ისიც ნათელია, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ, ჰარის დიდი შრომა დასჭირდება ძირითადში ადგილის დასაბრუნებლად. მის არყოფნაში ლივერპულელებმა **იოსი ბენაიუნი** და **რაიან ბაბელი** შეიძინეს. ისინი კიუელის ფუნქციებს შესანიშნავად ართმევენ თავს. თავდასხმაში კი მერსისაიდელებს **ფერნანდო ტორესი** ჰყავთ. სხვათა შორის, ესპანელი ფორვარდი სანაკრებო შეკრებაზე დაშავებული კოჭით გაემგზავრა. ბენიტესმა უნდა ილოცოს, რომ ფეხბურთელი შინ უვნებელი დაუბრუნდეს.

კიდევ ერთი ინფორმაცია ლივერპულელთა ბანაკიდან. ბოლო რამდენიმე დღეა, ინტენსიურად განიხილება **პიტერ კრაუჩის** აბარგების საკითხი. აყლაყუდა თავდამსხმელს სკამზე ჯდომა ყელში ამოუვიდა. ბოლო კლუბი, რომელიც ამ ფეხბურთელით დაინტერესდა, "ვალენსია" გახლავთ. "ღამურების" უმთავრესმა ბომბარდირმა **დავიდ ვილიამ**, შეიძლება, "რეალს" მიაშუროს. ვალენსიელებს კი თავდასხმის გაძლიერება დასჭირდებათ. და აი, "ლივერპულმა" პირველად გამოაცხადა კრაუჩის ღირებულება - 12 მილიონი გირვანქა. განაცხადი გაკეთებულია. პიტერი იყიდება. ყველას, ვინც 12 მილიონს გადაიხდის, ფეხბურთელის წაყვანა შეუძლია. ინგლისელი მიმომხილველების შეფასებით, ეს მეტისმეტად გაბერილი თანხაა. ასეთი თანხის დასახელება კი მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება: ბენიტესს არ სურს, რომ კრაუჩი წავიდეს, მაგრამ მისი აბარგება არც დიდი ტრაგედია იქნება.

ერთიანი ინფორმაცია

იუვენტუსი

დიეგო იანვარში?

ვერდერი ასტრონომიულ თანხას მოითხოვს...

იტალიური პრესის ინფორმაციით, "იუვენტუსი" საიანვროდ სერიოზულ ტრანსფერებს გეგმავს. ერთ-ერთი, ვინც "ბებერი ქალბატონის" თვალთახედვის არეშია, "ვერდერის" ბრაზილიელი ვარსკვლავი **დიეგო** გახლავთ. 22 წლის ფლეიმეიქერმა

დიეგო

ეროვნული ნაკრების ღირსება უკვე 24-ჯერ დაიცვა, რაც უდავოდ შთამბეჭდავი შედეგია. დიეგოს კლასზე მარტო ბრემენულ კლუბში მოღვაწეობაც მეტყველებს. ის უაღრესად ტექნიკურია და გოლებიც ხშირად გააქვს, ძლიერია სტანდარტულ სიტუაციებშიც. მოკლედ, ეს არის ფეხბურთელი, რომელიც ნებისმიერ გუნდს გამოადგებოდა.

მის პოზიციაზე "იუვენტუსს" **სერხიო ალმირონი** და **ტიაგო მენდეში** ჰყავს. თუმცა, ჯერჯერობით, ისინი მათზე გაცემულ ავანსებს ვერ ამართლებენ. **კლაუდიო რანიერი** კი ვერ დაელოდება იმ დროს, როცა ხსენებული ფეხბურთელები ადაპტაციის პერიოდს დაასრულებენ. გუნდს დიდი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი და ყოველი დღე მნიშვნელოვანია. დიეგო კი იმ კალიბრის მოთამაშეა, რომელსაც "იუვენტუსთან" მორგება, წესით, არ უნდა გაუჭირდეს. "ტუტოსპორტის" ცნობით, ტურინული გრანდის სკაუტები უკვე რამდენჯერმე დაესწრნენ "ვერდერის" მატჩებს და "პორტუს" ყოფილი ვარსკვლავის თამაშით აღფრთოვანებულნი დარჩნენ.

რაც შეეხება ტრანსფერის განხორციელების ალბათობას. "ვერდერმა" ამ სეზონის წინ საკმარისი დანაკარგი განიცადა და სავარაუდოა, რომ ბრემენული კლუბის ბოსები დიეგოს შესანარჩუნებლად ძალ-ღონეს არ დაიშურებენ. მაგრამ "ვერდერის" დარი კლუბები (ვგულისხმობთ ფინანსურ მდგომარეობას) მსგავს სიტუაციებში ხშირად ნებდებიან ხოლმე, როგორც ეს **მიროსლავ კლოზეს** მაგალითზე მოხდა. კონტრაქტის მიხედვით, დიეგოს "ვეზერშტადიონზე" დარჩენა 2011 წლამდე მოუწევს. გასაგებია, რომ "ვერდერი" მასში ასტრონომიულ თანხას მოითხოვს, მაგრამ რამდენს, ეს ზუსტად ჯერ არ არის ცნობილი. დავამატებდით, რომ დიეგოს იტალიური პასპორტიც აქვს, რაც "იუვენტუსისთვის" დამატებითი პლუსია.

ფრანჩესკო გვიდოლინი

ქუინზ პარკი

გვიდოლინი აქ არის, დელ პიეროც მოდის?

იტალიელი ტაქტიკოსი **ფრანჩესკო გვიდოლინი** "ქუინზ პარკ რეინჯერსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობას დათანხმდა. ეს პოსტი ვაკანტური იყო 1 ოქტომბრის შემდეგ, როცა სამუშაოდან დაითხოვეს **ჯონ გრეგორი**, კაცი, რომელმაც "ევერტონში" ნაყოფიერი მოღვაწეობით გაითქვა სახელი. გვიდოლინი კი "პალერმოდან" წასვლის შემდეგ უმუშევარი გახლდათ. "ქუინზ პარკში" ფორმულა 1-ის ბოსების, **ბერნი ეკლსტოუნისა** და **ფლავიო ბრიატორეს** მისვლის შემდეგ, იქ მუშაობა მომხიბლავ პერსპექტივად იქცა, თვით იმისდა მიუხედავად, რომ 10 ტურის შემდეგ პირველი დივიზიონის (დღევანდელი Championship, რომელშიც 24 გუნდი მონაწილეობს) სატურნირო ცხრილში ამ გუნდს ბოლო ადგილი უკავია. "ქუინზ პარკმა" პირველი გამარჯვება წინა ორშაბათს, "ნორვიჩ სიტისთან" მატჩში მოიპოვა. სწორედ ამ თამაშს დაესწრო გვიდოლინი და ამ პირველი გამარჯვების ფონზე, ახალ სამსახურზე თანხმობაც განაცხადა.

ზემოთ პერსპექტივა ვახსენეთ და, ამას რაც შეეხება, რა თქმა უნდა, ეს ფულია, ფული, რომელსაც ბრიატორე-ეკლსტოუნის ტანდემი ნამდვილად არ დაიშურებს. მაგალითად, საწყის ეტაპზე გვიდოლინს ისინი პირველი დივიზიონისთვის უპრეცედენტო თანხას, 20 მილიონ გირვანქას გამოუყოფენ. ამ ფულით სერიოზული ტრანსფერების გაჩარხვა შეიძლება. ეგ არის, რომ დასაწყისშივე ბევრია დაკარგული და გუნდს პრემიერლიგაში დაბრუნება ძალიან გაუჭირდება. შეიძლება ითქვას, ამ გადასახედიდან ეს არარეალურიცაა. თუმცა იმავე პერსპექტივის გამო, ერთი წელიწადი მოცდაც შეიძლება, მით უფრო, თუ "ქუინზ პარკში" პოპულარული ფიგურები გამოჩნდებიან.

როგორც ამბობენ, "პირველი მერცხალი", შეიძლება, **ალესანდრო დელ პიერო** იყოს. ალექსს "იუვენტუსთან" ახალი კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია. ამ მხრივ, მისი მომავალი ბურუსითაა მოცული, მიუხედავად იმისა, რომ ტურინელ ბოსებს კლუბი მის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ, ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ სწორედ ასეთი კომენტარები კეთდება. ბრიატორეს კი დელ პიეროს საფეხბურთო მონაცემების გარდა, ბრენდიც აინტერესებს. იტალიელ ვეტერანს ამ სფეროშიც სერიოზული სამუშაოს გაწევა შეუძლია. ასევე იმიჯზე გათვლილი ნაბიჯი იყო დირექტორთა საბჭოში სახელგანთქმული სუპერმოდელისა და ბრიატორეს ყოფილი "გერლფრენდის" **ნაომი კემპბელის** შეყვანაც.

მოკლედ, თითქმის განწირულ "ქუინზ პარკში" საქმე დაიძრა. ბოლოს კი იმასაც შეგახსენებთ, რომ 33 წლის დელ პიეროს ნიუ იორკის "რედ ბულიც" (MLS) ეპატიჟება.

ინტერვიუ ტორსტენ ფრინგსთან

ბაიერნს ისევ ვერდერი თუ მოუგებს...

დროებითი ბუნდესკაპიტანი დარწმუნებულია, რომ გერმანია ევროპის ჩემპიონატის საგზურს დღესვე, ირლანდიაში გაინაღდებს...

მიხაელ ბალაკის, ბერნდ შნაიდერისა და მიროსლავ კლოზეს არყოფნაში, ბუნდესმწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა გერმანიის ნაკრების კაპიტნად ტორსტენ ფრინგსი დანიშნა - ფეხბურთელი, რომელიც ბუნდესნაკრების მოტორია. მას მერე, რაც ფრინგსი გამოჯანმრთელდა, დიდი ხანი არ გასულა, მაგრამ "ვერდერის" ნახევარმცველი ამბობს, რომ უახლოესი სანაკრებო მატჩებისთვის (დღეს, ირლანდიაში და ოთხშაბათს ჩეხეთთან) სრულ მზადყოფნაშია. "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში ფრინგსმა არაერთ საინტერესო საკითხზე ისაუბრა...

- ჰერ ფრინგს, ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ, მოედანს დაუბრუნდით. საინტერესოა, როგორ ფორმაში ხართ, წინ ხომ სანაკრებო მატჩებია?

- სრულ მზადყოფნაში ვარ, არაფერი აღარ მაწუხებს. გამოჯანმრთელებიდან დიდი დრო არ გასულა, მაგრამ თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ ფორმის პიკამდე მხოლოდ 10 პროცენტი მაკლია.

- ლაზარეთში ყოფნის დროს ხომ არ ფიქრობდით იმის შესახებ, რომ შესაძლო იყო, ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაგეკარგათ?

- გერმანიის ნაკრებში? ასეთ რამეზე ერთი წამითაც არ მიფიქრია. პირდაპირ გეტყვით, ბუნდესგუნდში ადგილის დაკარგვის არ მეშინია.

- რატომ, განა იოახიმ ლიოვის გუნდში არასაკმარისი კონკურენციაა?

- კონკურენცია საკმაოზე მეტად დიდია და ისიც ვიცი, რომ სასტარტო შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არავის აქვს, რაც ძალიან კარგია. მაგრამ იმისთვის, რომ სკამზე გადავინაცვლო, ჯერ ისეთი ფეხბურთელი უნდა გამოჩნდეს, რომელიც მაჯობებს. ჩემდა საბედნიეროდ, ჯერჯერობით, ასეთ მოთამაშეს ჰორიზონტზეც კი ვერ ვხედავ.

- ზედმეტად თავდაჯერებული ხომ არ ხართ?

- მოდით, გულახდილად ვისაუბროთ. რა მნიშვნელობა აქვს, ზედმეტად თავდაჯერებული ვარ თუ არა? მთავარი ის არის, რომ მოედანზე თავს არასდროს ვზოგავ. განა ვინმე იტყვის, ფრინგსი ბოლომდე არ იხარჯება, მონდომება და მოტივაცია აკლიაო? ცხადია, ამას ვერავინ დამწამებს. შესაბამისად, მეც დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი საფრთხე არ მემუქრება.

- "ვერდერზე" ვისაუბროთ. არის თუ არა ბრემენული კლუბი მზად იმისთვის, რომ "ბაიერნს" ჯეროვანი კონკურენცია გაუწიოს?

- "ვერდერი" "ბაიერნს" არაფრით ჩამოუვარდება, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ ყველა წამყვანი მოთამაშე მწყობრში გვყავს. მიუხხენელთა უპირატესობა ის არის, რომ მათ უფრო გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვთ და როცა "ბაიერნის" რომელიმე ფეხბურთელი დაშავდება, ოტმარ ჰიტცფელდს სკამზე მისი ღირსეული შემცვლელი მოეძებნება. "ვერდერი" კი, თავს ასეთი ფუფუნების უფლებას ჯერ ვერ აძლევს, მაგრამ ნუ დარდობთ, მოვა დრო, როცა რეკორდმაისტერს ამ მხრივაც გავუთანაბრდებით. ერთი სიტყვით, სანამ ყველა ფეხბურთელი მწყობრში არ ჩადგება, "ბაიერნის" ღირსეულ მეტოქეობაზე საუბარი არ ღირს. მაგრამ ჩვენ ჩასაფრებულები ვართ და საკმარისია, "ბაიერნს" კრიზისი დაეწყოს, რომ ამას მაშინვე ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენებთ. იცით, რა უპირატესობა აქვს "ვერდერს" რეკორდმაისტერთან შედარებით? როცა "ბაიერნი" წააგებს, მიუხხენში ჯოჯოხეთი დაიწყება და მე დარწმუნებული ვარ, რომ ბავარიელები იმ წნეხს ვერ გაუძლებენ და კიდევ რამდენიმე მატჩს ჩააგდებენ. "ვერდერი" კი ასეთი ზეწოლის ქვეშ არ მოექცევა, იმიტომ, რომ ჩვენ "ბაიერნზე" ნაკლები მოგვეთხოვება.

- ამაში გეთანხმებით, მაგრამ ამისათვის "ბაიერნმა" მინიმუმ ერთი თამაში მაინც უნდა წააგოს. შეუძლია კი რომელიმე გუნდს ბავარიელთა დამარცხება? ჯერჯერობით, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ "ბაიერნის" მომგები არავინაა...

-"ბაიერნს," ისევ და ისევ, "ვერდერი" თუ მოუგებს... ეს ალბათ საპასუხო შეხვედრაში მოხდება, მეორე წრეში. თუ ფორტუნამ ზურგი არ გვაქცია და წამყვანი მოთამაშეები ჯანმრთელად იქნებიან, მეორე წრეში მიუხხენურ მონსტრს აუცილებლად დავამარცხებთ.

- მიროსლავ კლოზე მოედანს უგოლოდ აღარ ტოვებს და მიმდინარე სეზონში უკვე 8 გოლის გატანა მოასწრო. არადა, გასულ სეზონში, "ვერდერში" ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. როგორ გგონიათ, რისი ბრალია ეს?

- ვერ გეტყვით, რა არის ამის მიზეზი. ეს თვითონ კლოზეს უნდა ჰკითხოთ. ფაქტი ის გახლავთ, რომ გასულ სეზონში მიროს ჩვენთან კარგად რომ ეთამაშა, აუცილებლად ჩემპიონები გავხდებოდით.

- როგორ ფიქრობთ, განგებ თამაშობდა ცუდად?

- არა, ამაში 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ! არ არსებობს ფეხბურთელი, რომელსაც კარიერის განმავლობაში პირველად მიეცემა ტიტულის მოგების შანსი და ასეთ დროს განგებ ითამაშებს ცუდად. მირო ასეთი არ არის, მე მას ძალიან კარგად ვიცნობ და ამაში ეჭვი არ მეპარება. ცხადია, "ვერდერის" გულშემატკივრებსაც გული სწყდებათ და უკვირთ ის, რომ ჩვენთან გოლებს ველარ იტანდა, "ბაიერნში" კი ძველებურად ბომბარდირობისთვის იბრძვის, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ კლოზეს ეს განგებ არ გაუკეთებია.

- "ბაიერნის" ხელმძღვანელები გერმანიის ნაკრებს ძველებურად კბენენ. მათ იმის პრეტენზია აქვთ, რომ რეკორდმაისტერი ბუნდესგუნდზე ძლიერია...

- სისულელეა! ეს უდიდესი სისულელეა! გერმანიის ნაკრები იყო, არის და იქნება ქვეყნის უპირველესი და უძლიერესი გუნდი. თუკი "ბაიერნის" ბოსებს საპირისპირო სურთ, მაშინ ისინი მოღალატეები არიან. გასულ წელს გერმანია კინაღამ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ასე რომ, ბრმა არავინაა და ყველა ყველაფერს ხედავს. მიუხხენურ კლუბს 2001 წლის შემდეგ ევროპაში ღირებული აღარაფერი გაუკეთებია, ბუნდესგუნდი კი, 2002 წელს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა, 2006-ში კი მუნდიალზე მესამე ადგილი დაიკავა. თანაც, სად სანაკრებო და სად საკლუბო ფეხბურთი. საკლუბო, სანაკრებოსთან შედარებით არაფერია. როცა რეკორდმაისტერი ჩემპიონთა ლიგას მოიგებს, აი, მაშინ შეეძლებათ ული ჰიონესსა და კომპანიას იმის მტკიცება, რომ გერმანიის ნაკრებზე ძლიერები არიან.

- ლუკას პოდოლსკი "ბაიერნში" სათადარიგოთა სკამს ხეხავს. ხომ არ ურჩევთ, რომ ზამთარში "ვერდერში" გადმოვიდეს?

- მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: თუკი პოდოლსკის "ვერდერში" გადმოყვანა შესაძლებელია, კლაუს ალოფსმა ამ ტრანსფერის განსახორციელებლად ყველაფერი უნდა იღონოს. პოლდი შესანიშნავი ფეხბურთელია და თუ "ბაიერნში" მომავალი არა აქვს, მას "ვერდერი" მიიღებს და უმაღლესი დონის ფეხბურთელად ჩამოაყალიბებს. მე ვერაფერს ვურჩევ, ეს თვითონ ლუკასის გადასაწყვეტია.

- "ბაიერნში" თქვენც თამაშობდით და ამ გუნდში ვერც თქვენ გაიხარეთ. შესაბამისად, გაქვთ იმის უფლება, რომ პოდოლსკის რამე ურჩიოთ...

- პირველ რიგში, იმას ვურჩევ, რომ ყველაფერი დაივიწყოს და მხოლოდ ფეხბურთზე იფიქროს. ეს ყველაზე მთავარი ასპექტია და ვფიქრობ, რომ პოლდის სწორედ ეს პრობლემა აქვს. ჯერ ახალგაზრდაა და საკუთარ თავზე უნდა იმუშაოს. მხოლოდ ამის შემდეგ ექნება იმის შესაძლებლობა, რომ მიუხხენში თავისი ადგილი იპოვოს. წინაღამდეგ შემთხვევაში, პოდოლსკიც ისე დაიკარგება, როგორც ეს ერთ დროს უდიდესი ტალანტის და გრანდიოზული პოტენციალის მქონე ლარს რიკენს დაემართა, რომელიც დღეს დორტმუნდის "ბორუსიის" მოყვარულთა გუნდში თამაშობს.

- გერმანიის ნაკრებში პოდოლსკი და თქვენ მხარდამხარ იბრძვით. ბუნდესგუნდს ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად მხოლოდ 1 ქულაღა სჭირდება...

- ...და დარწმუნებული ვარ, რომ ირლანდიიდან მინიმუმ ქულას წამოვიღებთ. შაბათს გერმანიის ნაკრები პირველი გუნდი იქნება, რომელიც ავსტრიისა და შვეიცარიის ბილეთს დაჯავშნის. გპირდებით, რომ ეს ასე იქნება.

გოტფრიდ ლენცი

EURO2008
Austria-Switzerland

A ჯგუფი

13 ოქტომბერი, 2007

აზერბაიჯანი-პორტუგალია
პოლონეთი-ყაზახეთი
სომხეთი-სერბეთი
ბელგია-ფინეთი

17 ოქტომბერი, 2007

ყაზახეთი-პორტუგალია
აზერბაიჯანი-სერბეთი
ბელგია-სომხეთი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. პოლონეთი	11	6	3	2	17-9	21
2. ფინეთი	11	5	4	2	11-6	19
3. პორტუგალია	10	4	5	1	19-9	17
4. სერბეთი	10	4	4	2	13-8	16
5. ბელგია	10	3	2	5	10-14	11
6. სომხეთი	8	2	2	4	4-8	8
7. ყაზახეთი	10	1	4	5	8-15	7
8. აზერბაიჯანი	8	1	2	5	4-17	5

ჩატარებული მატჩები

ბელგია-ყაზახეთი	0:0
სერბეთი-აზერბაიჯანი	1:0
პოლონეთი-ფინეთი	1:3
აზერბაიჯანი-ყაზახეთი	1:1
ფინეთი-პორტუგალია	1:1
პოლონეთი-სერბეთი	1:1
სომხეთი-ბელგია	0:1
სერბეთი-ბელგია	1:0
პორტუგალია-აზერბაიჯანი	3:0
სომხეთი-ფინეთი	0:0
ყაზახეთი-პოლონეთი	0:1
სერბეთი-სომხეთი	3:0
პოლონეთი-პორტუგალია	2:1
ბელგია-აზერბაიჯანი	3:0
ყაზახეთი-ფინეთი	0:2
პორტუგალია-ყაზახეთი	3:0
ბელგია-პოლონეთი	0:1
ფინეთი-სომხეთი	1:0
პორტუგალია-ბელგია	4:0
პოლონეთი-აზერბაიჯანი	5:0
ყაზახეთი-სერბეთი	2:1
სერბეთი-პორტუგალია	1:1
პოლონეთი-სომხეთი	1:0
აზერბაიჯანი-ფინეთი	1:0
ბელგია-პორტუგალია	1:2
აზერბაიჯანი-პოლონეთი	1:3
ფინეთი-სერბეთი	0:2
ყაზახეთი-სომხეთი	1:2
სომხეთი-პოლონეთი	1:0
ფინეთი-ბელგია	2:0
ყაზახეთი-აზერბაიჯანი	1:1
სომხეთი-პორტუგალია	1:1
ფინეთი-ყაზახეთი	2:1
ბელგია-სერბეთი	3:2
პორტუგალია-პოლონეთი	2:2
სერბეთი-ფინეთი	0:0
პორტუგალია-სერბეთი	1:1
ფინეთი-პოლონეთი	0:0
ყაზახეთი-ბელგია	2:2

დარჩენილი მატჩები

17 ნოემბერი, 2007

პორტუგალია-სომხეთი
პოლონეთი-ბელგია
სერბეთი-ყაზახეთი
ფინეთი-აზერბაიჯანი

21 ნოემბერი, 2007

პორტუგალია-ფინეთი
სერბეთი-პოლონეთი
სომხეთი-ყაზახეთი
აზერბაიჯანი-ბელგია

B ჯგუფი

13 ოქტომბერი, 2007

შოტლანდია-უკრაინა
იტალია-საქართველო
უარეული-საფრანგეთი

17 ოქტომბერი, 2007

უკრაინა-უარეული
საქართველო-შოტლანდია
საფრანგეთი-ლიტვა

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. შოტლანდია	9	7	0	2	17-7	21
2. იტალია	9	6	2	1	15-7	20
3. საფრანგეთი	9	6	1	2	15-3	19
4. უკრაინა	8	4	1	3	10-9	13
5. ლიტვა	9	3	1	5	7-11	10
6. საქართველო	9	2	1	6	14-15	7
7. უარეული	9	0	0	9	3-29	0

ჩატარებული მატჩები

უარეული-საქართველო	0:6
შოტლანდია-უარეული	6:0
საქართველო-საფრანგეთი	0:3
იტალია-ლიტვა	1:1
უკრაინა-საქართველო	3:2
ლიტვა-შოტლანდია	1:2
საფრანგეთი-იტალია	3:1
უარეული-ლიტვა	0:1
შოტლანდია-საფრანგეთი	1:0
იტალია-უკრაინა	2:0
საქართველო-იტალია	1:3
უკრაინა-შოტლანდია	2:0
საფრანგეთი-უარეული	5:0
შოტლანდია-საქართველო	2:1
ლიტვა-საფრანგეთი	0:1
უარეული-უკრაინა	0:2
უკრაინა-ლიტვა	1:0
საქართველო-უარეული	3:1
იტალია-შოტლანდია	2:0
უარეული-იტალია	1:2
ლიტვა-საქართველო	1:0
საფრანგეთი-უკრაინა	2:0
საფრანგეთი-საქართველო	1:0
ლიტვა-იტალია	0:2
უარეული-შოტლანდია	0:2
საქართველო-უკრაინა	1:1
შოტლანდია-ლიტვა	3:1
იტალია-საფრანგეთი	0:0
უკრაინა-იტალია	1:2
საფრანგეთი-შოტლანდია	0:1
ლიტვა-უარეული	2:1

დარჩენილი მატჩები

17 ნოემბერი, 2007

ლიტვა-უკრაინა
შოტლანდია-იტალია

21 ნოემბერი, 2007

უკრაინა-საფრანგეთი
საქართველო-ლიტვა
იტალია-უარეული

C ჯგუფი

13 ოქტომბერი, 2007

მოლდოვა-თურქეთი
უნგრეთი-მალტა
საბერძნეთი-ბოსნია

17 ოქტომბერი, 2007

თურქეთი-საბერძნეთი
ბოსნია-ნორვეგია
მალტა-მოლდოვა

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საბერძნეთი	8	6	1	1	14-7	19
2. თურქეთი	8	5	2	1	21-8	17
3. ნორვეგია	9	5	2	2	20-8	17
4. ბოსნია	9	4	1	4	14-16	13
5. უნგრეთი	9	3	0	6	8-17	6
6. მალტა	8	1	2	5	7-17	5
7. მოლდოვა	9	1	2	6	5-16	5

ჩატარებული მატჩები

მალტა-ბოსნია	2:5
უნგრეთი-ნორვეგია	1:4
მოლდოვა-საბერძნეთი	0:1
ნორვეგია-მოლდოვა	2:0
თურქეთი-მალტა	2:0
ბოსნია-უნგრეთი	1:3
მოლდოვა-ბოსნია	2:2
უნგრეთი-თურქეთი	0:1
საბერძნეთი-ნორვეგია	1:0
თურქეთი-მოლდოვა	5:0
მალტა-უნგრეთი	2:1
ბოსნია-საბერძნეთი	0:4
საბერძნეთი-თურქეთი	1:4
მოლდოვა-მალტა	1:1
ნორვეგია-ბოსნია	1:2
თურქეთი-ნორვეგია	2:2
მალტა-საბერძნეთი	0:1
უნგრეთი-მოლდოვა	2:0
ბოსნია-თურქეთი	3:2
ნორვეგია-მალტა	4:0
საბერძნეთი-უნგრეთი	2:0
ბოსნია-მალტა	1:0
საბერძნეთი-მოლდოვა	2:1
ნორვეგია-უნგრეთი	4:0
მალტა-თურქეთი	2:2
მოლდოვა-ნორვეგია	0:1
უნგრეთი-ბოსნია	1:0
ნორვეგია-საბერძნეთი	2:2
თურქეთი-უნგრეთი	3:0
ბოსნია-მოლდოვა	0:1

დარჩენილი მატჩები

17 ნოემბერი, 2007

ნორვეგია-თურქეთი
საბერძნეთი-მალტა
მოლდოვა-უნგრეთი

21 ნოემბერი, 2007

თურქეთი-ბოსნია
მალტა-ნორვეგია
უნგრეთი-საბერძნეთი

D ჯგუფი

13 ოქტომბერი, 2007

ირლანდია-გერმანია
კვიპროსი-უელსი
სლოვაკეთი-სან მარინო

17 ოქტომბერი, 2007

გერმანია-ჩეხეთი
ირლანდია-კვიპროსი
სან მარინო-უელსი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. გერმანია	8	7	1	0	31-4	22
2. ჩეხეთი	9	6	2	1	19-4	20
3. ირლანდია	9	4	2	3	14-11	14
4. სლოვაკეთი	9	3	1	5	20-20	10
5. უელსი	8	3	1	4	13-13	10
6. კვიპროსი	8	3	1	4	13-16	10
7. სან მარინო	9	0	0	9	1-43	0

ჩატარებული მატჩები

სლოვაკეთი-კვიპროსი	6:1
ჩეხეთი-უელსი	2:1
გერმანია-ირლანდია	1:0
სლოვაკეთი-ჩეხეთი	0:3
სან მარინო-გერმანია	0:13
ჩეხეთი-სან მარინო	7:0
კვიპროსი-ირლანდია	5:2
უელსი-სლოვაკეთი	1:5
ირლანდია-ჩეხეთი	1:1
სლოვაკეთი-გერმანია	1:4
უელსი-კვიპროსი	3:1
კვიპროსი-გერმანია	1:1
ირლანდია-სან მარინო	5:0
სან მარინო-ირლანდია	1:2
ჩეხეთი-გერმანია	1:2
კვიპროსი-სლოვაკეთი	1:3
ირლანდია-უელსი	1:0
უელსი-სან მარინო	3:0
ირლანდია-სლოვაკეთი	1:0
ჩეხეთი-კვიპროსი	1:0
გერმანია-სან მარინო	6:0
უელსი-ჩეხეთი	0:0
გერმანია-სლოვაკეთი	2:1
სან მარინო-კვიპროსი	0:1
სან მარინო-ჩეხეთი	0:3
უელსი-გერმანია	0:2
სლოვაკეთი-ირლანდია	2:2
ჩეხეთი-ირლანდია	1:0
სლოვაკეთი-უელსი	2:5
კვიპროსი-სან მარინო	3:0

დარჩენილი მატჩები

17 ნოემბერი, 2007

ჩეხეთი-სლოვაკეთი
გერმანია-კვიპროსი
უელსი-ირლანდია

21 ნოემბერი, 2007

კვიპროსი-ჩეხეთი
გერმანია-უელსი
სან მარინო-სლოვაკეთი

E ჯგუფი

13 ოქტომბერი, 2007

ინგლისი-ესტონეთი
ხორვატია-ისრაელი

17 ოქტომბერი, 2007

რუსეთი-ინგლისი
მაკედონია-ანდორა

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ხორვატია	9	7	2	0	24-4	23
2. ინგლისი	9	6	2	1	18-2	20
3. რუსეთი	9	5-	3	1	14-4	18
4. ისრაელი	9	5	2	2	17-10	17
5. მაკედონია	9	2	2	5	7-11	8
6. ესტონეთი	10	1	1	8	3-18	4
7. ანდორა	9	0	0	9	2-36	0

ჩატარებული მატჩები

ესტონეთი-მაკედონია	0:1
ინგლისი-ანდორა	5:0
ესტონეთი-ისრაელი	0:1
რუსეთი-ხორვატია	0:0
ისრაელი-ანდორა	4:1
მაკედონია-ინგლისი	0:1
ინგლისი-მაკედონია	0:0
ხორვატია-ანდორა	7:0
რუსეთი-ისრაელი	1:1
ხორვატია-ინგლისი	2:0
რუსეთი-ესტონეთი	2:0
ანდორა-მაკედონია	0:3
ისრაელი-ხორვატია	3:4
მაკედონია-რუსეთი	0:2
ისრაელი-ინგლისი	0:0
ესტონეთი-რუსეთი	0:2
ხორვატია-მაკედონია	2:1
ანდორა-ინგლისი	0:3
ისრაელი-ესტონეთი	4:0
ესტონეთი-ხორვატია	0:1
რუსეთი-ანდორა	4:0
მაკედონია-ისრაელი	1:2
ესტონეთი-ინგლისი	0:3
ანდორა-ისრაელი	0:2
ხორვატია-რუსეთი	0:0
ესტონეთი-ანდორა	2:1
ინგლისი-ისრაელი	3:0
რუსეთი-მაკედონია	3:0
ხორვატია-ესტონეთი	2:0
ინგლისი-რუსეთი	3:0
ანდორა-ხორვატია	0:6
მაკედონია-ესტონეთი	1:1

დარჩენილი მატჩები

17 ნოემბერი, 2007

მაკედონია-ხორვატია
ისრაელი-რუსეთი
ანდორა-ესტონეთი

21 ნოემბერი, 2007

ინგლისი-ხორვატია
ისრაელი-მაკედონია
ანდორა-რუსეთი

F ჯგუფი

13 ოქტომბერი, 2007

დანია-ესპანეთი
ლიხტენშტაინი-შვედეთი
ისლანდია-ლატვია

17 ოქტომბერი, 2007

შვედეთი-ჩრ.ირლანდია
ლიხტენშტაინი-ისლანდია
დანია-ლატვია

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. შვედეთი	8	6	1	1	17-4	19
2. ესპანეთი	9	6	1	2	16-7	19
3. ჩრ.ირლანდია	9	5	1	3	14-11	16
4. დანია	8	4	2	2	13-5	14
5. ისლანდია	9	2	2	5	8-17	8
6. ლატვია	8	2	0	6	5-9	6
7. ლიხტენშტაინი	9	1	1	7	5-25	4

ჩატარებული მატჩები

ჩრ.ირლანდია-ისლანდია	0:3
ლატვია-შვედეთი	0:1
ესპანეთი-ლიხტენშტაინი	4:0
შვედეთი-ლიხტენშტაინი	3:1
ისლანდია-დანია	0:2
ჩრ.ირლანდია-ესპანეთი	3:2
შვედეთი-ესპანეთი	2:0
დანია-ჩრ.ირლანდია	0:0
ლატვია-ისლანდია	4:0
ისლანდია-შვედეთი	1:2
ლიხტენშტაინი-დანია	0:4
ჩრ.ირლანდია-ლატვია	1:0
ესპანეთი-დანია	2:1
ლიხტენშტაინი-ჩრ.ირლანდია	1:4
ჩრ.ირლანდია-შვედეთი	2:1
ლიხტენშტაინი-ლატვია	1:0
ესპანეთი-ისლანდია	1:0
დანია-შვედეთი	0:3
ლატვია-ესპანეთი	0:2
ისლანდია-ლიხტენშტაინი	1:1
ლიხტენშტაინი-ესპანეთი	0:2
შვედეთი-ისლანდია	5:0
ლატვია-დანია	0:2
ჩრ.ირლანდია-ლიხტენშტაინი	3:1
შვედეთი-დანია	0:0
ლატვია-ჩრ.ირლანდია	1:0
ისლანდია-ესპანეთი	1:1
ისლანდია-ჩრ.ირლანდია	2:1
ესპანეთი-ლატვია	2:0
დანია-ლიხტენშტაინი	4:0

დარჩენილი მატჩები

17 ნოემბერი, 2007

ესპანეთი-შვედეთი
ჩრ.ირლანდია-დანია
ლატვია-ლიხტენშტაინი

21 ნოემბერი, 2007

ესპანეთი-ჩრ.ირლანდია
დანია-ისლანდია
შვედეთი-ლატვია

G ჯგუფი

13 ოქტომბერი, 2007

რუმინეთი-პოლონეთი
ბელარუსი-ლუქსემბურგი
სლოვენია-ალბანეთი

17 ოქტომბერი, 2007

ლუქსემბურგი-რუმინეთი
პოლონეთი-სლოვენია
ალბანეთი-ბულგარეთი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რუმინეთი	8	6	2	0	17-5	20
2. პოლონეთი	8	6	2	0	11-2	20
3. ბულგარეთი	9	5	3	1	14-6	18
4. სლოვენია	9	3	1	5	9-12	10
5. ალბანეთი	8	2	3	3	8-7	9
6. ბელარუსი	9	2	1	6	11-19	7
7. ლუქსემბურგი	9	0	0	9	1-20	0

ჩატარებული მატჩები

ბელარუსი-ალბანეთი	2:2
რუმინეთი-ბულგარეთი	2:2
ლუქსემბურგი-პოლონეთი	0:1
ბულგარეთი-სლოვენია	3:0
ალბანეთი-რუმინეთი	0:2
პოლონეთი-ბელარუსი	3:0
რუმინეთი-ბელარუსი	3:1
ბულგარეთი-პოლონეთი	1:1
სლოვენია-ლუქსემბურგი	2:0
ბელარუსი-სლოვენია	4:2
ლუქსემბურგი-ბულგარეთი	0:1
პოლონეთი-ალბანეთი	2:1
პოლონეთი-რუმინეთი	0:0
ლუქსემბურგი-ბელარუსი	1:2
ალბანეთი-სლოვენია	0:0
რუმინეთი-ლუქსემბურგი	3:0
სლოვენია-პოლონეთი	0:1
ბულგარეთი-ალბანეთი	0:0
სლოვენია-რუმინეთი	1:2
ალბანეთი-ლუქსემბურგი	2:0
ბელარუსი-ბულგარეთი	0:2
რუმინეთი-სლოვენია	2:0
ლუქსემბურგი-ალბანეთი	0:3
ბულგარეთი-ბელარუსი	2:1
ბელარუსი-რუმინეთი	1:3
პოლონეთი-ბულგარეთი	2:0
ლუქსემბურგი-სლოვენია	0:3
სლოვენია-ბელარუსი	1:0
ბულგარეთი-ლუქსემბურგი	3:0
ალბანეთი-პოლონეთი	0:1

დარჩენილი მატჩები

17 ნოემბერი, 2007

ბულგარეთი-რუმინეთი
პოლონეთი-ლუქსემბურგი
ალბანეთი-ბელარუსი

21 ნოემბერი, 2007

რუმინეთი-ალბანეთი
ბელარუსი-პოლონეთი
სლოვენია-ბულგარეთი

ევრო 2008. შესარჩევი მატჩების წინ

ინგლისი დიდი წნეხის ქვეშ

გამოცოცხლებული დანია ესპანეთს ემუქრება

A ჯგუფი

პირველი ჯგუფის ფავორიტებს, პოლონეთსა (21 ქულა) და პორტუგალიას (17), დღეს ისეთი მეტოქეები ჰყავთ, რომ თავიანთი თამაშები აუცილებლად უნდა მოიგონ. ლიდერი პოლონეთი ყაზახეთს მასპინძლობს, **კრისტიანო რონალდო** და კომპანია კი აზერბაიჯანში ჩადიან. მეორე ადგილზე ფინეთია წამოსკუპებული (19 ქულა), რომელიც ბელგიას სტუმრობს. აღსანიშნავია, რომ ფინელებს პორტუგალიაზე ერთით მეტი მატჩი აქვთ ჩატარებული და შესაბამისად, უპირატესობა პირნეელებს აქვთ. აზერბაიჯანელები პორტუგალიას დაუნდობელ ბრძოლას ჰპირდებიან. ჩვენი მეზობლებისთვის განსაკუთრებული მოტივაციაა ის, რომ სომხეთმა პორტუგალიასთან 1:1-ს მიაღწია. სომხები ამჯერად სერბეთს მასპინძლობენ - გუნდს, რომელსაც ფინალური ეტაპის საგზურისთვის გაბრძოლება ჯერ კიდევ შეუძლია. მაგრამ სერბებმა იციან, რომ ერევნიდან სამი ქულის წაღება არც ისე იოლია - სომხეთმა, გარდა იმისა, რომ პორტუგალიას დაუზავდა, მანამდე ლიდერ პოლონეთს 1:0 მოუგო. ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსი ჯერ კიდევ აქვს ბელგიასაც, რაც იმას ნიშნავს, რომ ფინეთს მისთვის აუცილებელი 3 ქულის მოპოვება გაუჭირდება.

C ჯგუფი

ამ ჯგუფში, ევროპის ჩემპიონატის ორი საგზურისთვის სამი გუნდი იბრძვის: საბერძნეთი (19 ქულა), თურქეთი (17) და ნორვეგია (17). სკანდინავიელებს კონკურენტებთან შედარებით, ერთი თამაშით მეტი აქვთ ჩატარებული და დღეს ისვენებენ. შესაბამისად, ნორვეგია იმედოვნებს, რომ საბერძნეთი და თურქეთი წაიფორხილებენ. მაგრამ ამის შანსი არც ისე დიდია, რადგან **ოტო რეჰაგელის** შეგირდები ბოსნიას მასპინძლობენ და, რა თქმა უნდა, ფავორიტები არიან, **ფათიჰ თერიმის** ბიჭები კი მოლდოვაში ჩადიან და ხვდებიან გუნდს, რომელიც ბოლო ადგილზეა. თუმცა თურქები ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან ბოლო გასვლით მატჩში, 8 სექტემბერს ისეთ სუსტ მეტოქეს ვერ მოუგეს, როგორიც მალტაა (2:2).

სამაგიეროდ, ნორვეგიის წისქვილზე ის ფაქტი ასხამს წყალს, რომ ოთხშაბათს თურქეთი ან საბერძნეთი ქულებს ნამდვილად დაკარგავენ, რადგან ეს ორი გუნდი ერთმანეთს ხვდება - თერიმის სამწყსო რეჰაგელისას მასპინძლობს, რაც უდავოდ ტურის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა იქნება.

D ჯგუფი

აქ, ერთი გამარჯვებულის ვინაობა, ფაქტობრივად, უკვე გარკვეულია - ჯგუფის ერთპიროვნულ ლიდერ გერმანიას, ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად, მხოლოდ და მხოლოდ, 1 ქულაღა ესაჭიროება. **იოახიმ ლიოვის** სამწყსო დღეს ირლანდიაში თამაშობს და თუ მინიმუმ ფრეს გაახერხებს, სავარუდოდ პირველი გუნდი იქნება, რომელიც საკვალიფიკაციო ეტაპს წარმატებით დაძლევს. ირლანდია მესამე ადგილზეა და მეორე პოზიციაზე მყოფ ჩეხეთს 6 ქულით ჩამორჩება. შესაბამისად, ირლანდიელთა დამრიგებელი **სტივ სტონტონი** ამბობს, რომ მისი გუნდისთვის ევრო 2008 უკვე დასრულებულია, თუმცა ირლანდიას ჯერ კიდევ აქვს შანსი, ოღონდ მხოლოდ თეორიული. ჩეხები დღეს ისვენებენ და თუკი ირლანდია გერმანიას მოუგებს, ოთხშაბათს კიპროსს დაამარცხებს, ხოლო ჩეხები კი, ოთხშაბათს გერმანიაში წააგებენ, ირლანდიასა და ჩეხეთს თანაბარი ქულები ექნებათ, ოღონდ **კარელ ბრიუკნერის** სამწყსოს ერთით ნაკლები თამაში ექნება გამართული.

E ჯგუფი

ხორვატიის ნაკრები ისრაელს მასპინძლობს და ვალდებულია, უშუალო კონკურენტი დაამარცხოს. ინგლისის ნაკრები კი კვლავინდებურად წნეხის ქვეშაა მოქცეული. **სტივ მაკლარენის** ბიჭები დღეს მე-6 ადგილზე მყოფ ესტონეთს მასპინძლობენ, მაგრამ ოთხშაბათს მოსკოვში ურთულესი შეხვედრა ელით. **ჯონ ტერის** არყოფნაში, ინგლისის დაცვის ცენტრს **სოლ კემპბელი** გაამაგრებს, რომელსაც ეროვნულ გუნდში ბოლო 16 თვის განმავლობაში არ უთამაშია. აღსანიშნავია, რომ უშუალოდ ესტონეთთან მატჩი ინგლისურ პრესაში ოდნავ ჩრდილში მოექცა, რადგან დღეს მთელი ინგლისი **მაიკლ ოუენზე** ბჭობს. საქმე ის გახლავთ, რომ "ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელი **სემ ელერდაისი** მიიჩნევს, რომ ოუენი ჯერ ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ არის, რის გამოც მაკლარენს მისთვის ნაკრებში არ უნდა ეხმო. "ჯორდებმა" ინგლისის საფეხბურთო ასოციაციას თხოვნით მიმართა, ოუენს ნუ ათამაშებთო, მაგრამ ეს თხოვნა არ დაკმაყოფილდა, რამაც "ნიუკასლის" უკმაყოფილება გამოიწვია. მაგრამ მთავარი ისაა, თუ რას ფიქრობს თვითონ ფეხბურთელი. ოუენი ამბობს, თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ნაკრებში თამაშს ვერავინ დამიშლისო. მაკლარენი ოუენს მადლობას უხდის და ამბობს, მაიკლი დღეს თავის ქვეყანას ძალიან სჭირდება, შესაბამისად, უნდა ითამაშოსო.

F ჯგუფი

ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ლიდერი შვედეთი დღეს სამ ქულას უპრობლემოდ მოიპოვებს, რადგან შესანიშნავ ფორმაში მყოფი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და კომპანია აუტსაიდერ ლიხტენშტაინს სტუმრობენ და მორიგი გამარჯვებით ლიდერობას განიმტკიცებენ. ამ ჯგუფში მთელი ყურადღება დანიისკენაა მიპყრობილი, სადაც **მორტენ ოლსენის** გუნდი ესპანეთს მასპინძლობს. დანიელებმა ბოლო სამ თამაშში 7 ქულას მოუყარეს თავი და ჯერ კიდევ იმედოვნებენ, რომ ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლებას მოიპოვებენ, მაგრამ ამისთვის პირველყოვლისა ესპანეთის დამარცხება მართებთ. **ლუის არაგონესის** სამწყსოსთვის ქულების დაკარგვა რეკომენდირებული არ არის, რადგან იქვეა ჩრდილოეთ ირლანდიაც, რომელიც დღეს ისვენებს, მაგრამ ამით არაფერი აკლდება, რადგან ზუსტად იმდენივე თამაში აქვს დარჩენილი, რამდენიც ესპანეთს. აღსანიშნავია, რომ დანიას დისკვალიფიციამოხდილი **კრისტიან პოულსენი** უბრუნდება. ესპანეთს კი **დავიდ ვილია** ჰყავს ტრავმირებული.

G ჯგუფი

ბულგარეთი რუმინეთსა და ჰოლანდიას 2 ქულით ჩამორჩება და თანაც, ორივე მათგანზე ერთით მეტი თამაში აქვს ჩატარებული, მაგრამ ბულგარელთა მდგომარეობა არც ისე საგანგაშოა, რადგან ლიდერები დღეს ერთმანეთს ხვდებიან: რუმინეთი ჰოლანდიას მასპინძლობს. აღსანიშნავია, რომ სტუმრებს **ედვინ ვან დერ სარის** გარეშე მოუწევთ ფონს გასვლა. ჰოლანდიელებს სიფრთხილე მართებთ, რადგან რუმინეთი საკუთარ მოედანზე კარგად გამოიყურება - 3 მოგება, 1 ფრე, არცერთი მარცხი. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბულგარელებს რუმინელებთან საშინაო მატჩი ჯერ კიდევ წინ აქვთ და საკუთარ კედლებში ის ერთადერთი ფრე, რუმინეთმა სწორედ ბულგარეთთან ითამაშა (2:2).

სამხრეთი ამერიკა. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. I ტური

ბიელსა არგენტინაში ბრუნდება

დღეს

ურუგვაი-ბოლივია
არგენტინა-ჩილე
ეკვადორი-ვენესუელა
პერუ-პარაგვაი

ხვალ

კოლუმბია-ბრაზილია

მონტევიდეოში ურუგვაის ნაკრები ბოლივიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. მასპინძელთა დამრიგებელი **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესი** აცხადებს, რომ ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად სამ ფორვარდს დააყენებს. სავარაუდოა, რომ **დიეგო ფორლანსა** და **სებასტიან აბრეუს** "აიაქსის" 20 წლის ფორვარდი **ლუის სუარესი** ამოუდგება გვერდში. აღსანიშნავია, რომ სუარესმა ურუგვაის ღირსება უკვე ორჯერ დაიცვა, თუმცა გოლის გატანა, ჯერჯერობით, ვერ მოახერხა. რაც შეეხება ფორლანს, ნაკრებში ჩატარებულ 42 შეხვედრაში მას 15 ბურთი აქვს გატანილი, აბრეუს ანგარიშზე კი - 33 მატჩი და 17 ბურთია.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ "სელესტე" საკვალიფიკაციო დაპირისპირების უპირობო ფავორიტია. ბოლივიას მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ რაუნდში გასვლითი თამაში 1993 წლის შემდეგ არ მოუგია. მონტევიდეოში კი ბოლოს 4 წლის წინათ იასპარეზა და კატასტროფული ანგარიშით 0:5 დამარცხდა. მიუხედავად ასეთი სტატისტიკისა, სენიორ ტაბარესი მოწინააღმდეგეს ჯეროვნად აფასებს და გვარწმუნებს, რომ ბოლივიელთაგან დიდ წინააღმდეგობას ელის: *"არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს, მაგრამ ვიცი, რომ ბოლივიას ძალიან ძლიერი და სოლიდური ნახევარდაცვა ჰყავს. მათ წინააღმდეგობას თუ ვერ გავტეხავთ, სამი ქულის მოპოვება ძალიან გაგვიჭირდება. ასე რომ, გამარჯვებას წინასწარ ნურავინ მოგვაწერს".*

დიეგო ფორლანიც თითქმის იგივეს ამბობს. მადრიდის "ატლეტიკოს" ფორვარდის აზრით, ურუგვაის უპირატესობა მხოლოდ მასპინძლის სტატუსია, დანარჩენს კი უშუალოდ თამაში გამოავლენს.

მარსელო ბიელსა ფრიად უჩვეულო სიტუაციაში აღმოჩნდა. ის 1998-2004 წლების განმავლობაში არგენტინის ნაკრებს წვრთნიდა, ახლა კი თანამემამულეების წინაშე "მონუმენტალზე" ჩილეს ეროვნული გუნდის დამრიგებლის სტატუსით წარდგება. ბუნებრივია, სამშობლოში ჩასულ ბიელსას პრესკონფერენციის გამართვა მოუხდა. აი, რა განაცხადა მან: *"ალბისელესტეს" გაძღოლა ყოველთვის უდიდეს სიამაყეს მგვრიდა. ამ გუნდმა უამრავი დაუვიწყარი მოგონება შემომინახა. არ დაგიმალავთ, რომ სერიოზულ ნოსტალგიას განვიცდი, მაგრამ პროფესიონალიზმი ყველაფერზე მაღლა უნდა დადგეს. როგორც მითხრეს, მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში ჩილეს არგენტინა არასოდეს დაუმარცხებია, მაგრამ ჩემთვის ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. არ მახსენდება შემთხვევა, როცა რომელიმე თამაშის წინ თავს განწირულად ვგრძნობდი. გამონაკლისი მომავალი მატჩიც არ იქნება. ჩემი ბიჭები სამი ქულის მოსაპოვებლად იბრძოლებენ. გასაგები მიზეზების გამო, "ალბისელესტეს" ძალიან კარგად ვიცნობ. შევეცდები, ჩემი ცოდნა და გამოცდილება მაქსიმალურად გამოვიყენო".*

მასპინძელთა დამრიგებელმა, **ალფიო ბასილემ** ყველა გააოცა, როცა ნაკრებში **ხუან რომან რიკელმეს** უხმო. მოგეხსენებათ, არგენტინელი ნახევარმცველი "ვილიარეალის" დამრიგებელთან, **მანუელ პელეგრინისთან** არსებული დაპირისპირების გამო, მოედანზე გასვლას ვერ ახერხებს. აღსანიშნავია, რომ რომანს "კოპა ამერიკის" შემდეგ ერთი შეხვედრაც არ ჩაუტარებია. უთამაშებელი ფეხბურთელის გამოძახება, რა თქმა უნდა, სერიოზულ რისკს შეიცავს, მაგრამ რიკელმე ოპტიმისტურადაა განწყობილი: *"ბოლო სანაკრებო თავგადასავალმა დიდი ტკივილი მოგვგვარა. "კოპა ამერიკა" დრამატულად წავაგეთ. ვალდებულები ვართ, ეს ყველაფერი დავივიწყოთ და ახალი ციკლი ახალი შემართებით დავიწყოთ. "ალბისელესტეს" 14 წელიწადია პრესტიჟული ჯილდო აღარ მოუგია. 2010 წლის მუნდიალზე ნავსი უნდა გავტეხოთ, ამიტომ მუშაობა დღეიდან უნდა დავიწყოთ".*

ბრაზილიის ნაკრებს სერიოზული გამოცდა ელის. "სელესაო" კოლუმბიას ზღვის დონიდან 2600 მეტრზე მდებარე სტადიონზე დაუპირისპირდება. სტუმართა დამრიგებელი **კარლოს დუნგა** აცხადებს, რომ ბრაზილიას ე.წ. 9 ნომერი არ ეყოლება: *"რონალდოს "სელესაოში" გასული მუნდიალის შემდეგ არ უთამაშია. მისი შეცვლა ადრიანოს ევალებოდა, მაგრამ "ინტერის" ფორვარდი ფორმაში არ არის. ფრედს კი ტრავმა აწუხებს. ვიცი, ბევრი გამაკრიტიკებს, მაგრამ ჩემი აზრით, ე.წ. 9 ნომრის არსებობა აუცილებელი სულაც არ არის. თუ თავდამსხმელის მაისურზე 20 ნომერს დავწერთ და ის გოლებს გაიტანს, განა, ბევრი რამ შეიცვლება?! როცა ფეხბურთელი ვიყავი, რომარიო ქვას ქვაზე არ ტოვებდა, მაგრამ ის ხომ 11 ნომერი იყო. მოკლედ, ეს მხოლოდ ფორმალობაა და სხვა არაფერი. მთავარია, გუნდმა გოლები გაიტანოს და გამარჯვება მოიტანოს".*

ნომრებს მართლაც არა აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ დუნგას ფორვარდები აუცილებლად დასჭირდება. მიმომხილველების ვარაუდით, ამ პოზიციაზე **ვაგნერ ლავი** და **ალფონსო** იასპარეზებენ.



მარსელო ბიელსა

მუნდიალი 2010. სამხრეთ ამერიკა

ასლენდარი

I ტური

13 ოქტომბერი

ურუგვაი-ბოლივია
არგენტინა-ჩილე
ეკვადორი-ვენესუელა
პერუ-პარაგვაი

14 ოქტომბერი

კოლუმბია-ბრაზილია

II ტური

16 ოქტომბერი

ვენესუელა-არგენტინა

17 ოქტომბერი

ბოლივია-კოლუმბია
ჩილე-პერუ
პარაგვაი-ურუგვაი
ბრაზილია-ეკვადორი

III ტური

17-18 ნოემბერი

პარაგვაი-ეკვადორი
ურუგვაი-ჩილე
პერუ-ბრაზილია
არგენტინა-ბოლივია
კოლუმბია-ვენესუელა

IV ტური

20-21 ნოემბერი

ვენესუელა-ბოლივია
ბრაზილია-ურუგვაი
ეკვადორი-პერუ
ჩილე-პარაგვაი
კოლუმბია-არგენტინა

V ტური

14-15 ივნისი, 2008

ურუგვაი-ვენესუელა
პარაგვაი-ბრაზილია
ბოლივია-ჩილე
არგენტინა-ეკვადორი
პერუ-კოლუმბია

VI ტური

17-18 ივნისი, 2008

ეკვადორი-კოლუმბია
ვენესუელა-ჩილე
ურუგვაი-პერუ
ბრაზილია-არგენტინა
ბოლივია-პარაგვაი

VII ტური

6-7 სექტემბერი, 2008

ჩილე-ბრაზილია
კოლუმბია-ურუგვაი
ეკვადორი-ბოლივია
არგენტინა-პარაგვაი
პერუ-ვენესუელა

VIII ტური

9-10 სექტემბერი, 2008

პარაგვაი-ვენესუელა
ჩილე-კოლუმბია
ურუგვაი-ეკვადორი
პერუ-არგენტინა
ბრაზილია-ბოლივია

IX ტური

11-12 ოქტომბერი, 2008

კოლუმბია-პარაგვაი
ბოლივია-პერუ
ეკვადორი-ჩილე
ვენესუელა-ბრაზილია
არგენტინა-ურუგვაი

X ტური

14-15 ოქტომბერი, 2008

პარაგვაი-პერუ
ბრაზილია-კოლუმბია
ბოლივია-ურუგვაი
ვენესუელა-ეკვადორი
ჩილე-არგენტინა

XI ტური

28-29 მარტი, 2009

ეკვადორი-ბრაზილია
არგენტინა-ვენესუელა
პერუ-ჩილე
ურუგვაი-პარაგვაი
კოლუმბია-ბოლივია

XII ტური

31 მარტი-1 აპრილი, 2009

ეკვადორი-პარაგვაი
ვენესუელა-კოლუმბია
ჩილე-ურუგვაი
ბოლივია-არგენტინა
ბრაზილია-პერუ

XIII ტური

6-7 ივნისი, 2009

პარაგვაი-ჩილე
პერუ-ეკვადორი
ბოლივია-ვენესუელა
ურუგვაი-ბრაზილია
არგენტინა-კოლუმბია

XIV ტური

9-10 ივნისი, 2009

ვენესუელა-ურუგვაი
ჩილე-ბოლივია
ეკვადორი-არგენტინა
კოლუმბია-პერუ
ბრაზილია-პარაგვაი

XV ტური

5-6 სექტემბერი, 2009

ჩილე-ვენესუელა
პერუ-ურუგვაი
პარაგვაი-ბოლივია
კოლუმბია-ეკვადორი
არგენტინა-ბრაზილია

XVI ტური

8-9 სექტემბერი, 2009

ურუგვაი-კოლუმბია
ბრაზილია-ჩილე
ბოლივია-ეკვადორი
პარაგვაი-არგენტინა
ვენესუელა-პერუ

XVII ტური

10-11 ოქტომბერი, 2009

არგენტინა-პერუ
ბოლივია-ბრაზილია
ეკვადორი-ურუგვაი
კოლუმბია-ჩილე
ვენესუელა-პარაგვაი

XVIII ტური

13-14 ოქტომბერი, 2009

ურუგვაი-არგენტინა
ბრაზილია-ვენესუელა
პარაგვაი-კოლუმბია
ჩილე-ეკვადორი
პერუ-ბოლივია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ლუის არაგონესთან

აჟიოტაჟი რაულისთვის სიამოვნების მინიჭების მიზნით ატყდა

სელექსიონის თავკაცი მიიჩნევს, რომ ესპანეთს დღეისთვის გონსალეს ბლანკოზე უკეთესი ფეხბურთელები ჰყავს და თამაშს სწორედ ისინი იმსახურებენ

ლუის არაგონესი

ესპანური ფეხბურთის მოყვარულებს კარგად მოგეხსენებათ, რომ ლუის არაგონესი საზოგადოებასა და მასმედიას ღიად დაუპირისპირდა. ამის მიზეზი გაზეთების ფურცლებზე გახშირებული კრიტიკა გახლდათ. ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ "სელექსიონი" ამაზრზენად თამაშობს და მიზეზად სწორედ მთავარი მწვრთნელის ცუდ მუშაობას ასახელებენ. განაწყენებულმა არაგონესმა პრესას ბოიკოტი გამოუცხადა. უკვე ორ თვეზე მეტია, რაც ის არავის ელაპარაკება. დანაისთან პრინციპული საკვალიფიკაციო მატჩის წინ სენიორ ლუისი ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის პრეს-სამსახურმა ინტერვიუზე დაითანხმა. ამით აღნიშნულმა ორგანომ საზოგადოების ინტერესი გარკვეულწილად მაინც დააკმაყოფილა. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტმა ანხელ მარია ვილიარმა მთავარ მწვრთნელს კატეგორიულად მოთხოვა პრესისთვის გამოცხადებული ბოიკოტი შეეწყვიტა, მაგრამ "სელექსიონის" თავკაცმა უკან არ დაიხია და ინტერვიუს მთხოვნელი უკლებლივ ყველა გაზეთი უარით გაისტუმრა. როგორც მოგახსენეთ, ის მხოლოდ ფედერაციის პრეს-სამსახურს დაელაპარაკა. ინტერვიუ ამავე ორგანიზაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

- არაგონეს, დანიასთან მატჩის წინ რა მიზანს ისახავთ, მოგება გსურთ თუ ყაიმითაც კმაყოფილი დარჩებით?

- ჩვენი ამოცანა გამარჯვება ან ფრეა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავაგოთ. მართალია, ხალხი უკვე აჟიოტაჟს ქმნის და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დაძაბულობა თამაშის დაწყებამდე გაიზარდოს, მაგრამ ამ გარემოებას ყურადღებას არ ვაქცევ. მთავარია, ფეხბურთელები კარგად მოვამზადო. მათ მოედანზე შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა გამოამჟღავნონ და დაამტკიცონ, რეალურად რას წარმოადგენენ. დანიასთან მატჩი იმ შეხვედრათა კატეგორიას განეკუთვნება, რომელში მონაწილეობაც ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა. ამ უქმეებზე შეგვიძლია საკვალიფიკაციო რაუნდის ბედი გადავწყვიტოთ. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

- ხომ არ გეჩვენებათ, რომ საკვალიფიკაციო რაუნდის მსვლელობისას ესპანეთის ნაკრები ძალიან ბევრ დაბრკოლებას გადაეყარა?

- ეს ის პრობლემაა, რომელიც მხოლოდ ჩვენ არ გვაწუხებს. მაგალითისთვის თუნდაც დანია აიღეთ. სხვა შესარჩევ ჯგუფებს თვალს თუ გადაავლებთ, დაინახავთ, რომ ყველგან თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობს. გარკვეული გამონაკლისი მხოლოდ გერმანიამ და ჩეხეთმა შემოგვთავაზეს. მათ ევროპის ჩემპიონატის ფინალური სტადიის საგზური, ფაქტობრივად, უკვე გაინაღდეს. დანარჩენებისთვის კი ახლაც არაფერია გარკვეული. ჩემი აზრით, გუნდებს შორის არსებული დიდი განსხვავება წარსულში დარჩა. ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. შესარჩევი ტურნირები ძალიან ხანმოკლეა იმისთვის, რომ ძლიერმა გუნდებმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვონ.

- ფეხბურთელებს როგორი განწყობით ამზადებთ?

- რა თქმა უნდა, პოზიტიურით. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რთულ ვითარებაში არაერთხელ აღმოვჩენილვარ. ამ დროს მწვრთნელი ვალდებულია, შეგირდებს კარგი განწყობა შეუქმნას. ჯერ თავად უნდა გაცოცხლდე და შემდეგ ბიჭები გააცოცხლო. ამის შემდეგ მოხდება ის, რაც უნდა მოხდეს. რა თქმა უნდა, წინასწარ ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ყველას გვჯერა, რომ სამშობლოში გახარებულები დავბრუნდებით.

- როგორ ფიქრობთ, თქვენი და "სელექსიონის" მისამართით გამოთქმული კრიტიკა უსამართლო იყო?

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შემიძლია, რადგან იმ ხალხის ტკივილი არ ვფიქრობ, რომელიც გვაკრიტიკებს. გარდა ამისა, არ მინდა დრო იმაზე ფიქრში დავკარგო, თუ რამდენად უსამართლოდ მეპყრობიან. მირჩევნია, ეს დრო ჩემს გუნდს მოვახმარო. მთელი ენერგია გამარჯვებებისკენ იქნება მიმართული. რა თქმა უნდა, არსებობს მცირე დეტალები, რომელთა წინაღმდეგაც უძლური ვარ. უბრალოდ მიკვირს და არ მესმის, ღია ბრძოლა რატომ გამომიცხადეს. რატომღაც მიზნად დაისახეს იმ ადამიანს ებრძოლონ და მიწასთან გაასწორონ, რომელსაც ესპანეთის ნაკრებისთვის კარგის მეტი არაფერი სურს. გავოგნდი, როცა აგვისტოში ერთ-ერთი სტატია ნავიკითხე. იქ ეწერა, ჩვენი ქვეყნის ეროვნული გუნდი ბანდას დაემსგავსაო. გამოგიტყდებით, ასეთი შეფასებები სირთულეებს გვიქმნის.

- ხომ არ გეჩვენებათ, რომ ნაკრების მწვრთნელები ან მოთამაშეები გარშემო მიმდინარე მოვლენებს ზედმეტ ყურადღებას უთმობთ?

- ასეთი ხალხი მართლაც არსებობს, მაგრამ ჩვენ მათ რიცხვს არ განვეკუთვნებით, რადგან ვიცით, რომ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საქმეები გვაქვს მოსაგვარებელი. პარალელურად, თავდასხმები არ წყდება. ჩვენთან დაპირისპირებულმა პიროვნებებმა ძალიან კარგად იციან, რას აბმობენ და რისთვის ამბობენ. რა გაეწყობა, პირს ვერავის ამოაარის, რომ ჩემი შეხედულება მაქვს, საზოგადოების ერთ ნაწილს კი საკუთარი მოსაზრებები გააჩნია. როცა ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის შეთავაზება მივიღე, ვიცოდი სადაც მივდიოდი. შეუძლებელია, ნაკრების თავკაცი კრიტიკისგან სტერილური იყოს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ზოგჯერ მეტისმეტად ამლაშებენ.

- დანიელებისგან როგორ თამაშს ელით?

- მათ გამარჯვება სჭირდებათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მასპინძლები შემოგვიტევენ. რა თქმა უნდა, ტაქტიკის დეტალებს ვერ გაგიმხელთ, მაგრამ შემიძლია, მოგახსენოთ, რომ "სელექსიონი" უდიდეს სიფრთხილეს გამოიჩენს. არ დავუშვებთ, მონინააღმდეგეებმა ჩვენს საჯარიმოში იოლად შეაღწიონ. საჯარიმო მოედნის მისადგომებსაც საიმედოდ გავაკონტროლებთ, რათა დანიელებმა შორეული დარტყმებით გოლი ვერ გაგვიტანონ.

- დასასრულს, დავიდ ვილიას ტრავმის შესახებაც მინდა გკითხოთ. ვალენსიელის გარეშე "სელექსიონი" სერიოზულ პრობლემებს წააწყდება?

- ცხადია, ასეთი მაღალი დონის ფორვარდის ტრავმა შეუმჩნეველად არ ჩაივლის. ის ძლიერი თავდამსხმელია და მცველებს მუდმივ სტრესში ამყოფებს. გული მწყდება, რომ დავიდი გამოგვაკლდა, მაგრამ ამით სასოწარკვეთილები არ უნდა დავრჩეთ. ვილიას ღირსეული შემცვლელი ეყოლება. მჯერა, ესპანეთის ნაკრები დანიასთან მატჩს მისთვის სასარგებლო შედეგით დაასრულებს.



ანდრეს ინიესტა

ინტერვიუ ანდრეს ინიესტასთან

იქ ვითამაშებ, სადაც დამავალებენ

ბარსელონის ნახევარმცველისთვის ამპლუას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მისთვის მთავარია, მოედანზე გავიდეს და ფეხბურთით სიამოვნება მიიღოს

ანდრეს ინიესტამ ესპანეთის ნაკრების ბოლო 21 შეხვედრიდან 16-ში მიიღო მონაწილეობა. დღეს ის "სელექსიონის" განუყოფელი ნაწილია. ლუის არაგონესი "ბარსელონის" ნახევარმცველის ნიჭსა და შესაძლებლობებს ძალიან აფასებს და უსიტყვოდ ენდობა. ანდრესი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დამრიგებლის ნდობა გაამართლოს და გუნდს მაქსიმალურად დაეხმაროს. როგორც თავად ამბობს, ევროპის ჩემპიონატი ესპანეთის ნაკრების გარეშე ვერ წარმოუდგენია. ინიესტას "ბარსელონაშიც" კარგად მისდის საქმე. მართალია, სადებიუტო ტურებში ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, მაგრამ ბოლოს ფრანკ რიიკაარდმა მაინც მისცა შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი და დარწმუნდა, რომ ეს ბიჭი თამაშს იმსახურებს. "დიარიო ასისთვის" მიცემული ინტერვიუ სწორედ ბარსელონური ამბებით იწყება.

- ფრანკ რიიკაარდი თქვენით აღფრთოვანებას არ მალავს და აცხადებს, ინიესტას, მეკარის გარდა, ფაქტობრივად, ყველა ამპლუის მოთამაშის ფუნქციის შესრულება შეუძლიაო.

- მწვრთნელი, ალბათ, გარკვეულწილად მართალია. ჩემთვის მთავარია, მოედანზე ვიყო და საიმისო შესაძლებლობა მომეცეს, რომ გუნდს დავეხმარო. როცა რიიკაარდი ახალ პოზიციაზე მაყენებს, ვცდილობ, უმცირეს დროში სიტუაციაში გავერკვე და მივხვდე, თუ რა უნდა გავაკეთო. მოკლედ, ჩემი ბედნიერება არა რომელიმე ამპლუაზე, არამედ, უბრალოდ, თამაშზეა დამოკიდებული. მსურს, ფეხბურთით სიამოვნება მივიღო. ვფიქრობ, ხშირ შემთხვევაში, ამას ვახერხებ ხოლმე.

- საინტერესოა, ლუის არაგონესი როგორ დარიგებებს გაძლევთ ხოლმე?

- მისი მთავარი დავალება თავდასხმის დახმარებაა. კატეგორიულად მოითხოვს, ნახევარმცველებმა ბურთი მოედნის ცენტრში დიდხანს არ დავაყოვნოთ და შეტევა განვავითაროთ. მის მოსაზრებას აბსოლუტურად ვეთანხმები. თუ დინამიკას დაკარგავ, შეტევა შეწყდება. მოწინააღმდეგე გადაჯგუფებას მოასწრებს და საჯარიმო მოედანთან მიახლოების საშუალებას არ მოგცემს. გულწრფელად რომ გითხრათ, არაგონესის მითითებების შესრულება არ მიჭირს. იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება.

- ხშირად ყოფილა, როცა არაგონესს ძირითად შემადგენლობაში არ დაუყენებიხართ. ამ დროს რას გრძნობთ?

- წმინდანი არ გახლავართ და როგორც ყველა, ძალიან ვბრაზდები ხოლმე. თუმცა, თუ გუნდი უჩემოდაც კარგად თამაშობს, შედარებით მშვიდი ვარ.

- თქვენი უთამაშებლობისას, "სელექსიონი" საშინლად გამოიყურებოდა. გამოდის, ძალიან აღშფოთებული იყავით, მაგრამ ამას არასოდეს გამოხატავდით. რაიმეს ხომ არ გვიმალავთ, იქნებ, არც ისე ბრაზდებოდით, როგორც ახლა მოგვახსენეთ?

- თუ ადამიანი ჩუმადაა და მოსაზრებებს ღიად არ გამოთქვამს, სულაც არ ნიშნავს, რომ უთამაშებლობა არ ანრისხებს. ჩემი აზრით, ნებისმიერი მწვრთნელის ამოცანა შეხვედრის მოგებაა. სამწუხაროდ, არაგონესის სქემაში ადგილი გარანტირებული არ მაქვს. სენიორ ლუისი ჩემს ნაცვლად სხვას იმიტომ ათამაშებს ხოლმე, რომ იმ მომენტისთვის ასე მიიჩნევს საჭიროდ. მოკლედ, მისი აზრით, გარკვეული მატჩების წინ სხვა მოთამაშე ანდრეს ინიესტაზე უკეთეს ფორმაშია.

- ამ შესარჩევი ციკლის მიმდინარეობისას ყოველთვის ამბობდით, რომ მომდევნო შეხვედრა სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებდა. გეთანხმებით, თუმცა ფაქტია, რომ დანიასთან მატჩი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. წაგება კატასტროფის ტოლფასი იქნება. თამაშს როგორი განწყობით ხვდებით?

- აბსოლუტურად გეთანხმებით. დანიასთან ორთაბრძოლას ისეთივე ფასი და დატვირთვა აქვს, როგორიც ფინალს. თუ შესაძლებლობებს მაქსიმალურად არ გამოვამჟღავნებთ, ძალიან სერიოზული პრობლემები შეგვექმნება. სიმართლე გითხრათ, ამ გარემოებაზე აღარ ვფიქრობ, რადგან ყველამ ვიცით, რომ მხოლოდ თამაშზე უნდა ვიფიქროთ. ისღა დაგვრჩენია, მოედანზე გავიდეთ, თავი არ დავზოგოთ და სულ მცირე ერთი ქულა მოვიპოვოთ. მგონი, სრულიად რეალური ამოცანაა.

- ოვიედოში ლატვიის ნაკრები დაამარცხეთ. თუმცა თამაშის ხარისხი იმდენად ამაზრზენი იყო, რომ საზოგადოება ლუის არაგონესს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა. საინტერესოა, იმ დაძაბული დღის შემდეგ ეროვნული გუნდის ფეხბურთელები როგორ გრძნობენ თავს?

- ვალდებულები ვართ, ნაკრების გარშემო არსებულ დაძაბულობას ყურადღება არ მივაქციოთ. რაც არ უნდა მოხდეს, პოლემიკაში არ ჩავერთვებით და ერთსულოვნებას შევინარჩუნებთ. "სელექსიონმა" გულშემატკივრებს ბედნიერება უნდა მიანიჭოს. შესაძლოა, ქომაგებმა შეურაცხყოფაც კი მოგვაყენონ, მაგრამ ამის გამო პროფესიონალიზმზე უარი არ უნდა ვთქვათ. ადამიანი, რომელიც გადაჭედილი ტრიბუნების წინაშე თამაშობს, უდიდეს პასუხისმგებლობას ატარებს.

- მწვრთნელისა და საზოგადოების დაპირისპირების მთავარი მიზეზი რაული გახდა. როგორ ფიქრობთ, ვინ არის მართალი?

- შემადგენლობის დაკომპლექტება მწვრთნელის ექსკლუზიური უფლებაა. რაული ფანტასტიკურ სეზონს ატარებს. "რეალის" თამაშებს თვალს ვინც ადევნებს, დამეთანხმება, რომ ის "რეალის" ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით ახალს ვერავინ აღმოაჩენს. გონსალეს ბლანკოს შესაძლებლობები ისედაც ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, რა თქმა უნდა, გამოვიძახებდი, მაგრამ მე რიგითი ფეხბურთელი ვარ და არა მწვრთნელი, ამიტომ თავს მოვალედ მივიჩნევ, ლუის არაგონესის გადაწყვეტილებას პატივი ვცე-

- როგორ ფიქრობთ, დანიასთან მატჩში ძირითადში გიხილავთ თუ კვლავ სათადარიგოთა სკამზე მოგიწევთ დაჯდომა?

- ასეთ საკითხებზე წინასწარ არასოდეს ვფიქრობ. ყველაფერს ვაკეთებ, რასაც მწვრთნელი მავალებს. იმედი მაქვს, სწორედ ძირითადში მოვხვდები. მეტს ვერაფერს მოგახსენებთ.

- ამას წინათ, თქვენი კლუბის პრეზიდენტმა, ჟოან ლაპორტამ შოკისმომგვრელი განცხადება გააკეთა, მან ნაკრებში მივლინებულ ფეხბურთელებს მოგთხოვათ, თავი დაზოგოთ და ტრავმები არ მიიღოთ.

- მეჩვენება, რომ ლაპორტას სიტყვები საზოგადოებამ არასწორად გაიგო. როცა ის თავის დაზოგვაზე საუბრობდა, სულაც არ გულისხმობდა, რომ მუშაობისგან თავი უნდა შეგვეკავებინა. მერწმუნეთ, "ბარსას" პრეზიდენტს ჩვენთვის საბოტაჟისკენ არ მოუნოდებია. საქმე ის არის, რომ ჩემს კლუბს უდიდესი ამოცანები აქვს, წინ უამრავი პრინციპული დაპირისპირება გველის და პრეზიდენტს არ უნდა, რომ ტრავმები მივიღოთ. კიდევ რა გითხრათ, იცით, ეს რას მაგონებს? თუ ადამიანი საქმეზე შორს გზაზე მიდის, მას ყოველთვის ეუბნებიან, თავს გაუფრთხილდიო.

- რაც არ უნდა იყოს, ლაპორტას სიტყვებმა საზოგადოებაში დიდი აგრესია გამოიწვია. გულწრფელად გეტყვით, შთაბეჭდილება მრჩება, რომ თქვენი პრეზიდენტის უხერხული სიტუაციიდან გამოყვანას ცდილობთ.

- როგორც გენებოთ, ისე ჩათვალეთ. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სრულ სიმართლეს მოგახსენებთ. ლაპორტამ მშვენივრად იცის, რომ ანდრეს ინიესტა ნაკრებში ყოველთვის დაიხარჯება. აქედან გამომდინარე, მისი მონოდება ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნებოდა. არ მგონია, სენიორ ჟოანი იმდენად სულელი და არასერიოზული ადამიანი იყოს არარსებულსა და შესაძლებელზე ელაპარაკა.

- ესპანეთის ავტონომიების ნაკრებების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ დებატზე რას გვეტყვით?

- მირჩევნია ამ თემაზე არ ვილაპარაკო. ადამიანებმა ერთმანეთის მოსაზრებებს პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ საკითხს, რომელსაც ძირფესვიანად არ ვიცნობ, სერიოზულად ვერ განვიხილავ.

ილია ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲰᲔᲚᲗᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲐᲖᲝᲢᲘᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲔᲑᲘ: ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝᲕᲘ, ᲠᲘᲕᲔᲠᲡᲘ ᲓᲐ...



ბელტონ რივერსი

რუსთავის "აზოტი" ოკეანისგაღმელ ჯორჯიელებს "გადაეკიდა". ჯერ საუბარი იყო ჯორჯიის შტატში დაბადებული ნეით უილიამსის დამატებაზე, გუშინ კი ოფიციალურად გაცხადდა "აზოტში" ბელტონ რივერსის ჩარიცხვის ამბავი. ბელტონიც ამერიკული ჯორჯიიდანაა - ატლანტაში დაიბადა. აქვე გატყვით, რომ განსხვავებით რივერსისგან ნეით უილიამსის საქართველოში ჩამოსვლის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა, ხოლო ბელტონს რუსთავში უახლოეს დღეებში ელიან.

ᲒᲐᲕᲘᲪᲜᲝᲗ ᲑᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ბელტონ რივერსმა კალათბურთის თამაში ატლანტაში დაიწყო და სკოლის გუნდში ჩატარებულ ბოლო სეზონში საშუალოდ 34 ქულას აგროვებდა. იუნიორთა კოლეჯების ლიგაში გადასვლის შემდეგ საუკეთესო ახალწვეულთა ხუთეულში დასახელდა.

ხოლო 2004 წლიდან ამერიკის კოლეჯების ლიგაში "ტენესის" ღირსებას იცავდა. ამ გუნდთან ერთად პირველ წელიწადს საშუალოდ 8.2 ქულას აგროვებდა, მეორეში - 12.0-ს, ხოლო 2006-07 წლების სეზონში - 33.4 წუთში 17.8 ქულას, 3.7 მოხსნას, 2.5 პასსა და 1.1 ჩაჭრას. იგი "ტენესის" კოლეჯში პირველნომრიანი მაისურით თამაშობდა.

ციფრებზე ბევრი კი ვისაუბრეთ, მაგრამ მთავარი გამოგვრჩა - ბელტონ რივერსი ამპლუით უკანახაზელია. იგი 1984 წლის 7 მაისსაა დაბადებული და 193 სმ სიმაღლისაა.

ასე რომ, ევროთასისთვის "აზოტის" უკანა ხაზიც საგრძნობლად გაძლიერდება. რივერსი-გამყრელიძის დუეტი, წესითა და რიგით, ჰოლანდიელი "ასტრონავტების" უკანახაზელებს არ უნდა ჩამოუვარდებოდნენ.

ბელტონის ფოტოს ძიებისას ერთ-ერთ ამერიკულ ვებ-საიტზე მისი მოკლე დახასიათება ვნახეთ, რომელიც ქართველ ქომაგსაც დაინტერესებს:

"ბელტონ რივერსი მეტად ღირებული შემტევი მოთამაშეა. იგი მონინააღმდეგის მოედნის ყოველი წერტილიდან თანაბრად ზუსტი სროლით გამოირჩევა. 2006-07 წლების სეზონში სამქულიანების 36.4 პროცენტული სიზუსტით სტყორცნიდა. რაც კარგ შედეგად ითვლება. ამის გარდა, ბელტონი სახიფათოა დრიბლინგებისასაც - მეტოქით ფარქვეშ ხშირად შედის. მას შეტევისას ლიდერობის საკუთარ თავზე აღება ახასიათებს...

თუმცა რივერსი ისევე სასარგებლოა დაცვაში, როგორც - შეტევაში. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად მეტოქის შეჩერებას დამაჯერებლად ახერხებს."

ბელტონ რივერსი საქართველოში რომ ჩამოვა, მაშინ ვნახავთ, ამერიკელებმა მისი დახასიათებისას რეალობას გადააჭარბეს, თუ მართლა კარგი კალათბურთელია. ვიცოდით, რომ მისი მატჩების ვიდეოფირი ნანახი ჰქონდა "აზოტის" მწვრთნელ დავით უსტიაშვილს. ამიტომ ახალი მოთამაშის შესახებ აზრი მას ვკითხეთ. თუმცა სჯობს რუსთაველთა დამრიგებლის ინტერვიუ ცალკე ქვეთავში მოვაქციოთ.

ᲔᲠᲗᲘᲪ ᲓᲐ...

უსტიაშვილთან საუბარი ამერიკელის დახასიათებით დავიწყეთ.

- ბელტონ რივერსის "აზოტში" ჩარიცხვა გადაწყვეტილია. მას უახლოეს დღეებში ველით. ჯერ რივერსის სტატისტიკას გავეცანით. დავინახეთ, რომ ურიგო მოთამაშე არ არის, გასულ სეზონში საშუალოდ 17 ქულას აგროვებდა. შემდეგ მისი მატჩების ვიდეოფირიც ვნახეთ და "აზოტში" გადმოსვლა შევთავაზეთ. სატრანსფერო საუბარი წარმატებით დასრულდა და ვიმედოვნებთ, რომ ბელტონი ჩვენს უკანა ხაზს საკმაოდ გააძლიერებს. დანარჩენი შემდეგში გამოჩნდება.

- იყო საუბარი ნეით უილიამსის ჩამოყვანაზეც.

- ჯერჯერობით, მხოლოდ ბელტონ რივერსისა და სერბი იოვან სტეფანოვის საკითხია გარკვეული. დანარჩენებზე გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი.

- ევროთასის წინ რამდენი ლეგიონერის დამატებას აპირებთ?

- ალბათ, კიდევ ერთს ავიყვანთ, ვინ იქნება, ან რა ამპლუისა, ეს ჯერ გაურკვეველია.

- ნომინალური ცენტრი გაკლიათ...

- მართალია. მიდის მუშაობა ტანმაღალ კალათბურთელებთანაც.

- "აზოტში" მოვარჯიშე იოვან სტეფანოვზე რას იტყვით?

- კარგი შენაძენია, ჭკვიანი მოთამაშეა. სიმაღლესთან შედარებით საკმაოდ მოძრავია, პერიმეტრზეც ხშირად ამოდის და ფარქვეშიდანაც სახიფათოა. რაც მთავარია, იოვანი სწრაფი შეტევისას საკუთარი ნახევრიდან მეტოქისაზე გადასვლას არ აყოვნებს.

- რომელ პოზიციაზე აპირებთ სტეფანოვის გამოყენებას?

- იგი მძიმე ფორვარდია, თუმცა სამქულიანებსაც ზუსტად ისვრის. ამასთან იოვანს სიმაღლე და ჯანი ხელს უწყობს ცენტრის ფუნქციების წარმატებით შესრულებაში. მოკლედ, იგი უნივერსალია და სადაც გუნდს დასჭირდება, იქ ითამაშებს.

- ევროთასზე განაცხადების გაგზავნის ბოლო ვადა როდისაა?

- 21 ოქტომბერს. მანამდე ყველა სატრანსფეკრო საკითხი უნდა მოვაგვაროთ და ევროთასის პირველ მატჩამდე დარჩენილი დრო გუნდის შესაკრებად გამოვიყენოთ. მართალია, ცოტა დრო გვაქვს, მაგრამ ვეცდებით, მოკლე ვადაში, რაც შეიძლება მაღალ ხარისხს მივაღწიოთ. ამასობაში საქართველოს ჩემპიონატიც დაიწყება და, ალბათ, ორი შეხვედრის ჩატარებასაც მოვასწრებთ.

- მეტოქე "ამსტერდამმა" ჰოლანდიის ჩემპიონატში ორი მატჩი გამართა...

- მოწინააღმდეგის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციებს ვაგროვებთ. გვაქვს ჩემპიონატის შეხვედრების სტატისტიკური მონაცემები, რომლებზე დაყრდნობითაც თამამად უნდა ითქვას, რომ "ამსტერდამი" ძლიერი მეტოქეა. ჰოლანდიელებს ოთხი ამერიკელი და ერთიც გაებრაელებული ამერიკელი ჰყავთ, რომელმაც წინა თევში ევროპის ჩემპიონატში ითამაშა. ამასთან, გუნდში ირიცხება მათი ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი ჰასანენი. 30 ოქტომბერსა და 6 ნოემბერს სერიოზული ბრძოლები გველის.

- 30-ში "ამსტერდამს" სად უმასპინძლებთ?

- მატჩი სპორტის სასახლეში გაიმართება.

"აზოტის" მწვრთნელმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მუშაობა მესამე ლეგიონერის ჩამოყვანასთან დაკავშირებით. ჩვენი ინფორმაციით, სხვებთან ერთად რუსთაველები 210 სმ სიმაღლის ნეით უილიამსისა და ასევე ცენტრის, ჯონ ვინჩესტერის კანდიდატურებს განიხილავენ.



ფაჩულია შარლოტის წინააღმდეგ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ

ზაზა ფაჩულიას "ატლანტამ" მესამე საგამოფენო მატჩიც მოიგო. ამჯერად "ჰოქსის" კალათბურთელებმა ატლანტაში "შარლოტი" დაამარცხეს - 109:104.

ზაზამ მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო, თუმცა მის შემცვლელ ელ ჰარფორდს გაცილებით მეტი სათამაშო დრო ერგო (31 წუთი) და ორმაგ დუბლამდე ერთი მოხსნა დააკლდა - 10 ქულა, 9 მოხსნა.

ფაჩულიამ 20 წუთში 8 ქულა, 4 მოხსნა და 1 დაფარება ჩაიწერა.

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ-ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲘ 109:104

27:31, 32:27, 27:18, 23:28

ატლანტა: ჯონსონი (25 ქ), ლოუ (10 ქ), სმიტი (10 ქ), მ. უილიამსი (21 ქ), ფაჩულია (20 წუთი, 8 ქულა, 4 მოხსნა, 1 დაფარება, 3 შეცდომა, 3 ფოლი), ჰარფორდი (10 ქ. 9 მ), შ. უილიამსი (11 ქ), ჩილდრესი (10 ქ), რობინსონი (3 ქ).

შარლოტი: რიჩარდსონი (12 ქ), მორისონი (20 ქ), ჰოლინსი (10 ქ), კაროლი (19 ქ)...

I ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲚᲘ

11:21	ფოლი: 1
11:21	შეცდომა: 1
07:32	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
06:39	შეცდომა: 2
06:11	მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1)
06:07	ფაჩულია ჰარფორდმა შეცვალა

II ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲚᲘ

07:12	ფაჩულიამ უილიამსი შეცვალა
05:38	ფოლი: 2
05:15	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
03:37	სავარაუდოები: 2/1, 1 ქ (46:51)
03:24	ფაჩულიამ რიჩარდსონს დაუფარა
00:32	სავარაუდოები: 2/1, 2 ქ (55:56)
00:06	ფოლი: 3

III ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲚᲘ

10:30	მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1)
10:30	სავარაუდოები: 2/2, 4 ქ (63:60)
08:36	ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (67:60)
07:51	მოხსნა: 3 (შეტ: 2, დაც: !)
07:48	ორქულიანი ტყორცნა: 8 ქ (69:60)
05:56	მოხსნა: 4 (შეტ: 2, დაც: 2)
05:27	შეცდომა: 3
05:27	ფაჩულია როგინსონმა შეცვალა

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲓᲦᲔᲡ, 1978 ᲬᲔᲚᲡ

1978 წლის 13 ოქტომბერს, თბილისში, სანაპიროზე, ფიზკულტურელთა პარკში საზეიმოდ გაიხსნა საწყლოსნო კომპლექსი "ლაგუნა ვერე". ეს იყო საქართველოში ყველაზე კეთილმოწყობილი ღია საწყლოსნო სპორტული სარბიელი. ასეა დღესაც. საცურაო აუზების გარდა, კომპლექსის განკარგულებაშია საუნა, მასაჟისა და კოსმეტიკის კაბინეტები, სატრენაჟორო დარბაზი. დღემდე აქ ცურვა შეუსწავლია 300 ათასამდე მოზარდს, ჩატარებულია სხვადასხვა რანგის შეჯიბრებები, კულტურულ-სპორტული ღონისძიებები.

კომპლექსის უცვლელი დირექტორი **ვლადიმერ გოიაშვილი** იგონებს: "სამუშაოები დამთავრდა. დაგეგმილი იყო კომპლექსის საზეიმოდ გახსნის დღე - 13 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირთან გამწვავებული პოლიტიკური ვითარების გამო ირანმა გაზის მოწოდება შეგვიწყვიტა, წყლის გათბობა შეუძლებელი გახდა. გამოინახა გამოსავალი - დამზადდა ტივი და ორი კვირის განმავლობაში ანსამბლი "ივერია" კონცერტებს მართავდა. მერე გაზის მოწოდებაც აღსდგა. თბილისელებს კი ნამდვილი მიზეზში, თუ რატომ არ ამუშავდა აუზი უმალვე, ეჭვიც არ შეუტანიათ".

კომპლექსის არქიტექტორია **შოთა ყავლაშვილი**, მხატვრულად გააფორმა **კოკა იგნატოვმა**.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

კოგა კურტანიძე. დაიბადა 13.10.1963, , გორი. ძიუდო (95 კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (1989), ევროპის ორგზის ჩემპიონი (1987, 89) და მესამე პრიზიორი (1990, სსრკ ხალხთა IX და X სპარტაკიადების ჩემპიონი (1986, 91), სსრკ შვიდგზის ჩემპიონი (1985, 86, 87, 88, 89, 90, 91). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 2005 წელს.

ᲡᲐᲛᲑᲝ

ბესო მიქელთაძე, თემურ გიორგაძე, ოთარ ყურაშვილი

ᲡᲐᲛᲘ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ

საბერძნეთის ქალაქ სალონიკში, ამ დღეებში, სამბოს მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა ვეტერან სამბოსტებს შორის. ტურნირში 32 ქვეყანა მონაწილეობდა. ოქროს მედალი სამმა ქართველმა მოიპოვა.

35-დან 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, 68 კგ. წონით კატეგორიაში. მსოფლიო ჩემპიონი გახდა თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსი **თემურ გიორგაძე**.

40-დან 45 წლამდე ასაკში, მძიმე წონით კატეგორიაში, I ადგილი **ბესო მიქელთაძემ** დაიკავა. 50-დან 55 წლამდე კი მძიმე წონით კატეგორიაში საუკეთესო **ოთარ ყურაშვილი** იყო.

უშანგი ხარშილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

მსოფლიო თასი

სალიცენზიო მარათონი გრძელდება

ამ უქმეებზე ბაქოში ძიუდოისტთა მსოფლიო თასის ტურნირი ჩატარდება. ეს წლევანდელ სეზონში ამ რანგის ბოლო შეჯიბრებაა, რომელიც სალიცენზიო სტატუსისაც გახლავთ. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ადრე თქმულს, რომ ეს შედარებით ახალი ტურნირია, რომელსაც თავიდან უმაღლესი კატეგორიაც არ ჰქონდა, თუმცა იქაურებმა მიზანმიმართული მუშაობით სულ რამდენიმე წელინადში არათუ მსოფლიო თასის სტატუსი მოუპოვეს, არამედ სალიცენზიოც გახადეს. თანაც, მამაკაცებში და არა ქალებში, რომელიც ნაკლებად პრესტიჟულია.

ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობამ იქაც გადახალისებული შემადგენლობა გააგზავნა, ვინაიდან 7-დან 5-მა უკვე გაინაღდა პეკინის ოლიმპიადაზე მონაწილეობა. გუნდს ბაქოში არც **შოთა ხაბარელი** გაჰყოლია, მთავარი მწვრთნელის ფუნქციები კი **გურამ მოდებაძემ** შეითავსა. შემადგენლობა ასეთია: **ამირან პაპინაშვილი, ბეთქილ შუკვანი** (ორივე - 60), **ზაზა კედელაშვილი, უჩა ხუციშვილი** (66), **დავით ბოდაველი, დავით კობერიძე** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი, გრიგოლ შინჯიკაშვილი** (81), **დავით ლორიაშვილი, იოსებ მსხალაძე** (90), **ლევან რაზმაძე, გიორგი ყიზილაშვილი** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი** (+100).

მწვრთნელთა ჩანაფიქრი მარტივია - კედელაშვილის, ბაინდურაშვილისა და გავაშელიშვილის გარდა, ყველა გამოსაცდელად მიჰყავთ, თორემ მათ წონებში ლიდერებმა მსოფლიო პირველობაზე გაინაღდეს ოლიმპიადის ლიცენზიები. არსებითად, ჯერ 81-ის ფალავნებიც იცდებიან, რადგან ამ რანგის სატურნირო ბრძოლებში წრთობა ჯერ ისევ აკლიათ. აი, კედელაშვილზე ამას ვერ ვიტყვით, თუმცა ფაქტია - ლიცენზია მასაც ასე ქულა-ქულა საძიებელი გაუხდა. სადღეისოდ იგი რეიტინგში 104 ქულით მესამეა. აქედან 100 ქულა ევროპის წლევანდელ პირველობაზე გამარჯვებისთვის მიიღო, 4 კი როტერდამის სუპერთასზე მიუმატა. ამ წონაში პირველზე 170 ქულით ჰოლანდიელი **დაქს ელმონტია**, მეორეზე - 130-ით რუსთა ახალწვეული **ალიმ გადანოვი**. კედელაშვილი მათ იმდენად მცირედით ჩამორჩება, დეფიციტის აღმოფხვრა ბაქოშივე შეუძლია, ოღონდ საამისოდ... დამაჯერებელი ჭიდაობაა საჭირო და არა ისეთი, როგორიც მსოფლიო ჩემპიონატზე აჩვენა ან თუნდაც როტერდამში.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში 81 კილოგრამი წონითი კატეგორია აქილევსის ქუსლად გვექცა. ბრაზილიაში, მსოფლიო პირველობაზე ნამდვილად გაგვიმართლა, რადგან 6 საგზურიდან 5 ევროპელებმა მოიპოვეს. სალიცენზიო რეიტინგს მათ თუ გამოვაკლებთ, **ბაინდურაშვილი** 42 ქულით მეშვიდეა, თუმცა ერთი გამართლება აქაცაა - წინმდგომთაგან ერთი იტალიელი **ანტონიო კიანოა**, ამ ქვეყანას კი საგზური მსოფლიო ჩემპიონატზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ჯუზეპე მადალონიმ** უკვე მოუპოვა. იტალია მეორე საგზურს ვერანაირად ვერ მიიღებს. არადა, კიანოც ნაღდად მოხვდება იმ რვა კაცში, რომლებიც სალიცენზიო რეიტინგით მიიღებენ საგზურს და ამ შემთხვევაში იქაურებს ასარჩევად ექნებათ საქმე, მაგრამ ეს მათი პრობლემაა, ჩვენთვის მთავარი კი ისაა, რომ კიანოსაც თუ ამოვაგდებთ, ბაინდურაშვილი რეიტინგში მეექვსეა. ერთი ეგაა, როტერდამის ტურნირის შემდეგ იგი საგრძნობლად ჩამორჩა სამეულს. სადღეისო მდგომარეობით, მას ძირითადად საოცნებო ოქტეტის მეორე ნახევარში დარჩენისთვის მოუწევს ბრძოლა, ეს კი ბოლო წუთებამდე გაურკვევლობასა და დაძაბულობას გვიქადის.

ბაინდურაშვილის შემდეგ, აქ საუკეთესო **საბა გავაშელიშვილია**, რომელიც 20 ქულით 24-ეა. **შინჯიკაშვილი** 14-ით 28-ეა, **ლევან წიკლაური** კი 6 ქულით 37-ეა. ცხადია, აქ საგზურის რეალური მომპოვებელი ბაინდურაშვილია, თორემ საეჭვოა, სხვებმა ეს ჩამორჩენა აღმოფხვრან.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ გაისად კიდევ 5 სალიცენზიო ტურნირი გაიმართება. მათ შორის, თბილისისაც 26-27 იანვარს და სწორედ ამ ორწლიანი ციკლის შედეგების შეჯამებით შედგება ის რეიტინგი, რომელშიც საუკეთესო 8-8 კაცი მიიღებს საგზურს.

ირაკლი თავაძე

ძალოსნობა

რაულ ცირეკიძის მესამე ადგილი

ტაილანდურ ჩიან მაიში დასრულებული მსოფლიო ჩემპიონატიდან ორი კვირაც არ იყო გასული, როცა ესპანურ სანტა კრუზს დე ტენერიფეში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი გაიმართა. ამ ფორუმზე მხოლოდ ერთი ქართველი - **რაულ ცირეკიძე** მონაწილეობდა. როგორც გახსოვთ, ჩიან მაიში ცირეკიძემ 85 კგ. წონით კატეგორიაში იასპარეზა და არცთუ დამაჯერებლად - ატაცში 154 კგ აზიდა, აკვრაში კი 183 დაიმორჩილა, რაც ძლივს ეყო 25 საუკეთესოში შესასვლელად, რომელიც გუნდური ჩათვლისთვის ქულებს იძლეოდა. აშკარა იყო, რაულს მეტი შეეძლო, მაგრამ ჩიან მაიში რაღაცამ შეუშალა ხელი...

იმ "რაღაცის" პოვნას ქართველი ძალოსანი ესპანეთში შეეცადა და - წარმატებითაც: ატაცში 156 კგ დაძლია, აკვრაში კი - 189, რაც ორჭიდში 345 კილოგრამს უდრის და 8 კილოგრამით მეტია ტაილანდურ შედეგზე. ეს შედეგი რომ ტაილანდში ეჩვენებინა ცირეკიძეს, ოცეულში აუცილებლად მოხვდებოდა და ქულებსაც მეტს შესძენდა გუნდს...

ქართველის შედეგი ფასეული იმითაცაა, რომ ატაცში მესამე იყო და საუკეთესო შედეგს მხოლოდ ორი კილოთი ჩამორჩა; მეორე შედეგს კი - ერთით. ბევრად არ ჩამორჩენილა აკვრაშიც - აქ მართალია მეხუთე შედეგი ჰქონდა, მაგრამ საუკეთესო შედეგი 191 კილოგრამი იყო; სამმა ათლეტმა კი 190 კილო დაიმორჩილა.

ორჭიდის ჯამში გამარჯვებული რუსი **არტემ ლეონიდევია** - 348 კგ (158+190). მეორე პოლონელი **ადრიან ზიელინსკი**-347 (157+190). მესამე ცირეკიძე იყო 345 (156+189). ამ შეჯიბრით წლევანდელი ძალოსნური სეზონი დასრულდა.

ზვიად შათირიშვილი

ხელბურთი



აკაკი ტალახაძე

ბერძენიშვილი და ტალახაძე უკრაინაში

სტუ-"თელავისა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები - **აკაკი ტალახაძე** და **ლევან ბერძენიშვილი** დღეს უკრაინაში გაემგზავრებიან, სადაც დონეცკის "შახტარ-აკადემიაში" ჩარიცხვას შეეცდებიან. ქართული დუეტი დონეცკში სინჯებს გაივლის და თუკი კლუბის ხელმძღვანელობას თავს მოაწონებს, კონტრაქტსაც გააფორმებს.

აღსანიშნავია, რომ შარშან, "შახტარში" თამაშობდნენ **ვლადიმერ რუსია** და **მამია კობახიძე**. რუსია იქიდან რუმინეთის "დინამოში" გადაბარგდა, ხოლო კობახიძე სტუ-"თელავს" დაუბრუნდა და სხვა უცხოურ კლუბში გადასვლას აპირებს.

სხვათა შორის, ტალახაძითა და ბერძენიშვილით დაინტერესება ჯერ კიდევ ზაფხულში გამოიჩინეს დონეცკელებმა, მაგრამ რაკიღა სტუ-ს ევროთასებზე სათამაშო ჰქონდა, მათი უკრაინაში წასვლა ცოტა ხნით გადაიდო.

უკრაინაში გამგზავრებამდე, გავესაუბრეთ აკაკი ტალახაძეს.

- "შახტართან" რეკომენდაცია გაგვიწია სტუ-"თელავის" პრეზიდენტმა ზურაბ კეკელიძემ. სინჯებზე მივდივართ და თუკი უკრაინელებს მოვეწონებით, კონტრაქტსაც გავაფორმებთ.

- რამდენ ხანს დაყოფთ სინჯებზე. ეროვნულ ნაკრებში ხართ გამოძახებულები და მოასწრებთ დროულად დაბრუნებას?

- ჯერჯერობით, არ ვიცი, თუ რამდენ ხანს დავყოფთ დონეცკში. ჩავალთ და ყველაფერს იქ გავარკვევთ.

კობა ხატისაშვილი

ინტერვიუ შოთა გრიშიკაშვილთან

თურქეთის ქართველი მეჭყევეები

ამ ზაფხულს ერთბაშად ოთხმა ქართველმა ხელბურთელმა მიაშურა თურქეთს. "თბილისის" ოთხეული - **შოთა გრიშიკაშვილი, გიორგი ნატროშვილი, ლევან ოსიყმაშვილი** და მეკარე **გაგა სეთურიძე** - თურქეთის ჩემპიონატის მეორე ლიგის "ორმანში" ჩაირიცხა.

რაკიღა თურქეთის ჩემპიონატი ნოემბერში იწყება, ქართველთა კვარტეტი ცოტა ხნით სამშობლოში დაბრუნდა. ვისარგებლეთ ამით და "ჩელენჯ ტროფისთვის" ნაკრებში გამოძახებულ შოთა გრიშიკაშვილს გავესაუბრეთ.

- ჩვენს გუნდს ჰქვია "ორმან სპორტ კლუბი". იგი ქალაქ ართვინიაა და მისი მთავარი სპონსორია თურქული სატელეო კომპანია "ორმანი".

- როდის გეწყებათ სეზონი და რა მიზანს ისახავთ?

- 3 ნოემბერს იწყება თურქეთის ჩემპიონატი. გუნდის უმთავრესი ამოცანა იქნება უმაღლეს ლიგაში გადასვლა. ამისათვის სერიოზულად გვამზადებენ დღეში ორჯერადი ვარჯიშებით და მაქსიმალურად კარგი პირობებით. მეორე ლიგაში 12 გუნდია და აქედან, უმაღლეს, ანუ სუპერლიგაში გადადის 2 კლუბი.

- გყავთ ისეთი შემადგენლობა, რომ სუპერლიგაში გადახვიდეთ?

- დიახ, საკმაოდ კარგი და შეკრული შემადგენლობაა. ოთხი ქართველი ვართ, ორი სამსუნელია, ორი ანკარელი, დანარჩენები კი ართვინელები არიან. გუნდის ხელმძღვანელობა ჩვენზე დიდ იმედებს ამყარებს და ოთხივე ძირითადი შემადგენლობის წევრებად მოვიაზრებით. რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებთ მიზნის მისაღწევად და ვნახოთ...

- თურქეთის მეორე ლიგას ალბათ ტრამპლინად გამოიყენებთ უკეთეს გუნდში გადასასვლელად.

- რა თქმა უნდა. ჩვენთვის "ორმან სპორტ კლუბი" პირველი უცხოური გუნდია და სანყის ეტაპზე, თურქეთის მეორე ლიგა ურიგო ვარიანტი არაა. იქ ყველანაირი პირობაა იმისთვის, რომ კლასი აიმაღლო და უკეთესზე იფიქრო. კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გავაფორმეთ. წლის ბოლოს კი გადავხედავთ, რა შემოთავაზებები გვექნება და თუკი უკეთესი კლუბების ვარიანტი გამოჩნდება, უარს არ ვიტყვით. მოკლედ, მეორე ლიგაში თამაშით ნიადაგს ვამზადებთ უფრო ძლიერ გუნდებში გადასასვლელად.

- შარშან საქართველოს ჩემპიონატში თამაშობდი. რა განსხვავებას ხედავ მაშინდელ და ამჟამინდელ ჩემპიონატს შორის?

- სამწუხაროდ, დიდი განსხვავება არაა. ისევ ორი გუნდია გამოკვეთილი ფავორიტი, დანარჩენები კი მათ საგრძნობლად ჩამოუვარდებიან. სანამ სამოთხი გუნდი არ იბრძოლებს ჩემპიონობისთვის, პროგრესზე საუბარი ცოტა რთული იქნება.

- ეროვნულ ნაკრებზე გადავიდეთ. ელოდი გუნდში გამოძახებას?

- მოულოდნელობა ნამდვილად არ ყოფილა. ნაკრებში შარშან, დეკემბერშიც მიხმეს, როდესაც გუნდი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადებოდა. თუმცა, მაშინ თამაშის საშუალება არ მომეცა. ნაკრებში ახლაც დიდი კონკურენციაა და ვერ ვიტყვი, რომ "ჩელენჯ ტროფის" განაცხადში აუცილებლად მივხვდები. თუმცა, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული და ამისათვის ცდას არ დავაკლებ. ახლა რომც ვერ მოვხვდე თოთხმეტეულში, დიდი ტრაგედია არ იქნება, რადგან ჯერ 23 წლის ვარ და ყველაფერი წინ მაქვს.

- შესაძლოა "ჩელენჯ ტროფამდე" თურქეთს ეთამაშოთ საკონტროლო მატჩში...

- ახალი ჩამოსული ვარ თბილისში და ამის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს... თუკი საკონტროლო მატჩის ჩატარება მოხერხდება, ძალიან კარგი იქნება. მწვრთნელებს უფრო მეტი საშუალება მიეცემათ, რომ ნაკრების ყველა კანდიდატი უშუალოდ საქმეში ნახონ და საუკეთესოები ამოარჩიონ. ისე, თუკი თურქეთის ნაკრებ გუნდებთან თამაში ვერ მოხერხდება, კლუბებიც საკმაოდ ძლიერები ჰყავთ და არც მათთან თამაში გვაწყენდა.

შოთა გრიშიკაშვილი

- საქართველოს ნაკრების შანსებს როგორ შეაფასებ?

- ორი აზრი არ არსებობს, რომ საკუთარი გულშემატკივრის წინაშე მხოლოდ და მხოლოდ პირველი ადგილისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ვერ ვიტყვი, რომ ხელწამოსაკრავი მეტოქეები გვყავს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენზე ძლიერები ნაღდად არ არიან. მთავარია, საკადრო პრობლემები არ შეგვექმნას და ოპტიმალური შემადგენლობა შევკრიბოთ.

კობა ხატისაშვილი

ჭიდაობა

მსოფლიო ჩემპიონატი. U 20

მელია ლიდერებს წამოეპარა

ერევანში მერვე და მეცხრე ტურები გათამაშდა. ჭაბუკებში ეგვიპტელმა აჰმად ადლიმ რეიტინგით უპირველესთან, ჩინელ **ვანკ იუსთან** დამარცხდა და კოეფიციენტის გამო პირველობა დაუთმო, ქულები კი თანაბრად აქვთ - 7. გოგონებში რუსი ვერა ნებოლშინა ერთპიროვნულად ლიდერობს, სრულიად განსაკუთრებული შედეგით - 8 ქულა აქვს. 7.5 ქულა ინდოელ ფავორიტს, **ჰარიკა დრონავალს** აქვს. ზედიზედ რამდენიმე პარტიის მოგების შემდეგ ლიდერთა ხუთეულში აღმოჩნდა **სალომე მელია** - მას 6.5 ქულა აქვს და იმედია, ასეთივე წარმატებით გააგრძელებს თამაშს დარჩენილ 4 ტურში.

შესვენებამ ძალიან არგო ჩვენს გოგონებს და რომ არა **ბელა ხოტენაშვილისა** და **ელისაბედ ზარქუას** წაგება მეცხრე ტურში, აბსოლუტური შედეგი გვექნებოდა - **სოფიკო გურამიშვილმა** ორი მოგებით მერვე ადგილამდე ასვლა შეძლო, ხოლო **მადონა ბოკუჩავამ** ასეთი წარმატებით 5.5 ქულა დააგროვა და მეთექვსმეტემდე აღზევდა. ხოტენაშვილმა უკან დაიხია - 5 ქულა აქვს და მეჩვიდმეტეა. ელისაბედ ზარქუას კი ცხრილის შუაში დამკვიდრებაღა თუ შეუძლია - 3 ქულა აქვს და 49-ე ადგილზეა.

ჭაბუკებში კვლავ რთულად გვაქვს საქმე: ქართველთაგან საუკეთესო შედეგის მქონე **დავით ჯოჯუაა**, რომელსაც 5.5 ქულა აქვს და მხოლოდ მეთხუთმეტეა; **თორნიკე სანიკიძეს** 5 ქულა აქვს და 29-ეა, **გიორგი მარგველაშვილს** ამდენივეთი 33-ე ადგილი უჭირავს. სხვა ჩვენებურები: 42. **ლევან ბრეგაძე**; 54. **დავით ბენიძე**-4; 66. **გაიოზ ნიგალიძე**-3.5; 70. **ზურაბ ჯავახაძე** - 3.0; 77. **ალექსი ტერ-კარაპეტიანი** - 2.5

ზვიად შათირიშვილი

BTA Silk Road Bank
ᲙᲕᲐᲠᲪᲘᲢᲘ QUARTZITE
LOYALCAPITAL group

მთავარი სენსაციის ავტორი, ფიჯის ნაკრები

რაგბი რევოლუციის წინ?

ᲐᲡᲔᲗᲘ სათაურის სტატია გამოჩნდა ბრიტანულ "გარდიანში", ავტორი ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი პოლ რისია, რომელიც "ბორჯღალოსნების" მიმართ ერთობ კეთილგანწყობილი სტატიებით გამოირჩევა.

- მსოფლიო თასის მაყურებლები ამ ხუთი სეისმურად აქტიური კვირის განმავლობაში ეპოქალური ამბების მომსწრე გახდნენ, რომლებმაც სპორტის ამ სახეობაზე გაბატონებული ძირითადი წარმოდგენები თავდაყირა დააყენა. არგენტინის ნაკრების ბრწყინვალე თამაშის, ოკეანიის გუნდების დიდებული რაგბის, საქართველოს, კანადისა და თვით პორტუგალიის პროგრესის შემდეგ, შეუძლებელია საერთაშორისო რაგბი ოთხი წლის მერეც ასეთი ფორმის დარჩეს. ავსტრალიელთა მწვრთნელი **ჯონ კონოლი** პირველი იყო იმათგან, რომელთაც სურვილი გამოთქვეს დაუყოვნებლივ შეიცვალოს მთავარი ტურნირების ფორმატი ორივე ნახევარსფეროში. კონოლის 20-წლიანი სამწვრთნელო გამოცდილება აქვს და ის მიიჩნევს, რომ ბოლო მსოფლიო თასმა უფრო მეტად შეცვალა რაგბი, ვიდრე პროფესიულ სპორტად ჩამოყალიბების წინა 12 წელიწადმა. მხოლოდ არგენტინელთა ფურორშიც არაა საქმე - არგენტინა პირველი გუნდი გახდა, ვინც ტრადიციული რვა ბობოლის ჰეგემონია დაარღვია და ნახევარფინალში გავიდა. საქართველომ თითქმის დაამარცხა ირლანდია, ტონგა "ქურციკებს" მხოლოდ ხუთი ქულით ვერ შესწვდა, ამერიკამ ინგლისი ანერვიულა, რუმინეთი ტოლსწორად ეჭიდავა იტალიას, კანადა კი მატჩის დასრულებამდე 25 წუთით ადრე უელსს უგებდა.

- ეს თამაში აღაროსოდეს იქნება ისეთი, როგორც ამ მსოფლიო თამაშამდე იყო. და ვინც ამ სპორტს მესვეურობს, ეს კარგად უნდა გაითავისონ. ამიტომ ავსტრალიამ, ზელანდიამ და აფრიკამ უნდა მიიღონ ზე-14-ში ტონგა, ფიჯი და სამოა, არა როგორც კუნძულელთა ერთიანი გუნდი, არამედ - ცალცალკე. "ექვსმა ერმა" კი უნდა გაუღოს მუდამ ჩარაზული კარი არგენტინას. და ეს არის დღეს განსახილველი საკითხი, ხვალ უკვე დაგვიანებული იქნება. დააკვირდით განვითარებად ქვეყნებს, ისინი მხოლოდ მაშინ პროგრესირებენ თუ ასეთი დონის ტურნირებზე თამაშობენ. მათ უფრო მეტი ასეთი დონის თამაში ესაჭიროებათ, ნაკლები კი არა. IRB-იმ უნდა გაიგოს, რომ მხოლოდ ასე განავითარებს რაგბის. - განაცხადა **კონოლიმ.**

ფიჯი თავაწეული გაემგზავრა სამშობლოში, რადგან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ პულში უელსელთა ძლევა შემთხვევითი სულაც არ იყო, მეოთხედფინალში მათ ტოლი არ დაუდეს სამხრეთაფრიკელებს, მეორე ტაიმში კი დაწინაურების კარგი შანსი გაუშვეს ხელიდან. წარმოიდგინეთ, ახლა ასეთ კარგ გუნდს გაისად მხოლოდ ორი ტესტი აქვს დაგეგმილი, ისიც შემოდგამით ტონგასთან და სამოასთან.

აი, რას ამბობს ფიჯელთა თავკაცი **ილიე ტაბუა**: *- ეს ორი ტესტი განა საკმარისია? ჩვენს კუნძულზე ტესტის გასამართავად ერთხელაც არ ჩამოსულა ახალი ზელანდია და სამხრეთი აფრიკა. ათ წელიწადზე მეტია არც კელტები გვსტუმრებიან. ფიჯელებს ჰაერივით გვჭირდება პირველი რანგის ნაკრებებთან თამაში. ჩვენ ვაჩვენეთ მსოფლიოს, რომ რაგბის თამაში შეგვიძლია, მაგრამ გავა დრო და ყველას დავავიწყდებით, შემდეგ მსოფლიო თასამდე. ზე-14-ში მიღება კარგი სტარტი იქნება, მაგრამ რადგან ჩვენ მორაგბეთა დიდი ნაწილი ევროპაში თამაშობს, გაგვიჭირდება მათ კლუბებთან მოლაპარაკება".*

იგივე პრობლემა უშლის ხელს არგენტინას "სამი ერის" პირველობას შეუერთდეს, მათი მორაგბეებიც უმთავრესად ევროპაში თამაშობენ, თან ავსტრალია წინააღმდეგია "პუმები" თავიანთ შეჯიბრებაში მიიღოს. ამიტომაც, არგენტინის ნაკრების მწვრთნელი **მარსელო ლოფრედა** მიიჩნევს რომ სჯობს არგენტინა ჩრდილოეთში "ექვსი ერის" გათამაშებას შეუერთდეს, ესპანეთში დაფუძნდეს და წელიწადში ერთი მატჩი ბუენოს-აირესში გამართოს.

თუმცა, IRB-ს დღევანდელი შეფი **სიდ მილარი** ურჩევს "სანზარს", არგენტინა თავის რიგებში მიიღოს: *- დროა, არგენტინა სამი ერის" მეოთხე წევრი გახდეს. მსოფლიო თასზე ასეთ თამაშის შემდეგ მათი უგულველყოფა არ შეიძლება. ჩრდოლეთში კი არგენტინელთა ადგილს ვერ ვხედავ.*

ზელანდია ოც გუნდზე თანახმაა

2011 ᲬᲚᲘᲡ მსოფლიო თასის საორგანიზაციო კომიტეტის შეფმა ზელანდიელმა **მარტინ სნედენმა** სენსაციური და ჩვენთვის სასიხარულო განცხადება გააკეთა - ის მზადაა, 20-გუნდა ჩემპიონატს უმასპინძლოს, თუკი ეს სარაგბო "ჯუჯა ქვეყნების" განვითარებას ხელს შეუწყობს.

პარიზში მყოფმა სნედენმა აღიარა, რომ საქართველომ და სხვა აუტსაიდერმა ისე კარგად ითამაშეს, რომ 20-გუნდა ჩემპიონატის შენარჩუნებას აზრი მიეცა, თუმცა იქვე დაამატა: *- გულზე ხელს დავიდებ და ახლაც მივიჩნევ, რომ დიდებული იქნება, თუკი ზელანდიაში 16-გუნდიან მსოფლიო თასს ჩავატარებთ. ამით რაგბის ხარისხს ძალიან ავწევთ. თუმცა, ჯუჯების თამაშმა დამარწმუნა, რომ მეორე მხარესაც წონიანი არგუმენტი აქვს.*

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

მარტინ სნედენი

სენ დენი, ნახევარფინალი

ᲓᲦᲔᲡ და ხვალ პარიზის გარეუბან სენ დენიში, "სტად დე ფრანსზე" ორი ნახევარფინალური მატჩია. დღევანდელი საფრანგეთ-ინგლისი ოთხწლისწინანდელის გამეორებაა, ხოლო სამხრეთი აფრიკა და არგენტინა ხვალ, მსოფლიო თასზე პირველად ხვდებიან ერთმანეთს.

მარსელო ლოფრედამ და **ჯეიკ ვაითმა** სავალდებულო დღეს, თამაშამდე 48 საათით ადრე გაამხილეს შემადგელობები, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მწვრთნელებს საიდუმლო არც არაფერი ჰქონიათ - ლოფრედას თხუთმეტეული მეოთხედფინალის შემდეგ უცვლელია, მხოლოდ სკამზეა ერთი ცვლილება - **გონსალო ტიესი ერნან სენილიოსას** ნაცვლად.

"ქურციკებს" უბრუნდება თავშებორკილი ბურჯი **ცეხა ფანდერლინდე**, ვინც წინა თამაშს სულ ბოლო მომენტში გამოაკლდა იმის გამო, რომ ნატკენი კისრის მორჩენა ვერ მოასწრო. ამის გამო **იანი დუპლესი** სკამზე ბრუნდება. მას გვერდით მიუჯდება ძმა, სათადარიგო კვაჭი **ბისმარკ დუპლესი**. მარქაფში იქნება **ბობი სკინსტადიც, ვიკუს ფანჰირდენის** ნაცვლად.

არგენტინა და სამხრეთი აფრიკა აქამდე თერთმეტჯერ შეხვედრიან ერთმანეთს - ყველა მატჩი აფრიკამ მოიგო.

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

13 ᲝᲥᲢ, 23:00, ᲡᲔᲜ ᲓᲔᲜᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ-ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲡᲐᲤ: 15. **დამიენ ტრაი** 14. **ვენსან კლერი** 13. **დავიდ მარტი** 12. **იანიკ ჟოზიონი** 11. **სედრიკ ემონსი** 10. **ლიონელ ბოსი** 9. **ჟან-ბატისტ ელისალდი;** 1. **ოლივიე მილუ** 2. **რაფაელ იბანესი (კაპ)** 3. **პიერ დევილიე** 4. **ფაბიენ პელუ** 5. **ჟერომ თიონი** 6. **სერჟ ბეტსენი** 7. **ტიერი დუბოტუარი** 8. **ჟულიენ ბონერი** / 16. დიმიტრი შარჟევსკი 17. ჟან-ბატისტ პუ 18. სებასტიან შაბალი 19. იმანოლ არინორდოკი; 20. ფრედერიკ მიშალაკი 21. კლემან პუატრენო 22. ქრისტოფ დომინისი

ᲘᲜᲒ: 15. **ჯეისონ რობინსონი** 14. **პოლ საკი** 13. **მეთიუ ტეიტი** 12. **მაიკ ქეთი** 11. **ჯოშ ლუსი** 10. **ჯონი ვილკინსონი** 9. **ენდი გომერსოლი;** 1. **ენდი შერიდანი** 2. **მარკ რიგანი** 3. **ფილ ვიკერი (კაპ)** 4. **საიმონ შოუ** 5. **ბენ ქეი** 6. **მარტინ ქორი** 7. **ლუის მუდი** 8. **ნიკ ისტერი** / 16. ჯორჯ ჩატერი 17. მეტ სტივენსი 18. ლოურენს დალალიო 19. ჯო ვორსლი; 20. პიტერ რიჩარდსი 21. ტობი ფლუდი 22. დან ჰიპკისი

ᲛᲡᲐᲯᲩ: **ჯონათან კაპლანი** (ს.აფრ)

14 ᲝᲥᲢ, 23:00, ᲡᲔᲜ ᲓᲔᲜᲘ

ᲡᲐᲛᲮ. ᲐᲤᲠᲘᲙᲐ-ᲐᲠ�გᲔᲜᲢᲘᲜᲐ

ᲐᲤᲠ: 15. **პერსი მონტგომერი** 14. **ჯეიპი პიტერსენი** 13. **ჟაკ ფური** 12. **ფრანსუა შტაინი** 11. **ბრაიან ჰაბანა** 10. **ბუჩ ჯეიმზი** 9. **ფური დიუპრე;** 1. **ოზ დიურანი** 2. **ჯონ სმითი (კაპ)** 3. **ცეხა ფანდერლინდე** 4. **ბაკის ბოთა** 5. **ვიქტორ მეტფილდი** 6. **სხალკ ბურხერი** 7. **ჟუან სმითი** 8. **დანი როსუ** / 16. ბისმარკ დუპლესი 17. იანი დუპლესი 18. იოჰანეს მულერი 20. ბობი სკინსტადი; 20. **რუან პინარი** 21. **ანდრე პრეტორიუსი** 22. **ვინანდ ოლიფიე**

ᲐᲠᲒ: 15. **იგნასიო კორლეტო** 14. **ლუკას ბორხესი** 13. **მანუელ კონტეპომი** 12. **ფელიპე კონტეპომი** 11. **ორასიო აგულა** 10. **ხუან მარტინ ერნანდესი** 9. **აგუსტინ პიშო (კაპ);** 1. **როდრიგო რონსერო** 2. **მარიო ლედესმა** 3. **მარტინ სკელსო** 4. **იგნასიო ფერნანდეს-ლობე** 5. **პატრისიო ალბასეტე** 6. **ლუკას ოსტილია** 7. **ხუან მარტინ ფერნანდეს-ლობე** 8. **გონსალო ლონგო** / 16. ალბერტო ვერნეტი 17. ომარ ჰასანი 18. **რიმას ალვარესი** 19. **ხუან-მანუელ ლეგისამონი;** 20. **ნიკოლას ფერნანდეს-მირანდა** 21. **ფედერიკო ტოდესკინი** 22. **გონსალო ტიესი**

ᲛᲡᲐᲯᲩ: **სტივ ვოლში** (ზელ)



ილია ზედგინიძე

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲘᲚᲘᲐ ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ

დავეწიოთ და გავუსწროთ იტალიას!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ნაკრების უკვე ყოფილი კაპიტნის ილია ზედგინიძის საბაკრებო კარიერა 1998 წელს, ირლანდიასთან მატჩით დაიწყო. ცხრა წლის შემდეგ მან თავისი ბოლო შეხვედრა საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიო თასზე ასევე ირლანდიასთან ითამაშა. კაპიტანს რაგბიდან წასვლა საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი. მიზეზი კი სერიოზული ტრავმაა.

- გადაწყვეტილება საბოლოოა. დაახლოებით ერთი წელიწადია საჭირო, რომ ტრავმები საბოლოოდ მოვიშუშო. მუხლი ძალიან მაწუხებს, რომ გავრისკო და ვითამაშო, შეიძლება გამიტყდეს და მაშინ საოპერაციო ვიქნები.

- რას აპირებთ სამომავლოდ?

- უახლოეს დღეებში საფრანგეთში გავემგზავრები. იქ გარკვეულ კონსულტაციებს გავივლი და ასე ახალი წლისთვის უკვე მეცოდინება, რა საქმეს ვეწევი.

- განათლებით საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი ხართ. ამ მიმართულებით ხომ არ აპირებთ მუშაობას?

- დიახ, ერთერთი შესაძლო ვარიანტი ეგეცაა.

- მაშ, სანამ სხვა სფეროში გადაბარგდებით, ცოტა ხნით რაგბს დავუბრუნდეთ. მოკლედ როგორ შეაფასებდით ჩვენი ნაკრების გამოსვლას საფრანგეთში მსოფლიო თასზე?

- საქართველოს ნაკრების თამაში, უდავოდ, ნარმატებულად უნდა მივიჩნიოთ. გამოხმაურება აბსოლუტურად ყველა მხრიდან პოზიტიური იყო. საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ იმ შედეგით რაც ვაჩვენეთ, იმითაც, თუ რა მოუტანა ამან ქართულ რაგბს. მთლიანად საქართველოს.

სხვაა, თუ ოდნავ ჩავულრმავდებით და გარკვეულ ტექნიკურ საკითხებზე ვისაუბრებთ. ძალიან ბევრი დეტალია განსახილველი და დასახვეწი. ამისთვის მუხლმოუხრელი შრომაა საჭირო.

გული მწყდება, რომ იმ დროისთვის საფრანგეთის ელიტარულ დივიზიონებში სატრანსფერო სეზონი დამთავრებული იყო, ამიტომ უკეთეს გუნდებში ჩვენი მორაგბეების გადასვლა ერთი წლით გადაიდო. არადა, ქართველი მორაგბეებით დაინტერესება საგრძნობლად გაიზარდა. რაც ყველაზე უფრო კარგია, ინტერესი ბრიტანული ქვეყნების კლუბებმაც გამოთქვეს. მომავალი წლიდან ქართველი მორაგბეების კლუბების გეოგრაფია კიდევ უფრო გაიზრდება.

- პირადად მე შთაბეჭდილება დამრჩა, რომ საქართველოს ნაკრებს მეტის მიღწევაც შეეძლო.

- დაგეთანხმებით. ალბათ, მართლაც მეტი შეგვეძლო. რატომ ვერ მოვახერხეთ, ამას გაანალიზება სჭირდება, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს გუნდის თამაში. მალე ნაკრების რამდენიმე მოთამაშე რაგბიდან მიდის და გუნდში ახალი შევსება მოვა. შემდეგი ოთხწლიანი ციკლი საკმაოდ დიდი დროა იმისთვის, რომ საქართველოს ნაკრები ბევრად უფრო ძლიერი გახდეს ვიდრე წლევანდელ მსოფლიო თასზე იყო.

- რა უნდა გაკეთდეს ამისთვის?

- ძალიან ბევრი რამ. ამისთვის ელემენტალური პირობები უკვე აღარ კმარა. მორაგბეებს კარგი პირობები უნდა ჰქონდეთ, რომ წინსვლა შეძლონ. დრო გვიჩვენებს - თუ სახელმწიფო შეასრულებს დანაპირებს და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც წარმოგვიდგენია, მაშინ უზარმაზარ ნახტომს გავაკეთებთ წინ.

- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სახელმწიფოს გლობალურად დახმარების პრეცედენტები არსებობს. მაგალითად იტალიასა და არგენტინაში. შედეგიც სახეზეა.

- არგენტინაზე ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი, იქ რა და როგორ მოხდა. იტალიაში წელიწადი ვითამაშე და თამამად შეიძლება ითქვას, რომ იქაური პრეცედენტი ჩვენ მაგალითად უნდა გამოვიყენოთ. იტალიაში, სანამ სახელმწიფო დაინტერესდებოდა რაგბით, დაახლოებით იგივე ვითარება იყო როგორიც ამჟამადაა ჩვენთან. არ ჰქონდათ ძლიერი ჩემპიონატი, ახლა კი ათი პროფესიული კლუბი ჰყავთ. დანარჩენები კი სამოყვარულო გუნდებია, თუმცა მათი პროგრესი ბოლო წლებში აშკარაა.

იტალიასთან შედარებით ჩვენ უკეთესი შანსი გვაქვს სერიოზული პროგრესი განვიცადოთ. იქ რაგბი იმდენად პოპულარული არაა, რამდენადაც საქართველოში და ეს ფაქტორი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ბევრმა ბავშვმა ითამაშოს რაგბი.

ახლის შექმნასთან ერთად უკვე არსებულსაც ჭირდება სერიოზული მიხედვა. ყველა ასაკის ნაკრები გუნდები უნდა იყვნენ სპეციალისტების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. მზრუნველობა არ უნდა მოაკლდეს არცერთ მორაგბეს. ამის შესაძლებლობები ალბათ, მალე გაჩნდება და გარწმუნებთ, ძალიან სწრაფად წავალთ წინ.

ᲑᲔᲡᲘᲚ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

VIII ᲢᲣᲠᲘ

13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

14:00 დინამო-ყოჩები ვაკე

16:00 ლოკომოტივი-ლელო ვაკე

14 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

13:00 არმაზი-უნივერსიტეტ ვაკე

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ბაუალო-ატლანტა 6:0

3:0, 2:0, 1:0

გოლები: 1:0 კოტალიკი-1 (კონოლი-2, ბ. კემპბელი-3), 2:0 კონოლი-1 (ბ. კემპბელი-4, კოტალიკი-1), 3:0 ბ. კემპბელი-1 (კონოლი-3, შპაჩეკი-2), 4:0 პომინვილი-1 (დ. რუა-1), 5:0 დ. რუა-2 (რაიანი-1, პეი-2), 6:0 პეი-1 (მერრი-1, რაიანი-2).

ტორონტო-აილენდერსი 8:1

2:1, 3:0, 3:0

გოლები: 1:0 ანტროპოვი-3 (კუბინა-2, ტაკერი-1), 2:0 უაიტი-2 (ტაკერი-2, სტაიანი-1), 2:1 ფედოტენკო-2 (ჟერვე-3, კომრი-3), 3:1 ტ. კაბერლე-2 (ჯ. ბლეიკი-3), 4:1 სტაიანი-3 (ანტროპოვი-2, კუბინა-3), 5:1 ა. სტინი-1, 6:1 ვოზნიეუსკი-1 (სტაიანი-2, გემეჩი-1), 7:1 სუნდინი-2 (ა. სტინი-3, ბილი-3), 8:1 გემეჩი-1 (სტაიანი-3, მაკეიბი-2).

ოტავა-კაროლინა 3:5

0:1, 1:2, 2:2

გოლები: 0:1 ე. კოული-1 (ე. სტაალი-2, ჯ. ჰემილტონი-3), 0:2 კულენი-2 (ლაროუზი-1, ფ. კაბერლე-2), 1:2 ჰიტლი-5 (სპეცა-9, რედენი-3), 1:3 ბრინდამორი-1 (ლაროუზი-2, ჯას. უილიამსი-5), 1:4 ე. კოული-2 (ლაროუზი-3, ე. სტაალი-3), 2:4 მ. ფიშერი-1 (ვერმეტი-2, ივზი-2), 3:4 კორვო-2 (სპეცა-10, ჰიტლი-4), 3:5 ე. სტაალი-5 (სტილმანი-3).

ნეშვილი-ფინიქსი 3:6

0:1, 1:2, 2:3

გოლები: 0:1 მორისი-1 (ჰანზალი-2, ნ. კაპანენი-1), 0:2 სიოსტრიომი-1 (ვრბატა-3, ვინიკი-1), 1:2 ბონკი-1 (არნოტი-3, ჟიდლიცკი-3), 1:3 რაინპრეხტი-1 (დოუნი-3, მორისი-1), 1:4 ჰანზალი-1 (უელერი-2), 2:4 ბონკი-2 (რადულოვი-2, დევრისი-3), 2:5 სიოსტრიომი-2, 3:5 ფიდლერი-1 (ჰამჰუისი-4, ერატი-5), 3:6 ვრბატა-1.

ფლორიდა-ნიუ ჯერსი 3:0

1:0, 2:0, 0:0

გოლები: 1:0 ოლეში-1 (შტუმპელი-1, დვორაკი-2), 2:0 ო. იოკინენი-1 (კ. პერფი-1, შტუმპელი-2), 3:0 ჰორტონი-2 (უეისი-2, კ. მერფი-2).

ᲩᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲘ

- "ბაფალომ" სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა, "სეიბრზის" მეკარემ **რაიან მილერმა** კი, 20 დარტყმა მოიგერია და პირველი შათაუტი (კარიერაში მეხუთე) შეასრულა.

- "ატლანტამ" ჩემპიონატი ზედიზედ ოთხი წაგებით დაიწყო და ეს არის ამ გუნდის ყველაზე უარესი სტარტი 2002-03 წლების სეზონის შემდეგ.

- "ატლანტამ" მეორე მატჩი ჩაატარა სლოვაკი ფორვარდის, **მარიან ჰოსას** (შარშან 43 გოლი და 57 პასი) გარეშე.

■ ■ ■

- ტორონტოელმა **მატს სუნდინმა** ორი საკლუბო რეკორდი გაუმჯობესა. ამიერიდან, ის კანადური კლუბის ყველა დროის საუკეთესო გოლეადორი (390) და მექულეა (917). შვედმა ვეტერანმა ორივე რეკორდი **დერილ სიტლერს** ჩამოართვა.

■ ■ ■

- "ოტავა სენატორზმა" შეწყვიტა ხუთმატჩიანი მოგებათა სერია, რითაც ვერ გაიმეორა საკლუბო რეკორდი, რომელიც სეზონის სტარტზე ექვსი შეხვედრის მოგებას უდრიდა.

- "კაროლინამ" ბოლო ორი მატჩი სტუმრად მოიგო - "ოტავამდე", "ჰარიკეინზმა" 7:1 გაანადგურა "ტორონტო".

- "სენატორზის" შვედმა ლეგიონერმა **დანიელ ალფრედსონმა** შეწყვიტა ხუთმატჩიანი სერია, რომელშიც ის მინიმუმ ქულას აგროვებდა შეხვედრაში. ალფრედსონის ანგარიშზე 5 გოლი და 4 პასი მოდის.

- ოტაველ **ჯეისონ სპეცას** 6 მატჩში 10 საგოლე პასი დაუგროვდა. ამ მხრივ, მან სეზონის ყველა შეხვედრაში გამოიჩინა თავი, თუმცა ჯერ გოლი არ აქვს გატანილი.

■ ■ ■

- შეწყდა "ფლორიდა პანტერზის" სამმატჩიანი წაგებათა სერია (ეს იყო "პანტერების" არსებობის ისტორიაში ყველაზე უარესი სტარტი). ამ გუნდის ახალწვეულმა, ჩეხმა მეკარემ **ტომაშ ვოკუნმა** სეზონში პირველი შათაუტი (კარიერაში 22-ე) შეასრულა. "ნეშვილის" ყოფილმა გოლკიპერმა 29 დარტყმა მოიგერია.

- "ნიუ ჯერსიმ" 4-დან სამი შეხვედრა წააგო და 2001-02 წლების შემდეგ, პირველად ჰქონდა რეგულარულ ჩემპიონატში ასეთი უიღბლო დასაწყისი.

■ ■ ■

- ფინიქსელმა **ნიკო კაპანენმა** NHL-ში თავისი მე-100 ქულა დააგროვა.

- "ნეშვილის" მცველი **დენ ჰამჰუისი** ყოველ მატჩში აგროვებს მინიმუმ ერთ ქულას.

მომავალი ვარსკვლავი

ზვავი მოდის

სიდნი კროსბი, ალექს ოვეჩკინი, ანჟე კოპიტარი, ევგენი მალკინი - ბოლო ორი წელიწადია, NHL-ის მთავარ სათაურებში თუ რომელიმე ახალგაზრდას ახსენებდნენ და მის გასწვრივ "სუპერიც" ენერა, ძირითადად ამ ოთხეულის წევრები იყვნენ. ვეჭვობთ, რომ უკვე წლევანდელი რეგულარულის მსვლელობისას, ამ სიას უნიჭიერესი **პოლ შჩასტნი** შეუერთდება. უშრეტი პოტენციალი, გენური გენიალურობა და ალბათ, გამართლებაც, შჩასტნების კლანის კიდევ ერთ წარმომადგენელს, გზას პროფესიული ჰოკეის მწვერვალისკენ გაუხსნის.

მიმდინარე სეზონის პირველ სამ შეხვედრაში პოლის ანგარიშზე უკვე 4 გატანილი შაიბა და 3 შედეგიანი გადაცემაა. "კოლორადო ავალანშის" ცენტრფორვარდი მხოლოდ 21 წლისაა და უკვე გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება. ყვანჯთან გასაოცარი მოპყრობა, ყინულზე უსწრაფესი გადაადგილება (მისი თანაგუნდელის, ლეგენდარული **ჯო საკიკის** თქმით, პოლი კი არ სრიალებს, დაფრინავს) და ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო მაჯური გასროლა შჩასტნის საფირმო ნიშნად, მის კოზირებად იქცა.

შარშანდელ სეზონში, პოლი რეგულარულის საუკეთესო ახალბედის გამოკითხვაში "პიტსბურგის" ევგენი მალკინის შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა და თავის მეორე სეზონში მალკინზე კი არა, ბევრ ვარსკვლავზე მაგარი სტარტი აიღო.

"ზვავების" მთავარი მწვრთნელი **ჯო ქიუნვილი** ჯერაც ოპტიმალური სამეულების ძიებაშია. თავიდან, მან პოლი "კოლორადოს" ახალწვეულ, ვეტერან **რაიან სმიტთან** და **მილან ჰეიდუკთან** ერთად დააყენა და თუ ამ ტრიომ დამქანცველი რეგულარულისას ჯანმრთელობა შეინარჩუნა, შჩასტნისა და მის თანაგუნდელებს "კოლორადოს" ფავორიტთა შეყვანაც შეეძლებათ.

ასე რომ, შჩასტნის პარტნიორებში გაუმართლა და სმიტი-ჰეიდუკის ტანდემიც არ უნდა იყოს პოლით უკმაყოფილო.

"არაჩვეულებრივი მოთამაშეა. რაც მთავარია და ამ თვისებას მოთამაშეში ყველაზე მეტად ვაფასებ, იგი ყურადღებით ისმენს ყველაფერს, არ ეზარება ზედმეტი მოძრაობის გაკეთება და თუ რამეს ვერ იგებს, მოდის და გეკითხება. და ეს მიუხედავად იმისა, რომ პოლს დღესაც თავისუფლად შეუძლია თავისი სამეული ჰყავდეს, ანუ ჩვენზე ბევრად გამოუცდელებთანაც კი, მისი სტატისტიკა სოლიდური იქნება", - ამბობს რაინ სმიტი, ვისაც პოლ შჩასტნი დიდი პატივისცემით ეპყრობა.

პოლმა თავისი შვიდი ქულიდან ხუთი, "სან ხოსესთან" პრინციპულ მატჩში დააგროვა.

"სან ხოსეს" ერთ-ერთი შეტევისას, პოლმა შაიბა მოპარა **ჯო ტორნტონს**, სწრაფად გადასერა ნახევარი მოედანი, სმიტთან კედელი გაითამაშა, უკან დაბრუნებულ ტორნტონს შაიბა ფეხებში გაუტარა და საგოლედ ჰეიდუკს უპასა, რომელმაც "შარქსის" მეკარე **ევგენი ნაბოკოვს** შანსი არ დაუტოვა.

"და ეს ახალბედის, ან თუნდაც მეორეწლიანი მოთამაშისთვის დამახასიათებელი ხედვა და ინტელექტია? პოლი უკვე ვეტერანივით აზროვნებს. როგორც ვიცი, მან ზაფხულის დიდი ნაწილი თითქმის ყველა მეკარის დეტალურად შესწავლას მოანდომა, მათზე სრულ ინფორმაციას აგროვებდა. ანუ, პოლს რომ ჰკითხოთ, იგი გიპასუხებთ, თუ როგორ გამოდის თავისი ზონიდან მიკა კიპრუსოვი, როგორ ტრიალდება კარის უკნიდან შაიბის მოგერიების მერე მარტინ ბროდო, ან თუნდაც რამდენ ხანში ასწრებს ფეხზე წამოდგომას დუეინ როლოსონი", - ესეც სმიტის სიტყვებია.

წესით, პოლ სჩასტნის "კოლორადოში" შარშან ამდენი არ უნდა ეთამაშა, მაგრამ როდესაც გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, **სტივ კონოვალჩუკს** გულის მანკის დიაგნოზი დაუსვეს, განაცხადში ადგილი გამოთავისუფლდა და სჩასტნიმაც თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა. პოლმა შარშანდელი რეგულარულის 82-ვე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და თავი 28 გატანილი შაიბითა და 50 შედეგიანი გადაცემით გამოიჩინა.

ასე რომ, ლიგას ახალი ვარსკვლავი, "კოლორადოს" კი ყველაზე სახიფათო (ალბათ, საკიკისა და სმიტის მერე) ზვავი ჰყავს. მომავალი პოლ შჩასტნის ეკუთვნის.

ზურაბ თალაკვაძე



პოლ შჩასტნი (მარჯვნივ)

ფორმულა 1. სავარაუდო ტრანსფერი

რენომ ალონსო გაიფორმა?

გუშინ, გერმანული პრესის ლიდერებმა ერთდროულად გამოაქვეყნეს ცნობა იმის შესახებ, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ესპანელმა **ფერნანდო ალონსომ** წინასწარი კონტრაქტი გააფორმა "რენოსთან", რომლის მიხედვითაც, ის 2008 წლიდან იასპარეზებს ფრანგული საჯინიბოს სახელით.

ალონსო "მაკლარენის" წევრია და ამ გუნდთან 2009 წლის ბოლომდე აქვს გაფორმებული კონტრაქტი. მიუხედავად გუნდის ხელმძღვანელობასთან უთანხმოებისა, ალონსოს ძალიან გაუჭირდება ბრიტანული საჯინიბოს დატოვება, ვინაიდან "მაკლარენს" თავისი მარკეტინგული პოლიტიკა სწორედ ესპანელ პილოტზე აქვს აწყობილი. ალონსოს მოსვლით, "მაკლარენმა" ისეთი სპონსორები მოიზიდა, როგორებიც არიან "ვოდაფონი" და "ბანკო სანტანდერი". ამიტომაც, ის გუნდი, რომელიც ფერნანდოს ხელში ჩაგდებას მოინდომებს, სერიოზული ფულის დახარჯვა მოუწევს.

ძნელი წარმოსადგენია, რომ "რენოს" ბოსი **კარლოს გოსნი** ასეთი ხარჯების გაღებას დათანხმდეს. ფრანგები ამ ტრანსფერს იმ შემთხვევაში დათანხმდებიან, თუ ალონსოს სახელით მსხვილი სპონსორის მოზიდვას შეძლებენ. გერმანული პრესის ინფორმაციით, ამჟამად, სწორედ ასეთი ინვესტორის ძიებით არის დაკავებული "რენოს" სპორტული დირექტორი **ფლავიო ბრიატორე**.

თუ "რენო" ისეთ ბიზნესმენებს ვერ იპოვნის, რომლებიც "მაკლარენს" ალონსოში დიდ თანხას გადაუხდიან, ხოლო ესპანელი არ მოისურვებს ბრიტანულ გუნდში გამოსვლას, მაშინ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ერთწლიანი შვებულების აღება მოუწევს.

ᲐᲕᲢᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲤᲔᲠᲐᲠᲘ A1-ᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ

"ფერარიმ" ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა "A1 გრან-პრის" სერიის ხელმძღვანელობასთან, რომლის მიხედვითაც, 2008 წლიდან მოყოლებული, იტალიური კონცერნი მასითა და ძრავებით მოამარაგებს A1-ში მონაწილე გუნდებს.

გარდა ამისა, იანვრიდან A1-ს "ფერარის" ლოგოტიპის გამოყენების უფლება ექნება. შეგახსენებთ, რომ ეს სერია 2004 წელს შეიქმნა. მასში 5 კონტინენტის 22 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც ეროვნული პრინციპით არიან დაკომპლექტებულნი. დღეისთვის, A1-ში ფირმა Lola-ს ფირმის იდენტური ბოლიდები გამოიყენება.

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲚᲔᲜᲓᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ ᲔᲫᲔᲑᲡ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ველოსიპედისტი **ფლოიდ ლენდისი** ლოზანას სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში შეიტანს სარჩელს, რათა 2006 წელს ტურ დე ფრანსზე მოპოვებული გამარჯვება შეინარჩუნოს. როგორც იცით, რამდენიმე დღის წინათ, დოპინგის მიღებაში მხილებული ამერიკელის კუთვნილი ყვითელი მაისურა, ესპანელ **ოსკარ პარეიროს** გადაეცა.

"მინდა, ეს შესაძლებლობა გამოვიყენო, რათა კიდევ ერთხელ დავანახო ყველას, რომ დოპინგთან კავშირი არ მქონია", - აცხადებს ლენდისი.

ᲩᲝᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲰᲘᲜᲒᲘᲡᲛᲐ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ

ჩვენ უკვე ვნერდით იმის შესახებ, რომ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი** პრესასთან ურთიერთობას გაურბის და მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

გუშინ ჩოგბურთელმა, როგორც იქნა, დუმილი დაარღვია და ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მისთვის წლევანდელი სეზონი დასრულებულია. 27 წლის მარტინა ქრონიკულ ტრავმებს მკურნალობს და წლეულს კორტზე გასვლას აღარ აპირებს.

"ძალიან ვნუხვარ, რომ ყველაფერი ასე ცუდად დასრულდა. რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბარძაყის ტრავმა დღემდე მაწუხებს. ამის გამო, დიდი ხანია ნორმალურად არ მივარჯიშია", - განაცხადა ჰინგისმა.

ᲩᲝᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ტურნირები

ATP

BA-CA Tennis Trophy

ვენა (ავსტრია). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 642 750 ევრო

1/8 ფინალი

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)-ტომაშ ზიბი (ჩეხ) 6:4, 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 7)**-იურგენ მელცერი (ავსტრია) 4:6, 6:3, 6:2; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ) 5:7, 6:3, 6:1; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-სტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 3:6, 6:4.

1/4 ფინალში ხედებიან

ჯოკოვიჩი (1)-ჩელა (7); ლუბიჩიჩი (3)-სეპი; ფ. ლოპესი-ვავრინკა; გონსალესი (2)-ფერერო.

ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

მოსკოვი (რუსეთი). ხალიჩა
საპრიზო ფონდი: 1 000 000 დოლარი

1/8 ფინალი

ნიკოლაი დავიდენკო (1)-ნიკოლას ლაპენტი (ეკვ) 6:4, 6:4; **მიხაელ ბერერი (გერ)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 2) 7:5, 6:4; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-ენდრიუ მიურეი (ბრიტ, 3) 6:4, 7:5; **იგორ ანდრეევი (რუს)**-მარატ საფინი (რუს, 5) 6:4, 6:4.

1/4 ფინალში ხედებიან

დავიდენკო (1)-ანდრეევი; ტიპსარევიჩი-შტეპანეკი; მატიო (4)-სერა; კოლშრაიბერი (8)-ბერერი.

სტოკჰოლმის ღია

სტოკჰოლმი (შვედეთი). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 680 250 ევრო

1/8 ფინალი

ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 1)-ფრანკ დანჩევიჩი (კან) 6:3, 6:2; **იარკო ნიემინენი (ფინ, 6)**-პეტერ ლუჩაკი (ავსტრია) 6:0, 6:4; **ივო კარლოვიჩი (ხორ, 7)**-იოახიმ იოჰანსონი (შვედ) იოჰანსონის უარი; **არნო კლემანი (საფ)**-მიხაელ რიდერსტედტი (შვედ) 7:6 (2), 3:6, 6:3; **ტომას იოჰანსონი (შვედ)**-მიხაელ ლოდრა (საფ) 6:4, 7:6 (10); **მარიო ანჩიჩი (ხორ)**-ბიორნ რენკვისტი (შვედ) 6:1, 6:3.

1/4 ფინალში ხედებიან

ბლეიკი (1)-ნიემინენი (6); ტ. იოჰანსონი-ანჩიჩი; ჰაასი (4)-მონაკო (5); კარლოვიჩი (7)-კლემანი.

WTA

ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

მოსკოვი (რუსეთი). ხალიჩა
საპრიზო ფონდი: 1 000 000 დოლარი

1/8 ფინალი

დინარა საფინა (რუს)-ანა ჩაკვეტაძე (რუს, 3) 7:6 (6), 6:2; **სერენა უილიამსი (აშშ, 4)**-ტატიანა პერებინინი (უკრ) 7:5, 6:4; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 8)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:3, 6:4; **ვერა ზვონარევა (რუს)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) 6:2, 6:2.

1/4 ფინალში ხედებიან

კუზნეცოვა (1)-დუშევინა; ს. უილიამსი (4)-ვაიდიშოვა (8); ზვონარევა-საფინა; დემენტიევა-აზარენკა.

ᲑᲐᲜᲒᲙᲝᲙᲘᲡ ᲦᲘᲐ

ბანგკოკი (ტაილანდი). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 200 000 დოლარი

I წრე

ვენუს უილიამსი (აშშ, 2)-კაროლინ ვოზნიაჩი (დან) 6:2, 6:2.

1/8 ფინალი

ვენუს უილიამსი (აშშ, 2)-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:4, 6:1; **შაარ პეერი (ისრ, 3)**-ანასტასია როდიონოვა (რუს) 6:1, 6:1; **ურსულა რადვანსკა (პოლ)**-ვირჟინ რაზანო (საფ, 4) 7:6 (3), 7:5; **იუნ-იან ჩანი (ჩინ)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან) 4:6, 6:3, 6:2; **იან ჟი (ჩინ)**-ოლგა პუჩკოვა (რუს) 3:6, 6:1, 6:1.



კობი ბრაიანტი

სავარაუდო ტრანსფერი

ბრაიანტი აღარც ლეიკერსში უნდათ

NBA-ში დღესაც არიან ისეთი მოთამაშეები, რომლებიც ერთგულად იღწვიან თავიანთი გუნდებისთვის და ხელფასის უსაფუძვლო გაზრდასა თუ შემადგენლობის სათავისოდ დაკომპლექტებას არ ითხოვენ. ასეთთა რიცხვი ნელ-ნელა კლებულობს და თუ ბოლოდროინდელ მოვლენებს გავითვალისწინებთ, ამ სეზონის დაწყებამდე გუნდის გამოცვლა კიდევ ერთ მეგავარსკვლავს მოუწევს.

"ლეიკერსის" მფლობელს, პროფესორ **ჯერი ბასს** ეტყობა, ყელში ამოუვიდა **კობი ბრაიანტის** ჭირვეულობა და ყოველ მეორე დღეს, გუნდის ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშისგან ულტიმატუმების მოსმენა, რადგან ამ მშვიდმა ადამიანმა ასეთი რამ განაცხადა - ჩვენთან ხელშეუხებლები არ არიან და თუ ამ სეზონის დაწყებამდე ვინმე ბრაიანტში სათანადო ტალანტს შემომთავაზებს, კობის დაუფიქრებლად გავცვლიო.

ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებოდა იანკურ მასმედიაში და ჩვენი ამერიკელი კოლეგები პირველი კომენტარისთვის ბრაიანტის ყოფილ მეწყვილეს, მერე კი კობის ახირებების გამო გუნდიდან გაშვებულ **შაკილ ონილს** დაუკავშირდნენ.

"მისტერ ბასი ამ შემთხვევაში ბიზნესს პირადულზე წინ აყენებს, თუმცა ასეთი რამ დღევანდელ სპორტულ ბიზნესში ლამის ყოველ საათს ხდება და "ლეიკერსის" ბოსის გადაწყვეტილება ჩვეულებრივ მოვლენად უნდა მივიღოთ", - ამბობს შაკი.

ბასმა აღნიშნული განცხადება ჰონოლულუდან გააკეთა, სადაც "ლეიკერსის" შეკრებას გადის.

"გარკვეულ მომენტში რეალობას თვალი ყველამ უნდა გავუსწოროთ. ეს, ისევ და ისევ, ჩვენი ლიგის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. თუ მოთამაშეს ასე არ სურს გუნდში დარჩენა, იძულებული ხდები, ყურადღებით განიხილო მასთან მიმართებაში გაკეთებული ყველა შეთავაზება და ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო", - მიაჩნია ბასს.

რას ფიქრობენ მისტერ ბასის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე კობის თანაგუნდელები?

ლამარ ოდომი: *"ჩემთვის უცნობია, თუ რა შეთავაზებებს განიხილავს ჯერი ბასი, მაგრამ კობი რომ დღესდღეობით მსოფლიოს უძლიერესი მოთამაშეა, ესეც ფაქტია. მსურს თუ არა, რომ ბრაიანტი ჩვენთან დარჩეს? რა თქმა უნდა, მსურს!"*

რონი ტურიაფი: *"ჩვენ მხოლოდ მოედანზე გასვლა და კალათბურთის თამაში გვევალება. კობიმ და მენეჯმენტმა ყველაფერი ერთმანეთში უნდა გაარკვიონ. კარგი იქნება, თუ ეს ამბავი ყველასთვის სასურველი შედეგით დასრულდება."*

2004 წლის ივლისამდე, ანუ იქამდე, სანამ "ლეიკერსი" შაკილ ონილს "მაიამიში" გაუშვებდა, კალიფორნიელებმა ბრაიანტისა და "დიზელის" ტანდემით, ხუთი წლის განმავლობაში სამჯერ მოიპოვეს ჩემპიონობა და ერთხელ სუპერფინალში "დეტროიტთან" წააგეს.

მას მერე, "ლეიკერსს", ჩემპიონობას ვინ ჩივის, ერთი საპლეიოფო სერიაც კი არ მოუგია, შაკმა კი "მაიამი" ჯერ აღმოსავლეთის ფინალში გაიყვანა, შემდეგ სეზონში კი ფლორიდელებს სანუკვარი ჩემპიონობას მოაპოვებინა.

"გაცვლისგან, გაყიდვისგან არავინაა დაზღვეული. უბრალოდ, ჩემს შემთხვევაში სულ სხვა სიტუაცია იყო. პირდაპირ შევედი ბოსებთან და სხვაგან წასვლა იმ უბრალო მიზეზით მოვითხოვე, რომ რასაც შემპირდნენ, იმის შესრულება აღარ სურდათ. ორპირობა შევნიშნე და მათთან მუშაობის არანაირი სურვილი აღარ მქონდა", - იხსენებს ონილი.

კობი ბრაიანტს გუნდთან კიდევ ოთხწლიანი ხელშეკრულება აკავშირებს, რომლის მიხედვითაც, მან საბანკო ანგარიში 88.6 მილიონი დოლარით უნდა შეავსოს, თუმცა კონტრაქტში შეტანილია პირობა, რომლის მიხედვითაც, ბრაიანტს 2009 წლის რეგულარულის დაწყებამდე აღნიშნული ხელშეკრულების დარღვევა შეეძლება და გუნდიც მისთვის გადასახდელ 47.8 მილიონს დაზოგავს.

"მას (ბრაიანტს) შეუძლია დარჩეს ჩვენთან და ორი წლის შემდეგ თავად გადაწყიტოს, თუ სად და რა თანხის საფასურად გააგრძელოს კარიერა. არ მესმის ერთი რამ - რატომ არ უნდა გსიამოვნებდეს იმ გუნდში, ქალაქში ყოფნა, სადაც ყველაზე პოპულარული ადამიანი ხარ? ჩემპიონობისთვის არასაკმარისი რესურსები გაგვაჩნია? ესეც მოგვარებადია, თუმცა, როგორც გითხარით, თუ ბრაიანტმა ვინმე ჩვენთვის სასურველ მოთამაშეებს შემოგვთავაზებს (კობიში ერთი-ერთზე არავინ გაიცვლება), უარს არ ვიტყვით მის გაცვლაზე", - ასრულებს საუბარს ბასი.

29 წლის კობი ბრაიანტს ლიგაში 12-ივე სეზონი "ლეიკერსის" შემადგენლობაში აქვს გატარებული, სადაც იგი ორჯერ საუკეთესო მექანიკი გახდა და პერმანენტულად შედის სეზონის სიმბოლურ და დაცვით პირველ ხუთეულებში.

ბრაიანტმა 2 კვირის წინათ ერთხელაც გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ "ლეიკერსმა" არცერთი ძლიერი მოთამაშე არ დაიმატა და სულ გამწარდა, როდესაც **კევინ გარნეტი** და **რეი ალენი** "ბოსტონში" გადავიდნენ.

ზურაბ თალაკვაძე

13 ოქტომბერი. შაბათი

I არხი

22:00 რაგბი. მსოფლიო თასი. 1/2 ფინალი. ინგლისი-საფრანგეთი (LIVE).

რუსთავი 2

01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ფარერები-საფრანგეთი.

HTB-პლუსი (უეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:25 გასული კვირის პიტ-აღლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-დეპორტივო.
14:10 საფეხბურთო კლუბი.
14:55 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
15:25 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 ჩემპიონთა ლიგის პიტ-აღლუმი. ცსკა-ფენერბაჰჩე.
17:55 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-უკრაინა (LIVE).
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:20 გასული კვირის პიტ-აღლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ვიგანი.
22:10 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
22:40 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ირლანდია-გერმანია (LIVE).
00:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:00 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. იტალია-საქართველო.

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. ამერიკა-ვასკო და გამა.
08:44 მინი-მოედანი.
09:10 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:25 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:55 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
10:25 სპორტკლუბი.
10:40 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ჩივასიდალასი.
12:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
12:59 სპორტის სამყარო.
13:30 სინქრონული ცურვა. ბრაზილია.
15:29 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
16:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჩეხეთი (LIVE).
17:48 ფეხბურთი. Barca TV.
18:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ესტონეთი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. Barca TV.
20:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-რეინჯერსი.
21:14 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
21:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ირლანდია-გერმანია (LIVE).
00:43 სპორტის სამყარო.
01:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-სან პაულუ.
03:06 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-ვაშინგტონი (LIVE).
05:39 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
06:06 მინი-მოედანი.

EUROSPORT

07:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან პრი. კვალიფიკაცია (LIVE).
10:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი.
11:15 მულტისპორტი.
11:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
13:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
15:00 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. I დღე. აბერდინი. შოტლანდია (LIVE).
18:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი.
19:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ფარერები-საფრანგეთი (LIVE).
21:00 მულტისპორტი.
21:30 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. I დღე. აბერდინი. შოტლანდია.
22:00 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. I დღე. აბერდინი. შოტლანდია (LIVE).
00:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
02:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი.
02:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ვენა. ავსტრია.
03:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან პრი. ხერესი (LIVE).
05:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან პრი. 125 cc. (LIVE).

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 მულტისპორტი.
12:30 კალათბურთი.
13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
14:30 ახალი ამბები.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ვენა. ავსტრია (LIVE).
16:30 ახალი ამბები.
16:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ვენა. ავსტრია (LIVE).
18:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან პრი. მოტოგრან-პრი. კვალიფიკაცია.
19:30 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ფლენსბურგი (გერმანია)-ლუბინი (პოლონეთი).
20:15 დართსი. მსოფლიო თასი. ჰოლანდია.
22:15 ახალი ამბები.
22:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან პრი. მოტოგრან-პრი.
00:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ლიტვის გრან-პრი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 დართსი. მსოფლიო თასი. ჰოლანდია.
02:15 ახალი ამბები.

14 ოქტომბერი. კვირა

I არხი

22:00 რაგბი. მსოფლიო თასი. 1/2 ფინალი. ს. აფრიკა-არგენტინა (LIVE).

რუსთავი 2

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

HTB-პლუსი (უეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-უკრაინა.
14:10 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ირლანდია-გერმანია.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ტოქ-შოუ - 2:1.
17:00 ჩემპიონთა ლიგის პიტ-აღლუმი. სელტიკი-მილანი.
18:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:10 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. იტალია-საქართველო.
21:00 ამხანაგური მატჩი. 1984 წელი. ინგლისი-სსრკ.
22:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:05 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-უკრაინა.

SPORT 1 (უკრაინა)

06:35 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ჩივასიდალასი.
08:20 მინი-მოედანი.
08:43 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ესტონეთი.
10:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
11:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-სან პაულუ.
12:49 ფეხბურთი. Barca TV.
12:57 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
13:26 სინქრონული ცურვა. ბრაზილია.
15:00 სპორტის სამყარო.
15:30 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
16:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩეხეთი (LIVE).
18:31 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ირლანდია-გერმანია.
20:16 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-ვაშინგტონი.
22:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ვასკო-ბოტაფოგო (LIVE).
00:00 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. მიმოხილვა.
00:31 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
01:00 მინი-მოედანი.
01:25 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ესტონეთი.
03:14 სპორტული ისტორია.
03:30 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩეხეთი.
05:20 სპორტდოსიე. დელტაპლანერიზმი.
05:50 ფეხბურთი. Barca TV.
06:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჰოლანდია.

EUROSPORT

07:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან პრი. 250 cc. (LIVE).
08:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან პრი. მოტოგრან-პრი. (LIVE).
10:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი.
10:30 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო თასი. ბარსელონა. ესპანეთი.
12:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან პრი. მოტოგრან-პრი.
13:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
15:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ვენა. ავსტრია (LIVE).
16:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
17:15 ველოსპორტი. პარიზის ტური. საფრანგეთი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ირლანდია-გერმანია.
19:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. დანია-ესპანეთი.
20:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
21:00 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. II დღე. აბერდინი. შოტლანდია.
22:00 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. II დღე. აბერდინი. შოტლანდია (LIVE).
00:30 მოტორსპორტი. საკერიარო ტელეჟურნალი.
01:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი.
01:30 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო თასი. ბარსელონა. ესპანეთი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. კონსტანტა (რუმინეთი)-კილი (გერმანია).
13:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. რუმინეთი-ჰოლანდია.
13:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. დანია-ესპანეთი.
14:30 ახალი ამბები.
14:45 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. II დღე. აბერდინი. შოტლანდია (LIVE).
19:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ზაპოროჟიე (უკრაინა)-ჰამბურგი (გერმანია) (LIVE).
20:30 კალათბურთი.
21:45 ახალი ამბები.
22:00 დართსი. მსოფლიო თასი. ჰოლანდია.
00:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. გუმერსბახი (გერმანია)-სელეე (სლოვენია).
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
02:30 ახალი ამბები.

სხელი ხეზი

ფეხბურთი

ევრო 2009

UNDER 21

იტალია-ხორვატია	2:0
ბულგარეთი-პორტუგალია	1:0
ინგლისი-ჩერნოგორია	1:0
რუსეთი-ყაზახეთი	4:0
პოლონეთი-ესპანეთი	0:2
ნორვეგია-შვეიცარია	2:1
ესტონეთი-პოლონეთი	0:3
ავსტრია-კვიპროსი	2:1
ბელგია-სლოვაკეთი	4:2
ისრაელი-გერმანია	2:2
საფრანგეთი-ბოსნია	4:0

ამხანაგური მატჩი

UNDER 21

შვედეთი-ირლანდია	2:3

ინგლისი

I ლიგა

პარტიზანი-როვერსი	1:0
ბრანფერი-პოლსოლი	0:0

II ლიგა

ბრენტფორდი-როტერჰემი	1:1
ჩესტერი-პრეფორდი	1:1
გრიმსბი-როჩდეილი	1:2
მორეკამბი-ბრედფორდი	2:1

კონფერენსი

რაშდენი-ფორეს გრინი	1:2
უეიმაუთი-ქროული	1:2

პოლანდია

II დივიზიონი

კამბური-იმლუი	0:2
ემენი-პეტერენი	2:1
ლოროდრეხტი-ომენეოორლეი	3:3
ვინდეოვენი II-ვაალვიკი	1:4
ვოლენდამი-დენ ბოში	4:1
ცვოლე-აპელდორნი	5:0
ჰაარლემი-ფორგენა	1:2
მაასტრიხტი-ბელტარი	2:1
როსენდალი-ვეენდამი	4:1
ბოპ ოსი-დენ ჰაგი	1:3

შოტლანდია

III დივიზიონი

მონროუზი-ელგინი	0:0

ირლანდია

ბოჰემიანი-გალვეი	2:0
ბრეი-კორკი	1:1
დერი-დუბლინი	0:0
შემროკი-დროგედა	0:2
სლიგო-სტ. პატი	2:3

პოლონეთი

ლიგის თასი

რეზი-ბროსლინი	2:0

კალათბურთი

საფრანგეთი

ორლეანი-რუანი	75:85
პო ორეზეზი-ჰაკრი	79:83
ბულონი-ვ�ენერბანი	83:76
ბრაველინი-ლე მანი	62:56
ასტ-ლევალოინი	71:75

პოკერი

რუსეთი

ბრაკენორი-ცსკა	3:1
მეგალერბი (მ)-ბორეკელო	3:2
ვიბიაზი-ლადა	1:2

გერმანია

ვოლფსბურგი-დეისბურგი	4:0
იზარლონი-აუგსბურგი	5:1
კიოლნი-ბაიერერი	2:5
ბაიერნი-ფრაიბურგი	1:1 მ.ბ. 2:1
ჰანოვერი-ბოსელდორფი	3:4
შტუტგარტი-ბერლინი	0:1
ბაზელი-რაპერსვილი	0:3
ლეიფციგ-ლეგენი	4:1
ნანტეზ-ლეგენი	2:4

ჩეხეთი

ვიბკოვიცე-ლიბეროეცი	3:3 მ.ბ. 4:3
ბლეზენ-ოლომოუცი	3:3 მ.ბ. 4:3
ოლომოუცი-ჟლინი	3:2
ბუდეიოვიცე-ბრნოეცი	2:0
სპარტა-ზნოიმო	2:1
ლიბერეცი-პარდუბიცე	5:5 მ.ბ. 6:5

სლოვაკეთი

ჟილინა-პოპრადი	2:4
კეჟმაროკი-კოშიცე	2:2 მ.ბ. 3:2
მიკულაში-ზვოლენი	2:2 პენ. 2:3
ნიტრა-მარტინი	0:5
სალიცა-ბრეზნიკი	3:0
ოლოვაკეთი (ა)-ოლოვანი	2:5

ჩოგბურთი

ATP. მოსკოვი

შტეპანეკი-ტიპსარევიჩი	4:6, 6:3, 3:6
მატიო-სერა	6:3, 6:3
კოლშრაიბერი-ბერერი	3:6, 0:6
დავიდენკო-ანდრეევი	7:5, 7:5

ATP. ვენა

ლუბიჩიჩი-სეპი	3:6, 3:6
ვავრინკა-ფ. ლოპესი	6:7, 6:3, 6:4
ჯოკოვიჩი-სელა	6:3, 5:7, 7:6

ATP. სტოკჰოლმი

კარლოვიჩი-კლემანი	7:6, 3:6, 7:6
ჰაასი-მონაკო	6:3, 6:3
ანჩიჩი-ტ. იოჰანსონი	6:4, 5:7, 6:7

WTA. მოსკოვი

დემენტიევა-აზარენკა	7:6, 6:2
ზვონარევა-საფინა	2:6, 6:3, 3:6
კუზნეცოვა-დუშევინა	6:2, 6:2
ს. უილიამსი-ვაიდიშოვა	6:4, 7:6

WTA. ბანგკოკი

ვ.უილიამსი-პინი	6:1, 6:1
უ. რადვანსკა-ჩანი	2:6, 3:6

კარემ მინიე

კორა შუმახერი

ფლორანს-ბრადენელ ბრიუსი

ფორმულა 1

ფორმულის ქალები

როგორც ცნობილია, ფორმულა 1 - ეს არის დიდი სისწრაფისა და არანაკლებ დიდი ფულის სამყარო. ამ სფეროში მხოლოდ წარმატებული ადამიანები ტრიალებენ, რომლებიც ყოველთვის ცდილობენ იმიჯის შენარჩუნებას. რა არის ამისთვის საჭირო? პასუხი მარტივია: მუდმივად უნდა იყო ყურადღების ცენტრში, უნდა გყავდეს ძვირფასი ავტომობილი და შენს გვერდით უნდა იყოს ლამაზი ქალი. თუმცა ამ უკანასკნელზე ყოველ ადამიანს საკუთარი მოსაზრება აქვს. და რადგან ფორმულა 1-ში ყველაზე მეტი ყურადღება პილოტებს ეთმობათ, დღევანდელი თემაც მათი ცხოვრების მეგზურებს მიეძღვნებათ: მათთვის ერთნი მეუღლეები არიან, მეორენი - მეგობრები. დღეს ყურადღებას დავუთმობთ ყველაზე გამორჩეულ და ცნობილ ქალბატონებს, რომლებიც სამეფო ავტორბოლის პილოტთა გვერდით იმყოფებიან.

ჯენი მარია დალმან-რაიკონენი - წარსულში ცნობილი ფოტომოდელი აისმენის მეუღლეა. გრძელფეხება ლამაზმანი 2001 წელს, "მის სკანდინავიის" ტიტულს ფლობდა. მან ქმრად აირჩია თითქმის ერთი თავით დაბალი და ორი წლით უმცროსი **რაიკონენი**. მიუხედავად ამისა, ეს წყვილი ძალიან ჰარმონიულად გამოიყურება. ჯენი ყოველთვის მხარში ედგა კიმის, პატიობდა მას ლოთურ გამოხდომებს და როგორც ჩანს, პილოტმა ეს მავნე ჩვევა წარსულს ჩააბარა. გარდა ამისა, დალმანი ხშირად დაყვებოდა მეუღლეს მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპებზე.

კიმიმ და ჯენიმ 2004 წლის 31 ივლისს იქორწინეს. ქორწილი ჰელსინკიდან 100 კილომეტრის მოშორებით, ძველ ტაძარში გაიმართა. ცერემონიას ესწრებოდნენ ფინელის მაშინდელი გუნდის - "მაკლარენის" შეფი **რონ დენისი**, "მერსედეს-ბენცის" სპორტული განყოფილების მმართველი **ნორბერტ ჰაუგი** და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **მიკა ჰაკინენი**. სულ ქორწილში 200 სტუმარი იყო.

■ ■ ■

გაცილებით მოკრძალებული გახლდათ ჰალვანგში მეორე ცნობილი წყვილის, **რალფ შუმახერისა** და **კორა ბრინკმანის** ქორწილი, რომელიც 2001 წლის 6 ოქტომბერს გაიმართა. ცერემონიალს სულ ექვსი (!) ადამიანი ესწრებოდა. სტუმრებს შორის არც **მიხაელ შუმახერი** და არც ვარსკვლავი ძმების მამა - **როლფი** ყოფილან. ქორწილიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, კორამ რალფს შვილი აჩუქა, რომელსაც **დევიდი** დაარქვეს, კიდევ 11 თვის შემდეგ კი, ეკლესიაში ჯვარიც დაიწერეს. ამჯერად, სტუმართა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. იქ იყვნენ მიხაელი მეუღლე **კორინასთან** ერთად. სხვათა შორის, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ძმის მეჯვარის ფუნქციებს ასრულებდა.

30 წლის კორა ცდილობს, მეუღლის არცერთი რბოლა არ გააცდინოს და თუ ეტაპს ვერ ესწრება, ტელევიზორით ადევნებს თვალს რალფის გამოსვლას. გარდა ამისა, ბრინკმანი ოჯახის საინტერესო იმიჯს ქმნის, რომელიც სპონსორებისა და გუნდების დაინტერესებას ინვევს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ კორა ყოფილი მოდელია და კარგად იცის, როგორ უნდა გამოიყურებოდეს საზოგადოებისა და ფოტოგრაფების წინაშე. მაგრამ ეს არ არის ყველაფერი, რაც ამ ქალბატონს ეხერხება. ქმრის მაგალითზე, კორა ბოლიდის საჭეს მიუჯდა და მონაწილეობა მიიღო Mini Challenge-ის სარბოლო სერიაში. 2006 წელს კი, Seat Leon-ის სერიაშიც გამოჩნდა. რალფი მეუღლეს მხარს უჭერს და მისი წარმატებებით ხარობს.

■ ■ ■

ახლა გადავიდეთ იმ წყვილებზე, რომლებიც ჯერ დაქორწინებულები არ არიან. **რაკელ დელ როსარიო** - ასე ჰქვია **ფერნანდო ალონსოს** გერლ-ფრენდს. 24 წლის რაკელი ლას პალმასიდანაა (კანარის კუნძულები) და ჯგუფ El sueno de Morfeo-ს წევრია. ის სამშობლოში ძალიან პოპულარულია და 2006 წლის გამოკითხვის შედეგად, ესპანური კინოსა და შოუ-ბიზნესის ყველაზე ლამაზი ადამიანების რეიტინგში მეოთხე ადგილი დაიკავა.

პილოტმა და მომღერალმა 2005 წლის 20 ნოემბერს გაიცნეს ერთმანეთი. ეს მოხდა ესპანეთის ტელევიზიაში, სადაც ისინი ასტურიელი ვარსკვლავებისადმი მიძღვნილ ტელეგადაცემაში სტუმრად იყვნენ მიწვეულნი. ორმხრივი სიმპათია მაშინვე გაჩნდა და 4 თვის შემდეგ, წყვილმა ნიშნობის შესახებ ამცნო საზოგადოებას. 25 ნოემბერს, როცა ისინი ფორმულა 1-ის სხვა ვარსკვლავებთან ერთად მალდივის კუნძულებზე ისვენებდნენ, ახალ ამბებში გაჩნდა ცნობა ფერნანდოსა და რაკელის მომავალი ქორწინების შესახებ, მაგრამ მოგვიანებით, ეს ჭორი თავად პილოტმა უარყო.

■ ■ ■

შემდეგი წყვილი მთლიანად ფორმულა 1-ის სამყაროდანაა: მამაკაცი პილოტია, ქალი - ფორმულას ჟურნალისტი და ყოფილი მოდელი. ლაპარაკია **დევიდ ქულთარდზე** და **კარენ მინიეზე**. 2003 წელს, 30 წლის კარენმა სამეფო რბოლებში ჟურნალისტობა სცადა, რითაც ძალიან გაახარა პილოტები. თავისი გარეგნობისა და ბუნებრივი მომხიბვლელობის ხარჯზე, ის იოლად პოულობდა მრბოლელებთან საერთო ენას. ერთხელ, **ხუან-პაბლო მონტოიამ** ასეთი რამ უთხრა მინიეს: *"ასეთ ლამაზ ქალს, ინტერვიუზე უარს არასოდეს ვეტყვი"*. სავარაუდოდ, ერთ-ერთი ასეთი ინტერვიუს შემდეგ გაჩნდა კარენსა და დევიდს შორის სიმპათია. ადრე ქულთარდი ამბობდა, რომ არასოდეს შეშინებია მეგობარი გოგონას დაკარგვის, მაგრამ კარენთან მიმართებაში, ეს შიში მუდმივად თან სდევს.

■ ■ ■

ფელიპე მასას მეგობარზე ცოტა რამ არის ცნობილი: მას **რაფაელა ბასი** ჰქვია, 27 წლისაა და წარმოშობით ბრაზილიიდანაა. მისი მშობლები მოდის სახლის - Guarana Brasil-ის მფლობელები არიან. რაფაელამ ფელიპე ოჯახური იახტით სეირნობისას, დისკოთეკაზე გაიცნო და ახლა სულ თან დაჰყვება რბოლებზე. მაგრამ ბოქსებში ყოფნა არ მოსწონს. რაფაელა თვლის, რომ იქ ცივი და არამეგობრული ატმოსფერო სუფევს.

შეყვარებულებმა უკვე გამოაცხადეს ქორწილის თარიღი - 2007 წლის 30 ნოემბერი. თუმცა მსგავსი თარიღები ადრეც გაცხადებულა, მაგრამ ქორწილი მაინც არ შედგა.

■ ■ ■

ჯენსონ ბატონის მორიგ მეგობარ ქალს არ შეიძლება ჩვენი ყურადღება არ მიეპყრო. ამ მომხიბვლელ გოგონას **ფლორენს ბრადენელ-ბრიუსი** ჰქვია. ის 21 წლისაა და სტუდენტი გახლავთ. ერთხელ, ფლორანსი პილოტის შეთავაზებას დათანხმდა, მასთან ერთად საფრანგეთში გაემგზავრა და იმ ადგილას გაშალა კარავი, სადაც ბრიტანეთიდან ჩასული უამრავი სტუმარი ისვენებდა. წყვილის განცხრომას ზღვის სანაპიროზე ამოვარდნილმა ქარიშხალმაც ვერ შეუშალა ხელი.

კიმი და ჯენი მარია დალმანი

რაკელ დელ როსარიო

რაფაელა ბასი

ეროვნული სპორტული გაზეთი

განახლებულია
ბადრი პატარკაციშვილის
ინიციატივითა და
ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცველიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10³,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98,
46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. გარდა კვირისა